გაზეთი დაარსებულია 1918 წელს,
შაბათი, 16 ივლისი, 2005 წელი.
№167-168 (5201)

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკად-რისობაზე უსამაგლესია.

# საქართველოს რესპუბლიკა

ელექტრონული ფოსტა: sakresp@gol.ge ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika ჩვენს გაზეთს კითხულობენ აშშ-ში, გერმანიაში, რუსეთში, ჰოლანდიაში, საფრანგეთში, უკრაინაში, ისრაელსა და სხვა ქვეყნებში. ფასი 50 თეთრი.

## პირველი მერცხალი მშვიდობის გზაზე

### მე დავპირდი და კვლავაც ჩავალ ცხინვალში, – ამბობს აკადემიკოსი ფრიდონ თოდუა



**მთელმა საქართველომ ნახა, ოსებმაც ნახეს, თუ როგორ თბილად მიიღეს ცხინვალში აკადემიკოსი ფრიდონ თოდუა – თბილისის სამედიცინო რადიოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი.**

გუშინ მთელ დღეს არ შეწყვეტილა სატელეფონო ზარების რეკვა ბატონ ფრიდონის სამუშაო კაბინეტში. დარეკა ბიზნესმენმა გოგი თოფაძემ, სამშენებლო კომპანია „ცენტრ-პოინტის" ხელმძღვანელმა რუსუდან კირვალიძემ, ფირმა „სიმენსის" წარმომადგენელმა – იქნებ, ცხინვალში საავადმყოფოს რემონტია საჭირო? იქნებ, რაიმეში დაგჭირდეთ? ჩვენ მზად ვართ დახმარებისთვის! – ასეთი იყო ქართველი ბიზნესმენების შეთავაზებები. სხვათა შორის რეკავდნენ რიგითი ადამიანებიც. უცნობმა ტაქსის მძღოლმა აკადემიკოსს თავისი მანქანით აპარატურის ცხინვალში უფასოდ გადატანაც კი შესთავაზა!

– ჩვენი ინსტიტუტის ურთიერთობა ოს მოსახლეობასთან, ჩვენს ოს კოლეგებთან უკვე ერთ ათეულ წელს ითვლის. წელიწადში ცხინვალის რეგიონიდან 1500-2000 კაცი მაინც ჩამოდიოდა და იტარებდა გამოკვლევას. ბევრნი იყვნენ თვით ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლებიც. მოკლედ, ავადმყოფებს მუდმივად ვმასპინძლობთ ცხინვალიდან, – გვიყვება ბატონი ფრიდონი. – ჩვენი ინსტიტუტი კი სულ უფრო და უფრო ახალ ტექნიკას, ახალ კომპიუტერულ ტომოგრაფს, მაგნიტორეზონანსულ ტომოგრაფს ღებულობს. მათ ნაწილს ცხინვალს გადავცემთ, ცხინვალის მთავარ საავადმყოფოში დავამონტაჟებთ.

იხ. მე-2 გვ.

## მირს პარლამენტი, გაუმარჯოს პროკურატურას?!

**კარგად ჩაცმული და აღჭურვილი სპეცსამსახურების ნიღბიანი კუნთმაგარი ბიჭები, „ჭიაბერაშვილის სამკუთხედი", ზოგიერთი ქუჩის კეთილმოწყობა, „კორუმპირებულთა" მასობრივი დაჭერა, ფასადების გაფერადება, „სახელმწიფო მნიშვნელობის" თანამდებობებზე სიმპათიური „სახეების" დანიშვნა და გაუთავებელი ტაშ-ფანდურა მშიერი ამომრჩევლებისთვის დიდი ვერაფერი შეღავათია. გამათხოვრებული ხალხი ითხოვს სტაბილურ სამუშაოს და, შესაბამისად, სტაბილურ შემოსავალს. გაუთავებელი პიარ-კომპანიები, იცოცხლეთ, მშვენიერი, მაგრამ კუჭის ამოსავსებად გამოუსადეგარია.**

იხ. მე-3 გვ.




## „გულო, შორეულ ხსოვნას შეები..."

**ამ ფოტოს ხილვისას ძალიან ბევრს, შესაძლოა, უფრო გაუშიშვლდეს ისედაც სამარადჟამოდ პირმოუკრავი გულის იარა – მასზე ხომ უსამართლოდ დაჩაგრულ-დასჯილი მათი ახლობლები არიან ასახულნი, ისინი, ვისაც, პოეტისა არ იყოს, „...მშობელი ქვეყნის ღალატი გულშიც არასდროს არ გაუვლია".**

**სწორედ ამ ტკივილითაც არის გულდაკოდილი ამ სტრიქონების ავტორი, საუკუნეს მიტანებული ცნობილი პოეტი, ჟურნალისტი და საზოგადო მოღვაწე მარიკა ბარათაშვილი, რომლის ლექსსაც დღეს გთავაზობთ.**



იხ. მე-5 გვ.

## ერთადერთი იმედის იმედად

### ანუ სამართალი საძებარი გახდა!



**ქაღალდზე დაწერილი კანონი უმწეოთა დასაშინებლად კი არ უნდა იყოს მიმართული, არამედ „ავარდნილი ჯიბოსნებისა" და „ჯიპოსნების" დასჯის საფუძველიც უნდა გახდეს... კეთილშობილების უძლურებაში გადაბარგება კარგს არაფერს მოგვიტანს. გამოვუტყდეთ მაინც: თუ ერთმანეთი არ გვინდა, მოვეშვათ ყველაფერს. კანონდარღვევა, რომელიც შენიღბული სვლით განხორციელდა დღევანდელი მთავრობის მიერ, არის თვალხილული სინამდვილე. ადგილების გამოსანთავისუფლებლად დაძალებით განცხადების დაწერა უსამართლობაა... სამართალი საძებარი გახდა. სამუშაო ადგილებიდან მასობრივი დათხოვნა საითკენაც მიგვაქანებს, ხედავს ერი და ბერი. სინამდვილე თვალის გასწორებას მოითხოვს.**

იხ. მე-3 გვ.

## ◉ ინფორმაცია

### თბილისს ახალი მთავრობა ეყოლება

თბილისის ახალმა მერმა გიგი უგულავამ გუშინ საზოგადოებას დედაქალაქის მთავრობის ახალი შემადგენლობა წარუდგინა.

მერის განცხადებით, თბილისის ვიცე-პრემიერის თანამდებობაზე წარდგენილია გიორგი მელაძე, რომელიც დღემდე სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ხელმძღვანელობდა.

როგორც უგულავამ განაცხადა, სწორედ შესყიდვები განაპირობებს ქალაქის ბიუჯეტის კეთილსინდისიერ ხარჯვას, ამიტომ მისი კანდიდატურის ამ თანამდებობაზე წარდგენა, მნიშვნელოვანია.

რაც შეეხება მერიის კანონიერების დაცვის ინსპექციას, ამიერიდან ამ სამსახურს დავით საყვარელიძე უხელმძღვანელებს, რომელიც სახელმწიფო კანცელარიაში იურიდიულ სამსახურს ხელმძღვანელობდა. დღემდე კანონიერების დაცვის ინსპექციას მერიაში გიორგი ხაბაშვილი თავკაცობდა. ურბანული დაგეგმარებისა და სივრცითი განვითარების საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელის პოსტს ნიკოლოზ ჩხაიძე დაიკავებს.

ასევე ახალი კანდიდატია კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე, მას სახელმწიფო კანცელარიის თანამშრომელი კობა სუბელიანი დაიკავებს. დღემდე ეს თანამდებობა ტარიელ ხიზანეიშვილს ეკავა.

ახალ კანდიდატურებს მერი საკრებულოს წარუდგენს და საკრებულოს დამტკიცების შემდეგ, ისინი ახალ თანამდებობებზე დაინიშნებიან.

### დადიანების სასახლიდან საკათედრო ტაძარში გადააბრძანეს

გუშინ ზუგდიდში ლაქერნობის დღესასწაულთან დაკავშირებით დადიანების მუზეუმიდან ღვთისმშობლის კვართი ზუგდიდის ლაქერნის ღვთისმშობლის ხატის საკათედრო ტაძარში გადააბრძანეს. სადღესასწაულო წირვა-ლოცვა აღავლინა ზუგდიდისა და ცაიშის ეპარქიის მთავარეპისკოპოსმა მეუფე გერასიმემ. ლაქერნობის დღესასწაულთან დაკავშირებით ზუგდიდში სხვადასხვა კუთხეებიდან მრევლია ჩასული. წირვალოცვას დაახლოებით 3000 ადამიანი ესწრება. მათ შორის არიან ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლები.

### ვეტერანთა რაოდენობა განახევრდა

საქართველოს ვეტერანთა საქმეების სახელმწიფო დეპარტამენტმა ვეტერანთა ხელახალი რეგისტრაციის პროცესი დაასრულა. ხელახალი რეგისტრაციის შედეგად ვეტერანთა რიცხვი 117 ათასიდან 60 ათასამდე შემცირდა. დეპარტამენტმა ვეტერანთა მონაცემები შესაბამის ძალოვან უწყებებს უკვე გადაუგზავნა. ვეტერანებისთვის მოწმობების გაცემა უახლოეს ხანებში დასრულდება. ხელახალი რეგისტრაცია ცხრა თვის განმავლობაში მიმდინარეობდა.

საქართველოს ვეტერანთა საქმეების სახელმწიფო დეპარტამენტის ინიციატივით და ბოლნისის რაიონის გამგეობის ხელშეწყობით, ბოლნისში მცხოვრები ომის ვეტერანები და მათი ოჯახის წევრები, დღეს დასასვენებლად ქობულეთში მიემგზავრებიან. ქობულეთის სასტუმრო „ედემში" 50 კაცი 10 დღის განმავლობაში დაისვენებს და სამჯერადი კვებითა და საჭირო სამედიცინო დახმარებით იქნებიან უზრუნველყოფილნი.

დეპარტამენტის ინიციატივით, ვეტერან დამსვენებელთა ერთი ჯგუფი ცხვარიჭამიაში იმყოფება.

### წყალდიდობისგან დაზარალებულთ საბერძნეთიც დაეხმარება

საბერძნეთის ეკლესიის არასამთავრობო ორგანიზაცია „სოლიდარითიმ", საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს დახმარებით, საქართველოში 300 ტონა საკვები პროდუქტი გამოაგზავნა.

აღნიშნული ტვირთი შინაგან საქმეთა, განათლებისა და მეცნიერების, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროების მეშვეობით წყალდიდობისგან დაზარალებულ და სოციალურად დაუცველ მოსახლეობაზე გადანაწილდება.

ინტერპრესნიუსი

## ◉ პანორამა

ისრაელის შვეულმფრენებმა წერტილოვანი დარტყმებით „ჰამასის" 5 მოთარეშე მოსპეს. ვერტმფრენებმა ესროლეს ავტომანქანას, რომელშიც „ჰამასის" 3 აქტივისტი იჯდა, ქალაქის ნაბლუსისა და სილფიტის შორის, იორდანის დასავლეთ ნაპირზე. იმავდროულად ღაზის სექტორში რაკეტებით კიდევ ერთი ავტომანქანა დაწვეს.



* * *

უკრაინის შინაგან საქმეთა სამინისტრომ „ახსნა-განმარტების ჩამოსართმევად" კუჩმას ადმინისტრაციის ყოფილი მეთაური ვიქტორ მედვედჩუკი გამოიძახა. მედვედჩუკი დაჯილდოების კომისიას ხელმძღვანელობდა. და ახლა სამინისტროს აინტერესებს, თუ ვის და რა დამსახურებისთვის ურიგებდა ის ჯილდოებს.

* * *

ბაღდადში განხორციელებული ტერაქტების სერიის შედეგად გუშინ 20 კაცი დაიღუპა. ამერიკის სარდლობა იუწყება, რომ სამი დანაღმული მანქანის აფეთქების შედეგად დაიღუპა 5 ერაყელი სამხედრო მოსამსახურე და 15 სამოქალაქო პირი.

## ◉ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

## მიშა დახვეწილი ინტელიგენტია

### გაზეთის კორესპონდენტის კითხვებს პასუხი გასცა საქართველოს პარლამენტის დეპუტატმა ვან ბაიბურთმა

**– თქვენ იყავით საქართველოს პარლამენტის დეპუტატი როგორც „ვარდების რევოლუციამდე", ისე მის შემდეგ, როდის უფრო უკეთესი იყო საქართველოში ცხოვრება?**

– ის, რომ ჩვენ სადღეისოდ უკეთ დაცულები ვართ და კანონებიც ქვეყანაში მოქმედებს, ეს ფაქტია. და ცხოვრებაც, რა თქმა უნდა, უფრო გაადვილდა რევოლუციის შემდეგ. მე, როგორც ადამიანმა, რომელსაც უშუალო კავშირი აქვს სომხეთთან, ამ ბოლო ხანებში მუშაობა დავიწყე ექსკურსიამძღოლად და ერევანში ჩამომყავს თბილისელი ბავშვები, რომლებსაც ბევრი რამ სმენიათ სახელმწიფო ავტოინსპექციის მუშაკებზე, მაგრამ ისინი თვალით არ უნახავთ. ბავშვებმა უნდა ნახონ, თუ როგორი ანაქრონიზმია ეს, როცა ყოველ ნაბიჯზე ინსპექტორი დგას. ასეთ რამეს საქართველოში ვეღარ იხილავთ. ყველა სფეროში იგრძნობა, რომ ქვეყანა წინ მიიწევს, რადგან ჩვენი ახალგაზრდა ხელმძღვანელის მენტალიტეტი სულ სხვაგვარია. ჩვენ, როგორც ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლები, ამას საკუთარ თავზე ვგრძნობთ.

იხ. მე-2 გვ.

## ◉ ციფრების ენით

### რამდენს გამოიმუშავებენ ადამიანები თანამეგობრობის ქვეყნებში

საშუალო-თვიური ხელფასი აშშ დოლარებში

| | |
|---|---|
| რუსეთში | – 237,2 |
| ყაზახეთში | – 207,8, |
| ბელორუსიაში | – 161,8, |
| უკრაინაში | – 110,8, |
| აზერბაიჯანში | – 98,4, |
| მოლდავეთში | – 89,5, |
| სომხეთში | – 78,7, |
| საქართველოში | – 58,5, |
| ყირგიზეთში | – 51,7, |
| ტაჯიკეთში | – 20,5. |

შენიშვნა: საქართველოს მონაცემები განეკუთვნება 2003 წელს.

იხ. მე-11 გვ.

## ჩვენ მხოლოდ ვარსებობთ!

**იქნებ ბებერი ხარის რქებიცა ხნავენ?! ნუთუ უკვე არავის ვჭირდებით, უკვე „მოვჭამეთ" ჩვენი დრო და აწი?!.. – მეკითხება ჩემი პენსიონერი ძმობილი.**

**მე კი ვერ ვპასუხობ ამ კითხვებს! მე მხოლოდ პენსიონერთა ბაღიდან ქაღალდზე გადმომაქვს ეს სატკივარი! იქნებ ისმინოს ვინმემ და არ გავუქარწყლოთ ამ უშედავათოდ დარჩენილ ხალხს ხვალინდელი დღის იმედი!**



იხ. მე-4 გვ.

## მუმია, რომელიც ადამიანებს ხოცავს

### სენსაცია!

**ის, ვინც იგი იპოვა, მთებში გაიყინა. ის, ვინც მას იკვლევდა, ავტოკატასტროფაში დაიღუპა. მან, ვისაც ის გაჰქონდა, თავში ქვა მიიღო. ის, ვინც მასზე ფილმი გადაიღო, საშინელი ტანჯვით მოკვდა. მაინც რა ემართება "ყინულის ადამიანის" სხეულს?**

იხ. მე-10-11 გვ.




ასე გამოიყურებოდა მუმია რეკონსტრუქციის შემდეგ. მეცნიერებს დღემდე ვერ აუხსნიათ, რატომაა სხვადასხვა ნივთი სხვადასხვა ასაკის

## როცა იძულებული იყვნენ, თავი ემართლებინათ...

**„პოლიტიკოსი არ ვყოფილვარ და არცა ვარ. არა ვარ, არა იმის გამო, ვითომ პოლიტიკის არა გამეგებოდეს რა. არა ვარ იმის გამო, რომ ღრმად და მკაფიოდ მაქვს შეგნებული: მწერალი, რომელიც პოლიტიკაში ერევა, პოლიტიკას ვერას არგებს, თავის თავს კი, როგორც ხელოვანს, ვნებასაც მიაყენებს".**

იხ. მე-7 გვ.



◎ სახალხო დიპლომატია

# პირველი მერცხალი მშვიდობის გზაზე

(პირველი გვერდიდან)

**— კადრებს თუ მოამზადებთ, რომლებიც შეძლებენ ამ რთულ აპარატურაზე მუშაობას?**

— უკვე სამი-ოთხი თვეა, ოსი ექიმები ჩვენთან ემზადებიან. ამჟამადაც მათი ორი წარმომადგენელი იმყოფება ჩვენს ინსტიტუტში. დღეს ჩამოვა ინჟინერი და დავიწყებთ კომპიუტერული ტომოგრაფიის დემონტაჟს. ამის გარდა მათ ექნებათ რენტგენის, ულტრაბგერითი კვლევის, ოფთალმოდიაგნოსტიკის კვლევის და სხვა აპარატურა, რომელიც ზუსტი დიაგნოსტიკის საშუალებას მისცემთ. ორი წლის წინათ ასეთი აპარატურა ჩვენ ბათუმსაც გადავეცით.

**— არსებული პოლიტიკური დაძაბულობიდან გამომდინარე, რაც ორ ერს შორის არის, რაიმე უხერხულობა ხომ არ შექმნილა თქვენსა და ცხინვალის ხელისუფლებას შორის შეხვედრისას?**

— არავითარი დისკომფორტი არ მიგრძვნია. არც გაუცხოების გრძნობა ყოფილა. ამაში თავიდანვე დარწმუნებული ვიყავი, რადგან იმდენი ოსი პაციენტი მყავს, რომ ქუჩაში, სანამ ბატონ ქოქოითის კაბინეტში ავიდოდით, ხალხი მოდიოდა გამარჯობის სათქმელად.

**— ტელეეკრანიდან ჩანდა, რომ რეგიონის დე ფაქტო ხელმძღვანელმა გულთბილად მიგიღოთ.**

— დიახ. ის კართან დამხვდა. შემეგება, სამჯერ გადამკოცნა. შემდეგ მან, როგორც პოლიტიკოსებს ჩვევიათ, თავისი განცხადება გააკეთა. მას ვუთხარი, რომ მე არა ვარ პოლიტიკოსი, რომ ვარ ექიმი და მათთან მიველი სამედიცინო საკითხებზე სასაუბროდ... მან ჟურნალისტებთან მშვიდობის დესპანი მიწოდა. შემდეგ ვისაუბრეთ კადრების მომზადების, დახმარების კონკრეტულ საკითხებზე.



**— სხვას არაფერს შეხებიხართ?**

— მითხრა, შეიძლება ჩვენ, პოლიტიკოსები ვერ ვუგებთ ერთმანეთს, მაგრამ თქვენისთანა ხალხის ჩამოსვლა, ინტელიგენციის შეხვედრები აუცილებელიაო. აქ ბევრი რამ მოხდა უსიამოვნო. თუ კიდევ გვეწვევით, ალბათ, ჩვენს შორის გაჩენილი ყინულიც ნელ-ნელა დადნებაო. მან ჩვენს შეხვედრას საჭირო უწოდა. აღმოჩნდა, რომ ბევრი საერთო ნაცნობიც გვყოლია მოსკოვში. გაიხსენა ბატონი ლეო ბოკერია. ხშირად ჩამოდით ინტელიგენციის წარმომადგენლები და ჩვენც დაგხვდებით, მერე ერთად დავსხდეთ და დავლიოთო.

ბატონმა ქოქოითმა აღნიშნა, სამი შვილი მყავს და ომი არ მინდაო. მან შინაც მიმიპატიჟა, თუ ამაღამ დარჩებით, მეწვიეთო.

**— თქვენ, ალბათ, ისევ წახვალთ ცხინვალში...**

— წავალ კი არა, უნდა წავიდე. 20-ტონიანი აპარატის დემონტაჟი და ჩალაგება დავიწყეთ და ხომ უნდა მივიყვანოთ საქმე ბოლომდე. ადგილზე უნდა დავამონტაჟოთ ყველაფერი, მასპინძლებს ურთულეს ტექნიკაზე მუშაობა უნდა ვასწავლოთ.

**— ცხინვალის ჯანდაცვის მინისტრი ჯემალ ჯიგკაევი მშვენივრად საუბრობდა ქართულად...**

— ამ 7-8 წლის წინათ მან პაციენტი ჩამოიყვანა ჩვენთან და მაშინ გავიცანი. იქიდან დაიწყო ჩვენი მეგობრობა. სხვათა შორის, ჯემალის დედა მეგრელია. ჩვენი ორი ერი ძალზე ახლოა ერთმანეთთან.

**— მანამდე თქვენ საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილსაც შეხვდით.**

— დიახ, მან მხარი დაუჭირა ჩვენს პირად მისიას. გვითხრა, რომ პოლიტიკა სხვა რამაა, ექიმები კი საზღვრების გარეშენი ხართო.

**— სრულიად შესაძლებელია, რომ ყველაფერი კარგი ადამიანური ურთიერთობებიდან დაიწყოს!**

— სწორედაც, ბატონმა ქოქოითმა არაერთხელ მითხრა, რომ ინტელიგენციის წარმომადგენლები ხშირად უნდა ჩავიდეთ ცხინვალში, რომ სწორედ ინტელიგენციამ უნდა ვაიძულოთ პოლიტიკოსები, რათა კონფლიქტი მშვიდობიანად მოგვარდეს. ეს კი ორივე მხარის კეთილ ნებაზეა დამოკიდებული.

ესაუბრა
**ლია ჭილლაძე**

◎ ინფორმაცია

## ეს საქმე ძნელად გაიხსნება

**საქართველოს პრემიერ-მინისტრის ზურაბ ნოღაიდელის განცხადებით, საქართველოს ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რათა პარლამენტარ ვალერი გელაშვილზე განხორციელებული თავდასხმა უახლოეს მომავალში იქნას გამოძიებული.**

**„გამოძიება უახლოეს მომავალში უნდა დასრულდეს, რათა იმ აბსურდულ ბრალდებებს, რომელსაც ოპოზიცია გვიყენებს, წერტილი დაესვას“, — აღნიშნა ნოღაიდელმა.**

**გუშინწინ რესტორან „თეთრ სახლთან“ დეპუტატ ვალერი გელაშვილზე თავდასხმა განხორციელდა. იგი მძიმე ტრავმებით მიხეილის საავადმყოფოში მოათავსეს, გუშინ კი ვილნიუსში გადააფრინეს.**

**გელაშვილის ახლობლები თავიდანვე გამორიცხავენ ყაჩაღობის ვერსიას. მათი თქმით, ეს პოლიტიკური შეკვეთა იყო. ბოლო დროს დეპუტატმა ვალერი გელაშვილმა პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი მედიის საშუალებით არაერთხელ გააკრიტიკა.**

**ვალერი გელაშვილი ხელისუფლებას „არასერიოზულს“ უწოდებს. საქმე ეხება ავლაბრის რეზიდენციის მიმდინარე მშენებლობას, რომელსაც სხვა კომპანიებთან ერთად, ვალერი გელაშვილის მიერ დაფუძნებული სამშენებლო ფირმა ახორციელებს. გელაშვილმა პრეზიდენტს ის საცხოვრებელი სახლი დაუთმო, რომელიც მისი საკუთრებაა და რეზიდენციის გვერდით მდებარეობს.**

**როგორც გელაშვილი აცხადებს, იგი სააკაშვილს სახლს მისი სურვილისამებრ უშენებს. პარლამენტარი პრეზიდენტს იმ თანხას სთხოვს, რაც მისმა კომპანიამ რეზიდენციის მშენებლობისთვის დახარჯა. წინააღმდეგ შემთხვევაში, გელაშვილი აპირებს დათმობილი სახლი აუქციონის წესით, 5 მილიონ დოლარად გაყიდოს.**

**ინტერპრესნიუსი.**

◎ გზად ამერიკისკენ

# გამყრელიძეს ბუში უმასპინძლებს?

**პოლიტიკური გაერთიანება „ახალი მემარჯვენეების“ ლიდერი დავით გამყრელიძე ერთკვირიანი ვიზიტით აშშ-ში გაემგზავრა, სადაც მონაწილეობას მიიღებს საერთაშორისო დემოკრატიული კავშირის წევრი პარტიების ლიდერთა შეხვედრაში. ვიზიტთან დაკავშირებით პარტიის საერთაშორისო მდივნის ამპლუაში გიორგი მოსიძემ პირველი პრესკონფერენცია გამართა.**

საერთაშორისო დემოკრატიული კავშირი 1983 წელს ლონდონში დაარსდა, როგორც მემარჯვენე ცენტრისტული პოლიტიკური ძალების საერთაშორისო გაერთიანება. ამ გავლენიანი კავშირის წევრები არიან ამერიკის შეერთებული შტატების რესპუბლიკური პარტია, დიდი ბრიტანეთის კონსერვატიული პარტია, ავსტრალიის ლიბერალური პარტია, გერმანიის ქრისტიან-დემოკრატიული პარტია, ესპანეთის სახალხო პარტია და ა.შ. „ახალი მემარჯვენეები“ ამ საერთაშორისო დემოკრატიული კავშირის წევრად 2005 წლის 27 აპრილს მიიღეს.

სდკ-ს თავმჯდომარე ჯონ ჰოვარდია, რომელიც ამჟამად ავსტრალიის პრემიერ-მინისტრი და ავსტრალიის ლიბერალური მემარჯვენე პარტიის თავმჯდომარეა. კავშირის წევრი პარტიების ლიდერთა შეხვედრა, რომელიც 3 წელიწადში ერთხელ იმართება, წელს 18-19 ივლისს ვაშინგტონში შედგება. შეხვედრას აშშ-ს რესპუბლიკური პარტია და პრეზიდენტი ჯორჯ ბუში მასპინძლობს.



სადღეისოდ „ახლები“ სდკ-ს ერთადერთი წევრია საქართველოდან. გიორგი მოსიძე მიიჩნევს, რომ ამგვარი აღიარება საფუძველს ჩაუყრის პარტიის კიდევ უფრო ღრმა ინტეგრაციას საერთაშორისო თანამეგობრობაში, რაც შემდგომ უზრუნველყოფს ფართო უცხოურ მხარდაჭერას.

შეხვედრას დაესწრებიან სხვადასხვა ქვეყნის პრეზიდენტები, პრემიერ-მინისტრები. გამყრელიძე საქმიან შეხვედრებს გამართავს უცხოელ კოლეგებთან. დაგეგმილია მისი სიტყვით გამოსვლაც. მოსიძის თქმით, გამყრელიძე მოინახულებს რამდენიმე პირად მეგობარს, რომლებსაც თეთრ სახლში სერიოზული თანამდებობები უკავიათ.

გიორგი მოსიძე აცხადებს, რომ მემარჯვენეების საერთაშორისო აქტივობა დღითი დღე მატულობს. მაგალითისთვის სექტემბრის ბოლოს თბილისში დაგეგმილი ევროპის სახალხო პარტიის და ევროპის მემარჯვენე ახალგაზრდობის ერთობლივი ფორუმი მოჰყავს. ფორუმზე დასასწრებად ევროპის 100-ზე მეტი ქვეყნის წარმომადგენლებს ელოდებიან.

ამერიკაში საერთაშორისო დემოკრატიული კავშირის შეხვედრაზე დასასწრებად კონსერვატორთა ლიდერებიც — კობა დავითაშვილიც და კახა კუკავაც გაემგზავრნენ. ისინი ფორუმს სტუმრის სტატუსით დაესწრებიან. — ყველანაირად მივესალმებით, თუ მოხდება ჩვენი პარტნიორი პოლიტიკური ძალების ინტეგრაცია საერთაშორისო სტრუქტურებში, თუმცა გაწევრიანება არც ისე იოლია. „ახლებმა“ ამაზე მუშაობა 2002 წელს დავიწყეთ და მიზნის მისაღწევად სამი წელი დაგვჭირდა. პარტია, რომელიც საპარლამენტო არჩევნებში ბარიერს დამოუკიდებლად ვერ გადალახავს, როგორც წესი, მის კანდიდატურას არ განიხილავენ. მემარჯვენეებმა კი საარჩევნო ბარიერი ორჯერ გადავლახეთ, — აცხადებს გიორგი მოსიძე.

როგორც ჩანს, კონსერვატორებს და კავშირში გაერთიანების მსურველ სხვა პოლიტიკურ ძალებს კიდევ დიდი გზის გავლა მოუწევთ.

**ლელა ხვადაგიანი**

◎ დღის თემა

# ტანკები... პლაჟზე?

**რაც აფხაზეთისკენ გზა გადაგვიკეტეს, ზაფხულობით თვალი მხოლოდ აჭარისკენ გვიჭირავს. ზღვას აქდა ვნახულობთ, აქდა ვისვენებთ ცოტა გემრიელად, ცოტა ადამიანურად.**

გუშინ შინაგან საქმეთა სამინისტრომ აჭარაში 144 პატრული დამატებით გადაისროლა. ისინი კრიმინალურ პოლიციასთან ერთად დამსვენებლებს დაიცავენ მოძალადე სამყაროსგან. ვანო მერაბიშვილმა „შავებსაც“ დასვენება შესთავაზა, — ტყუილად ნუ გაირჯებით, ამ 2-3 თვეში აჭარაში ვეღარაფერს გახდებითო. ვნახოთ, როგორ შესრულდება პირობა...

თუმცა, რა პირობის შესრულებაზეა ლაპარაკი. გუშინვე დილით, რუსმა სამხედროებმა მე-12 ბაზიდან ჯავშან-ტექნიკა გამოახრიგინეს და ქათქათა ქალაქის მიდამოებში, კერძოდ, ხელვაჩაურის რაიონში „მარიაჟობა“ დაიწყეს. ქართველმა სამხედროებმა ისინი დააკავეს, რადგან შეთანხმება დაარღვიეს. პირობის მიხედვით, მათ 15 ივლისიდან 15 სექტემბრამდე, ვიდრე ტურისტული სეზონი არ დამთავრდებოდა, გეგმიური წვრთნები გონიოს ნაცვლად სიმონეთში უნდა ჩაეტარებინათ, მაგრამ... როდის შეუსრულებიათ რუსებს ან შეთანხმება, ან პირობა, რომ ახლა შეესრულებინათ? ამიტომაც მათი ტანკები დააპატიმრეს...

საღამო ხანს ტანკები გაათავისუფლეს. რუსულმა მხარემ განაცხადა, რომ საკურორტო სეზონის დროს სამხედრო წვრთნებს აღარ გამართავს და დამსვენებელს ბათქა-ბუთქით არ გააყრუებს. ასე რომ, ვისაც გარუჯვა სურს, შეუძლია თავისუფლად ჩავიდეს ბათუმში და მშვიდად მიეფიცხოს თაკარა მზეს.



ივან, ასე არა სჯობია?

**ბონდო გულიაშვილი**

◎ „ალოობა-2005“

# შირაქში ხორბალს მკიან

**დედოფლისწყაროს რაიონში ტარიბანასა და ალაზნის ველზე კარგა ხანია დაიწყო თავთავიანი მარცვლეულის მოსავლის აღება. ამ დღეებში ალოობამ შირაქში გადაინაცვლა, სადაც საჰექტარო მოსავლიანობა საშუალოდ 20 ცენტნერია.**

წლეულს საშემოდგომო ხორბალი რაიონში 16070 ჰექტარზეა დათესილი, აქედან 1200 ჰექტარი უკვე აღებულია, დამთავრდა ქერის მკა, რომლის საშუალო საჰექტარო მოსავლიანობამ 15 ცენტნერი შეადგინა.

როგორც სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა თამაზ მენთეშაშვილმა განაცხადა, სამთაწყაროს, ფიროსმანის და საბათლოს ტერიტორიაზე 238 ჰექტარი ხორბლის, ქერის, სიმინდის, კარტოფილის და ბოსტნეულ-ბაღჩეულის კულტურების ნათესები ამას წინათ ადიდებულმა ალაზანმა დატბორა. წინასწარი გაანგარიშებით, ზარალი 144 ათას ლარს შეადგენს, მაგრამ ახლა მოსავლის აღების პერიოდში დგება მეორადი აქტები, რომლის საფუძველზეც დადგინდება საერთო ზარალის თანხა. იმედია, სახელმწიფო დაგვეხმარება მიყენებული ზარალის ანაზღაურებაში, — თქვა მან.

**ნანა ჭიჭინაძე,**
**„სრ“ საკ. კორ.**

◎ ცესკო

# უნდა დაწერონ თავიდან და კონკრეტულად

**16 ივნისს საინიციატივო ჯგუფმა, რომელშიც შედიოდა სახალხო ფორუმი, რესპუბლიკური პარტია და კონსერვატიული პარტია, საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას რეფერენდუმის ჩატარების შესახებ განცხადებით მიმართა.** ცესკოს მიაჩნია, რომ საინიციატივო ჯგუფის მიერ წარმოდგენილი სარეფერენდუმო კითხვა — „თანახმა ხართ თუ არა, რომ საქართველოს ყველა დასახლებული პუნქტის მერი-გამგებელი აირჩეს პირდაპირი კენჭისყრით ამ დასახლებული პუნქტის მოსახლეობის მიერ?“ იურიდიულად სწორად არ არის ჩამოყალიბებული, ანუ მასში იურიდიული უზუსტობებია გაპარული. კერძოდ, ცესკო თვლის, რომ თუ ამომრჩეველი არ იცნობს ქვეყნის თვითმმართველობის სისტემას, შესაძლოა გაუჩნდეს აზრი, რომ რეფერენდუმის გზით ხდება იმის დაკანონება, რომელიც უკვე არსებობს. ამასთან, ცესკომ დაიწუნა ტერმინი „პირდაპირი კენჭისყრა“, აღნიშნა, რომ სამართლებრივად გამართულია ტერმინი „პირდაპირი არჩევნები“. გარდა ამისა, აღნიშნა, რომ სარეფერენდუმო საკითხის წარმომდგენი საინიციატივო ჯგუფის სიაში სრულყოფილად არ იყო



მითითებული ხელმომწერთა მისამართები და სხვა. ყველა ამ შენიშვნის შესახებ ცესკომ ორიოდე დღის წინათ საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენლებთან შეხვედრაზე აღნიშნა და მოითხოვა ხარვეზების გასწორება, რაც საინიციატივო ჯგუფის მხრიდან არ გაკეთდა. უფრო ზუსტად, მათ მხოლოდ ერთი შენიშვნა გაითვალისწინეს — ტერმინი „პირდაპირი კენჭისყრა“ შეცვალეს ტერმინით „პირდაპირი არჩევნები“.

წარმოდგენილ განცხადებაში საინიციატივო ჯგუფის წევრთა მისამართები და დაუზუსტებელი სიები უარის თქმის ერთ-ერთი მიზეზი გახდა — როგორც ცნობილია, გუშინ საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ განიხილა სარეფერენდუმოდ შემოტანილი საკითხი და ღია კენჭისყრით მხარი არ დაუჭირა წარმოდგენილი სარეფერენდუმო საკითხის საინიციატივო ჯგუფის რეგისტრაციაში გატარებას.

სხდომის შემდეგ გამართულ ბრიფინგზე ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ გია ქავთარაძემ განაცხადა:

„ჩვენ უკვე კარგა ხანია საინიციატივო ჯგუფთან ამ საკითხებზე ვმუშაობთ. როდესაც ცენტრალურ საარჩევნო კომისიას შეხვედრები ჰქონდა პოლიტიკურ პარტიებთან, მოძრაობებთან, ჩვენ ვხვდებოდით საინიციატივო ჯგუფის წევრებსაც, იმთავითვე მივუთითებდით იმ ხარვეზებისა და ნაკლოვანებების შესახებ, რომელიც წარმოდგენილ სარეფერენდუმო საკითხს თან ახლავს. დასაზუსტებლად მათთან ერთად სხდომაც მოვიწვიეთ, კიდევ ერთხელ გავაცანით ჩვენი შენიშვნები, დოკუმენტებიც გადავეცით, სადაც მითითებული იყო აღნიშნულ შენიშვნებზე, მაგრამ, როგორც თქვენ თვითონ ნახეთ, საინიციატივო ჯგუფმა თანხმობა მოგვცა, დავვეკონკრეტებინა მხოლოდ ერთადერთი საკითხი, რომელიც მათი მხრიდან ძალიან, ძალიან აშკარა შეცდომა იყო. „პირდაპირი კენჭისყრა“ მათ შეცვალეს ტერმინით „პირდაპირი არჩევნები“. დანარჩენ საკითხში მათ არ ისურვეს ფორმულირების დაზუსტება“.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება საინიციატივო ჯგუფს ხუთი დღის ვადაში აქვს, რასაც აპირებენ კიდეც.

შეკითხვაზე, თუ რატომ დაუშვეს მათ ასეთი უზუსტობები, ბოლოს და ბოლოს მისამართის სწორად მითითებას რა დიდი ამბავი უნდოდა, საინიციატივო ჯგუფის იურისტმა ლადო სანიკიძემ მიპასუხა, ეს მიზეზი რომ არ ყოფილიყო, სულ ერთია, სხვა რაღაცას მოიფიქრებდნენ და მაინც უარს გვეტყოდნენო.

ასეა თუ ისე, ვფიქრობ, საინიციატივო ჯგუფს იურიდიული ლაფსუსები არ უნდა გაჰპარვოდა, აკი „რეფერენდუმის შესახებ“ ორგანული კანონის მე-10 მუხლის პირველ პუნქტში გარკვევით წერია: „სარეფერენდუმოდ შემოთავაზებული საკითხი საინიციატივო ჯგუფმა უნდა ჩამოაყალიბოს მკაფიოდ და კონკრეტულად“.

**მზია გელენავა**

◎ რეპლიკა

# ხელები ნაჯახს, ამხანაგებო?

**ცნობილია, წერილობით სიტყვას უფრო დიდი გავლენა აქვს ადამიანზე, ვიდრე ზეპირად თქმულს.**

**სიტყვა ჩიტივით არის, იტყვი და გაფრინდება, კალმით დაწერილს კი ნაჯახით ვერ ამოჩეხავ.**

**ამიტომ, ყოველ სიტყვას საგულდაგულოდ უნდა აწონ-დაწონვა.**

**სამწუხაროდ, ყველა როდი უკვირდება ამას.**

ჩვენი გაზეთის გუშინწინდელ, 14 ივლისის ნომერში ერევნის გაზეთ „გოლოს არმენიიდან“ ა. კაზიმიანის წერილი „ისევ სამცხე-ჯავახეთის პრობლემის შესახებ“ გადმოვბეჭდეთ.

როგორც სათაური გვამცნობს — „ისევო“, ჩანს, სამცხე-ჯავახეთის შესახებ ეს გაზეთი ხშირად წერს.

ოღონდ, თუ ყოველთვის ისე წერს, როგორც ამჯერად წერს, გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ მკითხველს დამახინჯებულად წარმოუჩენს რეალობას და ხაზგასმით განაწყობს მას საქართველოს წინააღმდეგ.

შეგახსენებთ: ავტორი აკრიტიკებს სომხეთის პარლამენტის სპიკერს არტურ ბაღდასარიანს, რომელმაც ამ ცოტა ხნის წინათ საქართველოში ყოფნისას თურმე „საქართველოს ხელისუფლება დაარწმუნა, რომ სომხეთის საზოგადოებას აღელვებს მხოლოდ საქართველოში მცხოვრებ თანამემამულეთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა“.

როგორ თუ მხოლოდ სოციალურ-ეკონომიკურიო! მაშინ როდესაც ყველამ, ვინც კი საქართველოს სომხებით დასახლებულ რაიონებში ყოფილა, ჩინებულად იცის, რომ ამჟამად საქართველოში ხორციელდება სომხური კულტურული ფენის სრული მოსპობისთვის გამიზნული პოლიტიკაო... რეგიონის სომეხი მოსახლეობისთვის სოციალურ-ეკონომიკურზე გაცილებით უფრო პრიორიტეტულია სომეხთა გენოციდის აღიარებასთან (?!), სომხური ეკლესიების შენარჩუნებასთან, ეროვნული სკოლების სტაბილურ ფუნქციონირებასთან და მათი უშიშროების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული საკითხებიო (აქ სიტყვა გადაკრულია იმაზე, რომ რუსეთის ბაზა თურმე ყოველთვის იყო იქ მცხოვრები სომხების უშიშროების და არა ეკონომიკური გარანტი).

მოკლედ, რის სოციალურ-ეკონომიკური, მთავარი პოლიტიკური საკითხიაო. მხოლოდ „კულტურული ავტონომია“, რომლის იდეას ასე მტკივნეულად აღიქვამს ოფიციალური თბილისი, არსებითად არის ამ ტერიტორიაზე სომხური კულტურული ფენის შენარჩუნების გარანტიაო!

ბატონი კაზიმიანი სვამს რიტორიკულ და ცეცხლოვან კითხვებს: მაინც როგორ აპირებს სომხეთის რესპუბლიკის პარლამენტის სპიკერი სოციალურ-ეკონომიკურ კონტექსტებში განიხილოს სომხური ეკლესიების მიზანმიმართული ნგრევის ან მათი ქართულ ტაძრებად გადაკეთების პროცესი? როგორ განმარტავს იგი იმ ფაქტს, რომ ახალციხესა და ახალქალაქში მოქმედ თბილისის უნივერსიტეტის მესხეთის და ჯავახეთის ფილიალებში მხოლოდ ქართველ სტუდენტებს ეძლევათ უფასო კურსებზე სწავლის შესაძლებლობა მაშინ, როცა ადგილობრივი სომეხი სტუდენტობა იძულებულია გადაიხადოს სწავლის ფული? რა კავშირი აქვს სომხეთის ეკონომიკურ მდგომარეობასთან ახალციხის №3 სკოლის შტურმს და ყოველივე იმას, რაც ეხება განათლების სფეროს?

ეს კითხვები ისე შეუვალად არის დასმული, როგორც ერთადერთი ჭეშმარიტი და მაშრიყიდან მაღრიბამდე საყოველთაოდ ცნობილი ამბავი.

გამოჩენილ არმენოლოგს, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს **ბონდო არველაძეს** კომენტარი ვთხოვე საქართველოში სომხური „ეკლესიების“ ნგრევა-გადაქართულებასთან დაკავშირებით. ბატონმა ბონდომ განაცხადა:

**— საკმაოდ კარგად ვიცი საქართველოში არსებული სომხური ეკლესიების ამბავი და შემიძლია დაბეჯითებით გითხრათ, რომ ბოლო 6-7 ათწლეულის მანძილზე სომხური ეკლესიის დანგრევის მხოლოდ ერთადერთი შემთხვევაა აღნუსხული: 1970-იან თუ 1980-იან წლებში ავლაბარში მდებარე შამქორელების ეკლესია დაინგრა. დაინგრა თავისით, ბუნებრივად! მისი ნანგრევები დღემდე ხელუხლებელია. რაც შეეხება გასული საუკუნის 20-30 წლებში დანგრეულ ტაძრებს, ეს ბოლშევიკური ათეისტური კამპანიის შედეგი იყო. მაშინ მთელ საქართველოში უამრავი ეკლესია მოსპეს (მაგალითად, მთელს გურიაში ორი-სამიღა თუ შემორჩა). ისიც გავიხსენოთ: როცა 1930-იან წლებში თბილისში, დღევანდელ კოლმეურნეობის მოედანზე ვანქის ეკლესია დაანგრიეს, ქართულმა საზოგადოებრიობამ იქ დაკრძალული სომეხი მოღვაწეების ნეშტები ხოჯავანქის სასაფლაოზე გადაასვენა.**

**რაც შეეხება სომხური ეკლესიების „ქართულად გადაკეთებას“. ისინი არავის არ „მიუტაცია“, ქართული ეკლესიები იყო თვით სომხური მრევლის მიერ მიტაცებული XIX საუკუნეში, ან უფრო ადრე. ახლა საქართველოს საპატრიარქომ დაიბრუნა თავისი საკუთრება (ამის შესახებ შეგიძლიათ დაწვრილებით, დოკუმენტურად დადასტურებულად წაიკითხოთ ჩემს წიგნში: „სომხური“ თუ ქართული ეკლესიები საქართველოში?“, რომელიც ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე გამოქვეყნდა 1996 წელს). ასეთებია, მაგალითად, თბილისის ბეთლემის, სურბ-ნშანის, ორმოც მოწამეთა ეკლესიები და სხვ. რაც შეეხება ნორაშენს, რომელზეც ხმაური ატყდა რამდენიმე ხნის წინათ, სპეციალისტების საგულდაგულო შესწავლა-გამოკვლევა სჭირდება და არა პოლიტიკური სკანდალი. „გაღმა შეედავე, გამოღმა შეგრჩებაო“. სადავო უფრო ქართველებს გვაქვს, განსაკუთრებით სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში.**

ახლა კურსებზე ქართველი სტუდენტების უფასოდ და სომეხი სტუდენტების ფასიანად სწავლებისა და ახალციხის მე-3 სკოლის შტურმის შესახებ.

დავუკავშირდით სამცხე-ჯავახეთის მხარის სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის სოციალური ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსს **ნოდარ სურმანიძეს.** ბატონმა ნოდარმა გვითხრა:

**— თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალციხისა და ახალქალაქის ფილიალებში გახსნილია აბიტურიენტთა მოსამზადებელი კურსები. მათ არასამთავრობოები აფინანსებენ. სწავლა სრულიად უფასოა! ეს კურსები ძირითადად არაქართულენოვანი აბიტურიენტებისთვის არის. სხვათა შორის, ახალგაზრდები იქ ჩარიცხვის შემდეგაც — ქართული ენის სათანადოდ ათვისებამდე — I-II-III კურსებზეც დადიან. „გოლოს არმენიის“ ავტორის განცხადება ამ კურსებზე ქართველების უფასო სწავლისა და სომეხი სტუდენტების ფასიანი სწავლების შესახებ, უბრალოდ, ბოროტი სიცრუეა.**

**რაც შეეხება ახალციხის მე-3 სკოლის „შტურმს“. ეს სომხური სკოლაა. მისი დირექტორი ლუბა მათევოსიანი საქართველოს განათლების სამინისტრომ ივნისის დასაწყისში თანამდებობიდან გაათავისუფლა, როგორც მანამდე — ქვეყნის ასობით სხვა სკოლის დირექტორი. მის ადგილზე ახალგაზრდა კადრი რობერტ მურადიანი დანიშნეს. მასწავლებელთა და მოსწავლეთა ერთმა ნაწილმა ახალი დირექტორი არ მიიღო და აქციები წამოიწყო მის წინააღმდეგ. ეს დაახლოებით ერთი თვე გაგრძელდა. ახლა იქ მდგომარეობა სტაბილურია. რაც შეეხება ლუბა მითევოსიანს, იგი ჩემთან — სოციალური ინფრასტრუქტურის სამსახურში გადმოვიყვანეთ უფროს სპეციალისტად, განათლებასა და ჯანდაცვას კურირებს. აი, სულ ეს იყო.**

მართლაც სულ ეს იყო, მაგრამ „გოლოს არმენიის“ მკითხველს ეს ყოფითი ამბავი ისე მიეწოდა, თითქოს საქართველოში სომხების აპარტეიდს ჰქონდეს ადგილი.

სტატიის ავტორი დასასრულ სულაც ნავთს ასხამს ცეცხლზე — იმუქრება, თუ ოფიციალური ერევანი არ გაარკვევს თავის პოზიციებს, მაშინ უკვე არაოფიციალურმა ერევანმა უნდა ატეხოს განგაშიო.

ეს რა, ჩერნიშევსკისა არ იყოს, მოწოდებაა, „ხელები ნაჯახს, ამხანაგებოო“?

**ალეკო ასლანიშვილი**

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# მიშა დახვეწილი ინტელიგენტია

(პირველი გვერდიდან)

როცა ამ ცოტა ხნის წინათ პარლამენტში განიხილავდნენ მიწების პრივატიზაციის საკითხს, და ერთ-ერთმა დეპუტატმა ლაპარაკი დაიწყო სომხებით დასახლებულ ჯავახეთზე, მეორე დეპუტატმა, პრეზიდენტის გუნდის წევრმა განაცხადა, რომ სასტიკად გაუსწორდება ყველას, ვინც ეცდება გათიშულობის შეტანას საქართველოს მოქალაქეებს შორის. ასეთ განცხადებას შევარდნაძის მმართველობის დროს ვერ გაიგებდი. სადღეისოდ, ჩვენ უკვე აღარ ვიცით, თუ რას ნიშნავს პენსიის ან ხელფასის დაგვიანება, და საერთოდ, ნებისმიერ სფეროში იგრძნობა რადიკალური გარდაქმნების სუნთქვა.

**— ის, რაზეც თქვენ ილაპარაკეთ, ძირითადად, ხომ უკავშირდება ქვეყანაში ამერიკული დოლარების მოდინებას, რომელსაც არხი გაეხსნა „ვარდების რევოლუციის“ დროს?**

— ის, რაც დღეს ხდება საქართველოში, იყოს ეს ამერიკელების, სომხების, თუ თვით ფაშისტური გერმანიის შეკვეთითაც კი, მაინც უმთავრესია, რომ ქვეყანაში კანონი უკვე კანონობს, ხალხი გრძნობს, რომ ცხოვრობს ნორმალურად — ამას ვერავინ უარყოფს.

**— თქვენთვის, როგორც საქართველოს მოქალაქისთვის, არ არის შეურაცხმყოფელი იმის გაგონება, რომ საქართველოს პრეზიდენტი „ამერიკელთა კაცია“?**

— რუსეთის კაცად ყოფნა კარგია, ამერიკისა კი — ცუდი? ვფიქრობ, რომ ორი უბედურებიდან ნაკლები უნდა აირჩიო. დარწმუნებული ვარ, რომ ქვეყნის ჩამოყალიბების ამჟამინდელ ეტაპზე დახმარებაზე უარის თქმა არ შეიძლება. სხვათა შორის, საქართველოში არასდროს უთქვამთ უარი რუსეთის მხრიდან დახმარებაზეც — უბრალოდ, რუსეთს სურდა საქართველო დაესაჯა დამოუკიდებლობის გამო. მაგრამ, ალბათ, დამეთანხმებით, რომ თქვენ თუ მოგპარავენ ჯერ ერთ ბინას, შემდეგ მეორეს — საქმე ეხება აფხაზეთს და სამხრეთ ოსეთს — ყოველივე ამის შემდეგ კი მოისურვებენ თქვენთან ნორმალური ურთიერთობის დამყარებას, ალბათ, ეს ძალზე გაგიჭირდებათ.

**— საქართველოს პრეზიდენტზე შეიქმნა აზრი, რომ იგი ექსცენტრიკული პიროვნებაა. მართლა ასეთია სააკაშვილი?**

— მან ასეთი შთაბეჭდილება შეიძლება მოახდინოს მხოლოდ იმ ადამიანებზე, რომლებიც შეეჩვივნენ შეზღუდულ ხელმძღვანელებს. სააკაშვილი ყოველმხრივ განვითარებული ადამიანია და მე მას ექსცენტრიკულად არ მივიჩნევ. დიახ, იგი ემოციურია, ხანდახან მეტისმეტად ემოციურიც, თუმცა, ამავე დროს გაწონასწორებულიცაა.

**— სხვათა შორის, ძირითადი ჭორები, რომლებსაც საქართველოს პოლიტიკურ კულისებს მიღმა ავრცელებენ, — ეს არის სააკაშვილის სისუსტე ქალების მიმართ.**

— სააკაშვილი დახვეწილი ინტელიგენტია. მას 10 წელი რომ ეცხოვრა ჯუნგლებში, ამის შემდეგ კი გამხდარიყო ქვეყნის პრეზიდენტი და პირველად დაენახა ქალი მოკლე ქვედაბოლოთი, ამის წარმოდგენა კიდევ შესაძლებელი იქნებოდა. მაგრამ მიხეილ სააკაშვილს ასეთი პრობლემები არა აქვს — იგი ძალზე გალანტური კავალერია, ახალგაზრდა, ტემპერამენტიანი მამაკაცია და სიამოვნებით უყურებს ქალებს. სხვათა შორის, ქალის ყურებაც თავისებური თერაპიაა. ეს ძალზე ეხმარება ნორმალურ მამაკაცებს. ასეთი თერაპია განსაკუთრებით სჭირდებათ პოლიტიკურ მოღვაწეებს. თუ გვერდით ჩაივლის ლამაზი ქალი, პოლიტიკური მოღვაწე კი მას ყურადღებას არ მიაქცევს, ასეთი ხელმძღვანელი ძალზე საშიშია.

**— „ვარდების რევოლუციამდე“ საქართველო, კორუფციის თვალსაზრისით, ერთ-ერთი წამყვანი იყო რეგიონში. თუ შეიცვალა რაიმე ამ წელიწადნახევრის განმავლობაში?**

— ისეთი განსხვავებაა, როგორც ცა და დედამიწა. და მაინც, ბრძოლა კორუფციის წინააღმდეგ გრძელდება. ამ ცოტა ხნის წინათ 150 ათასი ლარის ქრთამად აღებისთვის დააპატიმრეს დედაქალაქის საგადასახადო სამმართველოს უფროსი, რომელიც სააკაშვილთან ერთ-ერთი დაახლოებული ადამიანი იყო.

**— თქვენ ხაზს უსვამთ საქართველოში განსაკუთრებული დემოკრატიის არსებობას, მაგრამ ამ დღეებში ხომ საქართველოს პარლამენტმა მიიღო კოდექსის დამატებები, რომელთა თანახმადაც სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დაეკისრებათ დემონსტრანტებს, რომლებიც რაიმე ზიანს მოუტანენ ქვეყანას, ან გადაკეტავენ ქუჩას ნებართვის გარეშე.**

— ჩვენ ამერიკელებისგან ვსწავლობთ. ეს კანონი ძალზე წააგავს ამერიკასა და იტალიაში მოქმედ კანონებს.

**— იმის თქმა ხომ არ გსურთ, რომ ახლა საქართველოში გადაიღებენ ყველა ამერიკულ კანონს?**

— ნებისმიერმა ქვეყანამ უნდა გაიზიაროს კარგი სხვებისგან. წარსულს ჩაბარდა ველოსიპედების გამოგონების დრო.

**— საქართველოს პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ახლა ჯავახეთი გამოკვებავს ქართულ არმიას. შეიძლება იმის მტკიცება, რომ რუსეთის ბაზის გატანა აღარ შეუქმნის საფრთხეს ჯავახეთის სოციალურ მდგომარეობას?**

— ასე თქვა მიხეილ სააკაშვილმა და დარწმუნებულიც ვარ, რომ საქართველოს ჯარების მთავარი მომმარაგებელი ჯავახეთი გახდება. არ არის საჭირო, მისი სიტყვები აღვიქვათ ეჭვით მხოლოდ იმიტომ, რომ იგი ამერიკელებთან მეგობრობს, სხვები კი — რუსებთან. რუსები დღეს პატივს სცემენ საქართველოს და ანგარიშს უწევენ მას. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ქვეყანამ გადადგა რადიკალური ნაბიჯები. და რუსი სახელმწიფო მოხელეებიც ვეღარ მისცემენ თავს უფლებას ელაპარაკონ საქართველოს ისე, როგორც გუბერნიას — გახსოვთ, ეს თქვა რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო სათათბიროს ვიცე-სპიკერმა ლუბოვ სლისკამ. რუსეთის ხელმძღვანელობა ქართველ კოლეგებს ელაპარაკება როგორც თანასწორი თანასწორს, რადგან, სააკაშვილის სიტყვა მტკიცეა.

**— რა უნდა მოიმოქმედოს სომხეთმა იმისთვის, რომ რუსეთმა მასთანაც თანასწორივით დაიწყო ლაპარაკი?**

— სომხეთს სჭირს სულ სხვა სიტუაცია. თქვენს ზურგსუკან რამდენიმე ქვეყანა რომ იდგეს, მაშინ ყველაფერი სხვაგვარად იქნებოდა.

**— და მაინც, როგორ ფიქრობთ, შეუძლია სომხეთს საქართველოსგან ისწავლოს რამე დემოკრატიის თვალსაზრისით?**

— ალბათ შეუძლია. ისევე, როგორც საქართველომ შეიძლება ისწავლოს სომხეთისგან მეურნეობის გაძღოლა.

**„აიკაკან ჟამანაკი“**
**(„სომხეთის დრო“).**

**(იბეჭდება შემოკლებით).**

№ 167-168, შაბათი, 16 ივლისი, 2005 წელი.

ეპასუხებიან

# მირს პარლამენტი, გაუმარჯოს პროკურატურას?!

**13 ივლისს „საქართველოს რესპუბლიკაში“ ერთდროულად და ერთსადაიმავე თემაზე ორი ავტორის (მიხეილ დარახველიძე, აბელ გეგია) დიამეტრალურად განსხვავებული მოსაზრებები გამოქვეყნდა. ერთი (მიხეილ დარახველიძე) ფიქრობს, რომ უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს დეპუტატისთვის იმუნიტეტის შეზღუდვა ჩვენი ახალგაზრდა დემოკრატიისა და, მთლიანად, სახელმწიფოებრიობისთვის სერიოზულ საფრთხეს შეიცავს. მეორეს (აბელ გეგიას) მიაჩნია, რომ საჭიროა „იმუნიტეტის არა შეზღუდვა, არამედ მთლიანი მოხსნა“.**

თუ გამოერიცხავთ ბატონი გეგიას ოდას „ხალხთა ბატონობის უმაღლეს გამოვლინებაზე“, მისი წერილის დედააზრი ამ ციტატით შეიძლება გადმოიცეს: „...საჭირო იყო არა იმუნიტეტის შეზღუდვა, არამედ მისი მოხსნა, რაც სამართალდამცავ ორგანოებს უფლებას მისცემდა დამნაშავე დეპუტატების მიმართ პარლამენტის თანხმობის გარეშე აღეძრათ სისხლის სამართლის საქმე და პასუხისგებაში მიეცათ, ჩაეტარებინათ გამოძიება, შეეფარდებინათ აღმკვეთი ღონისძიება და სასამართლოს გამოეტანა განაჩენი. სამწუხაროდ, ასე არ მოხდა“.

ბატონი გეგია, საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს 1939 წლის დადგენილების ანალოგიურად, დეპუტატის გაწვევის შესახებ კანონის მიღებასაც გვთავაზობს, რადგან, თურმე, **„ამომრჩევლების გარკვეული ნაწილი სინანულს გამოთქვამს, რომ შეცდომა დაუშვეს და ისეთი დეპუტატები აირჩიეს, რომლებიც მათ ნდობას ვერ ამართლებენ“.**

სამწუხაროდ, გაურკვეველია, ამომრჩეველთა რომელ „გარკვეულ ნაწილს“ გულისხმობს პატივცემული ავტორი, მაგრამ მისი პათოსი რომ მთლიანად ემთხვევა პრეზიდენტისას და პარლამენტის ნაციონალური უმრავლესობისას – სავსებით გარკვეულია.

საქმე ის არის, რომ რევოლუციური ხელისუფლება ვერ ასრულებს დანაპირებს. კარგად ჩაცმული და აღჭურვილი პატრული, სპეცსამსახურების ნიღბიანი კუნთმაგარი ბიჭები, „ჭიაბერაშვილის სამკუთხედი“, ზოგიერთი ქუჩის კეთილმოწყობა, „კორუმპირებულთა“ მასობრივი დაჭერები, ფასადების გაფერადება, „სახელმწიფო მნიშვნელობის“ თანამდებობებზე სიმპათიური „სახეების“ დანიშვნა და გაუთავებელი ტაშ-ფანდურა მშიერი ამომრჩევლებისთვის დიდი ვერაფერი შეღავათია. გამათხოვრებული ხალხი ითხოვს სტაბილურ სამუშაოს და, შესაბამისად, სტაბილურ შემოსავალს. გაუთავებელი პიარკამპანიები, იცოცხლეთ, მშვენიერი, მაგრამ კუჭის ამოსავსებად გამოუსადეგარია.




ისტორიიდან არ მაგონდება არც ერთი მაგალითი (არც ერთი!), რევოლუციის შედეგად საზოგადოების მატერიალური მდგომარეობა გაუმჯობესებულიყოს. რევოლუციის მიზანი ეს არც არის – რევოლუციის მიზანია, ძალაუფლების ხელში ჩაგდება, უმოკლესი გზით, უმოკლეს დროში, ნებისმიერი ხერხით და ნებისმიერი დანაკარგებით.

სამაგიეროდ, ისტორიაში ძალიან ბევრია იმის მაგალითი, როცა რევოლუციის შედეგად მკვეთრად ეცემა ქვეყნის ეკონომიკა, იწყება ხანგრძლივი და სისხლისმღვრელი სამოქალაქო დაპირისპირება, ხელისუფლება იძულებულია შუზღუდოს ან, სულაც, გააუქმოს დემოკრატიული ინსტიტუტები და, საბოლოოდ, ხალხის სახელით დაამყაროს დიქტატორული მმართველობა.

ვიმეორებ, ეს არის რევოლუციის გარდაუვალი შედეგი. არა აქვს მნიშვნელობა, ამ რევოლუციას „კარგი ბიჭები“ ქმნიან, თუ „ცუდი ბიჭები“, სოროსი აფინანსებს, თუ კრუპი.

წარუმატებლობას რევოლუციური ხელისუფლება საკუთარ თავს ვერ დააბრალებს – მაშინ მან საჯაროდ და გულწრფელად უნდა განაცხადოს თავის ჭეშმარიტ მიზნებზე, ბოდიში მოიხადოს და ხელისუფლებიდან წავიდეს. ისტორიას არც ასეთი მაგალითი ახსოვს და ნაკლებად მოსალოდნელია, მსგავსი რამ ოდესმე საქართველოში ან მსოფლიოს სხვა რომელიმე სახელმწიფოში მოხდეს. სამაგიეროდ, მოხდება ის, რაც უკვე მრავალჯერ მომხდარა – საკუთარი წარუმატებლობების ძიება საკუთარი თავის გარეთ. ანუ დაიწყება მტრების, მოღალატეების, კონტრრევოლუციონერების, შიდა და გარე „ბნელი ძალების“, მსოფლიო იმპერიალისტური შეთქმულების „აღმოჩენა“, ყველა უბედურების მათზე დაბრალება და, რა თქმა უნდა, მათ წინააღმდეგ დაუნდობელი ბრძოლა. ასეთ შემთხვევაში, ქვეყანაში მოქმედი, თუნდაც სუსტი, დემოკრატიული ინსტიტუტები (პარლამენტი, დამოუკიდებელი სასამართლო სისტემა, მასმედია, არასამთავრობო ორგანიზაციები, ომბუდსმენი, ოპოზიციური პარტიები...) ავტომატურად გარდაიქმნებიან ხელისუფლებისთვის მიუღებელ, შემაფერხებელ ინსტრუმენტებად. ხოლო უპირველესი შემაფერხებელი მათ შორის არის პარლამენტი.

ამიტომ სავსებით ბუნებრივად მეჩვენება ქართული ნაციონალრევოლუციური ხელისუფლების მიერ პარლამენტის უფლებამოსილების შეზღუდვისა და, შესაბამისად, პრეზიდენტის ძალაუფლების გაძლიერებისკენ გადადგმული ნაბიჯები.

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, უოპოზიციო პარლამენტი თავისთავად არის აღმასრულებელი ხელისუფლების უალტერნატივობისკენ, ანუ, ადამიანურ ენაზე რომ ვთქვათ, ერთმმართველობისკენ მისწრაფების ძალიან მკაფიო გამოხატულება.

პროკურორებად დაბადებულებს, ცხოვრება რომ გაუადვილდეთ, პროკურატურის სასამართლო სისტემიდან ჩამოშორება, მისი ყოვლისშემძლე და უკონტროლო დამსჯელ-საზედამხედველო რეპრესიულ აპარატად გადაქცევა ურჩევნიათ.

დღევანდელი საქართველო სწორედ ამ გზით მიდის. ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს დიქტატურას ან ტირანიას (კაცმა რომ თქვას, ძალიან მეეჭვება, რომ ქართული ხავერდოვანი რევოლუციის შემოქმედი ამერიკა საქმეს აქამდე მიიყვანს), მაგრამ თავისი ქმედებების გასამართლებლად ხელისუფლებას აუცილებლად სჭირდება იდეოლოგიური მხარდაჭერა. სწორედ ასეთ მხარდაჭერად მეჩვენება ბატონ აბელ გეგიას წერილი.

დიახ, იმუნიტეტი საჭიროა არა კონკრეტული დეპუტატისთვის, არამედ, მთლიანად, სახელმწიფოსთვის, საზოგადოებისთვის, რათა პარლამენტის დაშანტაჟება და ქვეყანაში ერთპიროვნული მმართველობის დამყარება ვერავინ ვერ შეძლოს.

გრაფი ლევ ტოლსტოი კი აქ არაფერ შუაშია. წესრიგის დასამყარებლად დემოკრატიული ინსტიტუტების ნაცარტუტად ქცევა სავალდებულო არ არის და, საერთოდ, კარგ მთქმელს კარგი გამგონი უნდა.

**თეიმურაზ ქორიძე**

გვწერენ

# ერთადერთი იმედის იმედად

## არ შემიძლია, პრეზიდენტის სიტყვები მეხსიერებიდან წავშალო

**რევოლუციის დროს დღევანდელ ხელისუფლების ლიდერებს სიცივეში, წვიმასა და ქარში მხარში ედგნენ ჩვენი სამკვიდროს ყველა ასაკის ადამიანები. უკანასკნელ დროს ცხოვრების სიღრმეში ჩაძირულ თავმოყვარეობის ძარღვს „ამოწევა“ სჭირდება, რათა ადამიანმა მეხსიერებიდან გაუსაძლისობის წაშლით განაგრძოს არსებობა, რაც საჭირო გარემოს შექმნას მოითხოვს.**

**ვინ ქმნის მას?**

**რა თქმა უნდა, უმრავლესობა, რომლის გონიერებას, გაბედულებას, ხასიათსა და წყენას ანგარიშის გაწევა უნდა.**

დღევანდელობას უფლება არა აქვს, ყალბი ცხოვრებით იცხოვროს. ცდილობს, საყოფაცხოვრებო პირობები ჰქონდეს მოწესრიგებული.

რას ითხოვს დღევანდელობა? – საარსებო პირობების უზრუნველყოფას, გადახდის უნარს, საკვების შეძენის შესაძლებლობას.

ხალხი დაბეჩავებულ უკიდურესობას არასდროს შეურიგდება. ასე იყო ადრე, ასეა დღესაც.

სამუშაოდან დათხოვნილებმა, სამწუხაროდ, იციან, რომ „მთავრობა მოლაპარაკე კანონია, ხოლო კანონი – მუნჯი მთავრობა“ (ციცერონი). ქაღალდზე დაწერილი კანონი უმწეოთა დასაშინებლად კი არ უნდა იყოს მიმართული, არამედ „ავარდნილი ჯიბოსნებისა“ და „ჯიპოსნების“ დასჯის საფუძველიც უნდა გახდეს. ღირსებას დაცილებული პატიოსნება რომ დაგვიბრუნდეს, წარსულის სამართლიანი შეფასება უნდა გაკეთდეს.

წინა ხელისუფლების შეუწყნარებელ დანაშაულებათა სიმრავლეს სრული აღკვეთის დრო უნდა დაუდგეს.

ქუჩებში გაყრილი უმუშევრები ცარიელი ლოზუნგებით ვერ დაპურდებიან. რაც მოჰყვა სტრუქტურულ რეორგანიზაციას, უკვე გაცხადდა. კვალიფიციური, მცოდნე ხალხი „ზედმეტი ბარგი“ აღმოჩნდა. პროფესიონალი კადრები ასეთი დამცირების ღირსი ნამდვილად არ არიან. ეს, ასაკოვანი თანამოძმეების ხელის კვრაა, მეტი არაფერი.

ძნელი წარმოსადგენი არ არის, ამ ხალხის გულში რა ვარამი და ნაღველია ჩაღვრილი. ცოდვას ცოდვასთან ნუ დავაწყვილებთ. ნუ დავუკარგავთ ქვეყანას უკეთილშობილესსა და უნიჭიერეს ადამიანებს. „რკინას ჟანგი სჭამს, კაცის გულს დარდი“, გვასწავლის ქართული სიბრძნე. თუ აზრი ფეხზე არ დადგა, არაფერი გვეშველება.




ხელფასების გადიდების ახალ მოდელს დარღვეული აქვს არსებობის ლოგიკა. ერთი ხელის მოსმით შემცირებაში მოყოლილი კონტინგენტი ვერ თავსდება ხელფასების გადიდების ახალ ფორმაში. ქუჩებში გაყრილ უმუშევრებს არაფრისშემძლე გაორმაგებული პენსია (იგი მთავრობის ზოგიერთი წარმომადგენლისთვის თავმოსაწონი განცხადების საფუძველი გახდა) და საქმეში გამოუცდელთ ასეულობით ლარი? მიკვირს, რა დანაშაული „მიაკერეს“ ამ აწ უკვე დარდით დაჭაღარავებულებს? ყური დავუგდოთ ბუმბერაზ ვაჟას:

**„განა ყველა, რაც ხმელია, კაცისგან საწუნარია?“**

კეთილშობილების უძლურებაში გადაბარგება კარგს არაფერს მოგვიტანს. გამოვტყდეთ მაინც: თუ ერთმანეთი არ გვინდა, მოვეშვათ ყველაფერს. კანონდარღვევა, რომელიც შენიღბული სვლით განხორციელდა დღევანდელი მთავრობის მიერ, არის თვალხილული სინამდვილე. ადგილების გამოსანთავისუფლებლად დაძალებით განცხადების დაწერა უსამართლობაა. იცით, რატომ? „საჯარო მოსამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 137 მუხლი ითვალისწინებს: სამსახურიდან დათხოვნის შემთხვევაში განთავისუფლებულს მიეცეს ორი თვის ხელფასი. წინასწარ დაწერის პირობებში დათხოვნილი კონპენსაციის უფლებას კარგავს.

ხედავთ?

სამართალი საძებარი გახდა. სამუშაო ადგილებიდან მასობრივი დათხოვნა, საითკენაც მიგვაქანებს, ხედავს ერი და ბერი. სინამდვილე თვალის გასწორებას მოითხოვს. მივაკვლეთ ჩვენსავე წიაღში იმედის გასაღებს?

ღმერთმა ქნას!

სამართლიან გზაზე მდგარ ხალხს უსამართლობა ნუ შემოგვრჩება ჭირისუფლად.

ქვეყნის ხელმძღვანელს უამრავი საქმე აქვს მოსაწესრიგებელი შინ ან გარეთ. როდესაც დიდ საქმეს მართავს, ადამიანი – მაღლდება. ბატონ მიხეილის რაინდულად თქმული ნუგეშით სავსე სიტყვები ბევრს რამეს გვპირდება გულდაწყვეტილებს: **„საქართველოს პრეზიდენტი არის თითოეული ქართული ოჯახის ახლობელი და მეგობარი. მე არასდროს და არავის მივატოვებ გაჭირვებაში და ჩვენს არც ერთ მოქალაქეს არასდროს დავაჩაგვრინებ“.**

რამდენად გავიხარეთ, როდესაც ბატონო პრეზიდენტის ეს სიტყვები მოვისმინეთ. აი ისიც – უწმინდესი მოვალეობა ხელისუფლებისა, რომლის წყალობითაც, როგორც ილია ამბობდა, ადამიანი ადამიანობს, ადამიანის „მეს“ დღემუდამ ფარველობს, უმიზეზოდ, უდანაშაულოდ შინ არავინ შეუსიოს და არავის გააქელინოს“ (ილია) ასეთი ანალოგები ისტორიული იშვიათობაა.

ამრიგად, ერთადერთი იმედიღა გვრჩება – პრეზიდენტი.

**დემურ ჩიქობავა**

ინფორმაცია

## პირველი ლედის მამა გორს ეწვია

**საქართველოს პირველი ლედის სანდრა რულოვსის მამა ედვარდ რულოვსი თავის ჰოლანდიელ სტუმართან ერთად გუშინ 12 საათზე გორს ეწვია. მათ თან გაძლიერებული დაცვა ახლდა.**

**სტუმრებმა გორში დაახლოებით 40 წუთი დაჰყვეს და სტალინის სახლ-მუზეუმი დაათვალიერეს. გაძლიერებულმა დაცვამ რულოვსის მამასთან ჟურნალისტებს მიახლოების და კითხვების დასმის საშუალება არ მისცა.**

**გავრცელებული ინფორმაციით, საქართველოს პირველი ლედის დედაც საქართველოში იმყოფება.**

## ცოტა ფული თქვენც გაიღეთ!

**სომხეთი მზად არის, აფხაზეთის სარკინიგზო მონაკვეთის აღდგენაში მონაწილეობა მიიღოს.**

**სომხეთის ტრანსპორტის მინისტრის ანდრანიკ მანუკიანის განცხადებით, სომხეთს მხოლოდ ტექნიკური და არა ფინანსური დახმარების აღმოჩენა შეუძლია.**

**მისივე თქმით, რკინიგზის აღდგენისთვის საჭირო 150 მილიონ დოლარს საქართველო და რუსეთი გაიღებენ. რკინიგზის გახსნა მომგებიანია როგორც საქართველოსთვის, ისე სომხეთისთვის, კერძოდ, ორივე ქვეყანას რუსეთთან პირდაპირი სარკინიგზო მიმოსვლის საშუალება ექნება.**

**როგორც სომხეთის ტრანსპორტის მინისტრმა აღნიშნა, ქართულ მხარეს ჯერჯერობით მათი წინადადება არ განუხილავს.**

## ყველა რელიგია – ერთად!

**საქართველოს საპატრიარქოში გუშინ, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის მიერ დაარსებული „რელიგიურ ორგანიაზაციათა საკოორდინაციო ცენტრის“ რიგით მეორე შეხვედრა გაიმართა.**

**შეხვედრაზე რამდენიმე საკითხი განიხილებოდა, მათ შორის საქართველოში არსებული რელიგიური ორგანიზაციებისთვის იურიდიული სტატუსის მინიჭების მიზანშეწონილობის, საზოგადოებაში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების და სასჯელაღკვეთის დაწესებულებაში კაპელანთა სამსახურის შექმნის შესახებ.**

**გუშინდელ შეხვედრას საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წინამძღვართან ერთად ესწრებოდნენ, სომხურ-გრიგორიანული სამოციქულო ეკლესიის და ბაპტისტური ეკლესიის წარმომადგენლები, ებრაელთა მთავარი რაბინი და საქართველოში მცხოვრებ მუსულმანთა სულიერი ლიდერი.**

**„რელიგიურ ორგანიზაციათა საკოორდინაციო ცენტრი“ 15 ივნისს დაარსდა. ცენტრის აღმასრულებელი საბჭოს სხდომა კი 17 ივნისს გაიმართა.**

## გემებს კვლავაც დააკავებთ?

**საქართველოს საზღვრის დაცვის დეპარტამენტმა გაავრცელა განცხადება, რომელშიც კიდევ ერთხელ ხაზგასმულია, რომ სანაპირო დაცვის სამსახური საქართველოს ხელისუფლებისთვის წინასწარი შეტყობინების გარეშე, აფხაზეთის პორტებში უკანონოდ მიმავალ ნებისმიერ გემს და ტვირთს დააკავებს.**

**– აფხაზეთში გემების უკანონო მოძრაობა აფხაზეთის ტერიტორიაზე და მის გავლით კონტრაბანდის, მათ შორის, იარაღისა და ნარკოტიკული ნივთიერების შეტანის, ასევე ტერორისტთა გადაადგილების ალბათობას ზრდის, – ნათქვამია საქართველოს საზღვრის დაცვის დეპარტამენტის განცხადებაში.**

**ცნობილია, რომ შარშან აგვისტოში საქართველოს ხელისუფლებამ კონტრაბანდასთან ბრძოლის მიზნით საზღვაო საზღვრის აფხაზეთის მონაკვეთი ჩაკეტა, რის შემდეგაც სანაპირო დაცვამ თურქეთიდან აფხაზეთისკენ მიმავალი რამდენიმე გემი დააკავა. ბოლოს ასეთი ინციდენტი 3 ივლისს მოხდა, როცა ქართულმა მხარემ სამშენებლო მასალითა და ხორბლით დატვირთული თურქული გემი დააკავა. თუმცა პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის კეთილი ჟესტის შედეგად, ქართულმა მხარემ ტვირთი აფხაზებს გადასცა. საზღვრის უკანონო გადაკვეთისთვის თურქული გემის ეკიპაჟი კვლავ პატიმრობაში რჩება.**

## თუ ქართული არ იციან, რას გააგებინებ?

**დასრულდა ქართველ ჟურნალისტთა ჯგუფის ოთხდღიანი სტუმრობა სამცხე-ჯავახეთში, რომლის მიზანი იყო თბილისელი და რეგიონალური ჟურნალისტების მიერ სომხებით დასახლებულ სამცხე-ჯავახეთის რეგიონში სოციალური და პოლიტიკური პრობლემების ადგილზე შესწავლა.**

**სტუმრობა ორგანიზებული იყო ადგილობრივი ქართულ-სომხური დამოუკიდებელი გაზეთის „სამხრეთის კარიბჭის“, უმცირესობათა ევროპული ცენტრისა და „ომისა და მშვიდობის გაშუქების ბრიტანული ინსტიტუტის“ ფინანსური დახმარებით.**

**ოთხი დღის განმავლობაში, ქართველმა ჟურნალისტებმა მოინახულეს ახალციხე, ახალქალაქი, ნინოწმინდა და რეგიონის სოფლები. მათ შეხვედრა ჰქონდათ სამოქალაქო საზოგადოების აქტივისტებთან, პოლიტიკური, საზოგადოებრივი და არასამთავრობო ორგანიზაციების, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების, თვითმმართველობის ორგანოების წარმომადგენლებთან და მოსახლეობასთან.**

**პროგრამის კოორდინატორის შორენა რატიანის ინფორმაციით, ჟურნალისტების განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია შეხვედრებმა ახალქალაქსა და ნინოწმინდის რაიონებში, სადაც 90 პროცენტი სომხური მოსახლეობა ცხოვრობს. მისი შეფასებით, ახალქალაქისა და ნინოწმინდის რაიონების მოსახლეობა, საქართველოს სხვა რაიონებთან შედარებით ერთგვარ საინფორმაციო იზოლაციაში ქართული ენის არცოდნის გამო იმყოფება. შექმნილი ვითარება ხელს უწყობს რეგიონში მცხოვრებ სომხურ მოსახლეობაზე სტერეოტიპული აზრის ჩამოყალიბებას, რაც არახელსაყრელ ფონს უქმნის რეგიონში ინტეგრაციული პროცესების განვითარებას.**

**ინტერპრესნიუსი**

სტიქია

# უმოქმედობა არ გვეპატია

## ზარალი ათეულ მილიონობით ლარია

**დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში საგაზაფხულო წყალდიდობებმა და მეწყერულმა მოვლენებმა წინასწარი გაანგარიშებით ათეულ მილიონობით ლარის ზარალი მიაყენა ქვეყანას. უსახლკაროდ დარჩა უამრავი ოჯახი, დაინგრა ხიდები, გადაირეცხა ავტოსატარნსპორტო გზები, საყრდენი გამოეცალა და წაიქცა მაღალი ძაბვის გადამცემი ელექტროხაზები, განადგურდა ბაღ-ვენახები, ერთწლიანი კულტურები, საძოვრები, დაიკარგა ასობით ჰექტარი მაღალნაყოფიერი სავარგული და სხვ.**

ისმის კითხვა: შეიძლებოდა თუ არა უბედურების ნაწილობრივ მაინც თავიდან აცილება? როგორც დარგის სპეციალისტს, მჯერა, რომ შეიძლებოდა. ჩვენ გულგრილობამ და უდარდელობამ დაგვღუპა. რა მაქვს მხედ-



ველობაში? 1988 წლიდან სახელმწიფო მოსალოდნელი წყალდიდობების საწინააღმდეგო ღონისძიებისთვის გამოსაყოფ თანხას ყოველწლიურად ამცირებდა, ეს განსაკუთრებით შეიმჩნეოდა 1990 წლიდან. თუ ადრეულ წლებში მთავრობა ამ ღონისძიებებისთვის ყოველწლიურად გამოყოფდა დაახლოებით 70 პროცენტამდე საჭირო თანხას, დანარჩენი 30 პროცენტით ავალდებულებდა ქალაქსა და რაიონებს, რომ მიეღოთ შრომითი თუ ფულადი მონაწილეობა მათ ტერიტორიაზე არსებული ინფრასტრუქტურის მოსაწესრიგებლად. ასეთი დაკანონებული ღონისძიებები მთლიანად მოიშალა და შედეგმაც არ დააყოვნა.

1955 წლიდან აქტიურად ვმონაწილეობდი წყალდიდობის საწინააღმდეგო სამუშაოების შესრულებაში. არ მახსოვს, ამ ხნის მანძილზე წყალდიდობას მიეყენებინოს იმდენი ზარალი, რაც მარტო წლეულს მოგვაყენა. თუმცა, იყო საქმისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებისა და ყურადღების მოდუნების შემთხვევებიც. როცა ასობით ჰექტარი ფართობი წყლით დაიტბორა, საცხოვრებელი სახლები დაინგრა, დაზარალდა საზოგადოებრივი და მოსახლეობის პირუტყვი. 1987 წელს ხობის რაიონის სოფელ ზემო ჭალადიდის ტერიტორიაზე მდ. რიონის კალაპოტში წყლის დონის მოულოდნელი აწევის შედეგად აბობოქრებულმა წყალმა ერთი საათის განმავლობაში გაარღვია 900 მეტრამდე სიგანის მიწის ჯებირი. რამდენიმე სოფელი წყლით დაიფარა. ანალოგიური შედეგი მოჰყვა მდ. ნოღელისა და მდ. ტეხურის კალაპოტის ქვეშ დიუკერის მშენებლობას 1964 წელს.

ამ პერიოდში ზარალი გაცილებით მეტი იქნებოდა, რომ არა წინასწარი ღონისძიებები და ორგანიზებულობა. როგორც წესი, ყველა საშიშ რეგიონში შემოღებული იყო მუდმივი 24-საათიანი მორიგეობა, მობილიზებული – მიწის სათხრელი მექანიზმები, შესაბამისი სამსახურები და შს განყოფილებები. ამ პროცესში მთელი მოსახლეობა მონაწილეობდა.

ასე რომ, წინასწარი სამუშაოები სისტემატურად უნდა ხორციელდებოდეს. თუ ასეთი ღონისძიება არ დაიგეგმა და განხორციელდა, მომავალში უფრო დიდი მასშტაბური მატერიალური და ფინანსური ზარალია მოსალოდნელი, ვიდრე მიმდინარე წელს იყო. ეს ელემენტარული ჭეშმარიტება რომ არ დაგვევიწყებინა, ახლა ასეთ მძიმე მდგომარეობაში არ აღმოვჩნდებოდით, თანაც, ფინანსებიც გაცილებით ნაკლები დაგვეხარჯებოდა.

**იაკობ კოდუა,**
**საქართველოს დამსახურებული ჰიდროტექნიკოსი.**

ევროკავშირი

# ხარჯი საქმით უნდა ამოვიღოთ

**საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღიდან ევროკავშირი ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი უდიდესი დონორია. 1992 წლიდან მხოლოდ ევროკავშირის მიერ გამოყოფილმა თანხამ 380 მილიონ ევროზე მეტი შეადგინა. ამ თანხას ემატება ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების მიერ გამოყოფილი ცალკეული დახმარებებიც.**

ურთიერთობა კიდევ უფრო გაღრმავდა 2003 წლიდან, როდესაც სამხრეთ კავკასიაში ევროკავშირის სპეციალურ წარმომადგენლად ჰეიკი ტალვიტი დაინიშნა. შემდგომ კი ევროკავშირის საბჭომ სამხრეთ კავკასიის სამივე ქვეყანა „ევროპის სამეზობლო პოლიტიკის“ წევრად სცნო.

2004 წელს საქართველოს მთავრობამ თხოვნით მიმართა ევროკავშირს, რომ ჩვენში ევროკავშირის კანონის უზენაესობის მისია გამოეგზავნა, რომელიც ჩვენს ხელისუფლებას სისხლის სამართლის სისტემის მოწესრიგებაში და რეფორმის პროცესისადმი კოორდინირებულ მიდგომაში დაეხმარებოდა.

თანხმობამ არ დააყოვნა, ევროკავშირის საბჭომ ერთობლივი გადაწყვეტილება მიიღო და ერთი წლის წინათ მისიამ საქართველოში მოღვაწეობა გააჩაღა. ჯგუფის ხელმძღვანელია ქალბატონი სილვია პანთასი. იგი საერთაშორისო გამოცდილების მქონე მოსამართლეა. ჯგუფში 8 სხვადასხვა სახელმწიფოდან გამოცდილი ექსპერტები, მოსამართლეები, პროკურორები, ქართული მხარიდან კი შს სამინისტროს, გენპროკურატურის, საგარეო საქმეთა სამინისტროსა და სასამართლო უწყების წარმომადგენლები შედიან.

მისიამ სტრატეგიაზე მუშაობა ერთი წლის ნაცვლად 7 თვეში დაასრულა, ამ ფაქტს სილვია პანთასი ქართული მხარის დიდი მონდომებით ხსნის, წარმატებასაც ამასვე უკავშირებს. იუსტიციის მინისტრის კოტე კემულარიას თქმით, ევროკავშირი კმაყოფილია მისიის მუშაობით, მათ შორის ქართველი სპეციალისტების ძალისხმევით, რომლებმაც უცხოელ კოლეგებთან ერთად საბოლოოდ შეიმუშავეს სტრატეგია, თუ როგორი უნდა იყოს სასამართლო, სახალხო დამცველის აპარატი, პოლიცია, პროკურატურა, ადვოკატურა. დოკუმენტი სამინისტროს ვებ-გვერდზე ქართულ და ინგლისურ ენებზე განთავსდება. სიახლე პრაქტიკაში ნაწილობრივ უკვე ინერგება. სისხლის სამართლის კოდექსში შეტანილია ცვლილებები, დაიწყო სასამართლოს რეფორმის პროცესი.

სტრატეგიაზე მუშაობისას 7 თვეში 2 მილიონზე მეტი ევრო დახარჯულა. ახლა ჩვენ მისი შედეგები უნდა მოვიმკათ.

**ლელა ცქიტიშვილი**

კომპეტენტური აზრი

# რა უშლის ხელს უცხოური კაპიტალის შემოსვლას?

## საქართველოში ინვესტიციების ნაკლებობა მცირე და საშუალო ბიზნესის იგნორირების ბრალია

**საქართველოს ხელისუფლებამ თავისი საქმიანობის ერთ-ერთ პრიორიტეტად უცხოური ინვესტიციების მოზიდვა დაასახელა და ამ მიზნით სხვადასხვა ქვეყნის მსხვილი ბიზნესმენების მონაწილეობით არაერთი ბიზნესფორუმიც გამართა. შეიცვალა საგადასახადო კოდექსიც. თუმცა ხელისუფლების სურვილის მიუხედავად, რამდენიმე რუსული და თურქული კომპანიის გარდა, საქართველოს მიმართ დიდი ინტერესი თითქმის არავის გამოუჩენია.**

**ექსპერტები ამ ფაქტს არასასურველ საინვესტიციო გარემოსა და მოუწესრიგებელ კანონმდებლობას აბრალებენ. ამის თაობაზე აი ზოგიერთი კომენტარი.**

**თემურ იაკობაშვილი, პოლიტოლოგი:** ქართული ბაზარი რუს და თურქ ბიზნესმენებს უფრო კარგად აქვთ შესწავლილი, ვიდრე თუნდაც ამერიკელებს. მეორეც, საქართველოში არ არის ისეთი საინვესტიციო გარემო, რომ აქ სერიოზულმა ამერიკულმა ან გერმანულმა ფირმებმა ფული დააბანდონ. თუ რომელიმე სტრატეგიულ ობიექტს რუსეთის სახელმწიფო კომპანია იყიდის, რუსეთმა კაპიტალი შეიძლება, პოლიტიკური ინტერესებისთვის გამოიყენოს. თუმცა თუ რუსები ტურიზმში დააბანდებენ ფულს, ბუნებრივია, ამის საწინააღმდეგო არავის არაფერი ექნება.

**სანდრო თვალჭრელიძე, ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში:** საქართველოში ინვესტიციებით ყველაზე მეტად მეზობელი ქვეყნები ინტერესდებიან. იგივე ამერიკა ცოტა მოგვიანებით დაინტერესდა საქართველოთი და იქაურ კომპანიებს ცოტა უნდა ვაცალოთ. რა თქმა უნდა, საქართველოში არსებული პოლიტიკური მდგომარეობა მოქმედებს ინვესტორის ინტერესზე, მაგრამ, ცოტა მოგვიანებით, შესაძლოა, ეს ფაქტი სულაც არ იყოს გადამწყვეტი.

**დიმიტრი ხაშარიძე, საერთაშორისო სავაჭრო პალატის ეროვნული კომიტეტის პრეზიდენტი:** საქართველოში ინვესტიციების განხორციელებას, ძირითადად, მეზობელი ქვეყნები ცდილობენ. ბოლო წლებში ამ საქმეში რუსეთი, თურქეთი, ირანი და დსთ-ს ქვეყნები ლიდერობენ. კაპიტალდაბანდებები მცირე დოზით განახორციელეს გერმანიამ, შვეიცარიამ და საფრანგეთმა. ძალიან მცირეა აშშ-ს წილი, რადგან სავაჭრო ურთიერთობებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს გეოპოლიტიკურ მდებარეობას. სამწუხაროდ, საქართველო აღმოჩნდა განვითარებადი ქვეყნების რკალში. თურქეთი განვითარებული ქვეყანაა, მაგრამ არ შედის ასეთი ქვეყნების პირველ ათეულში. თურქეთის შემდეგ საქართველოში ინვესტიციების განხორციელებით დაინტერესდა ყაზახეთი. მალე ჩვენი ქვეყნისკენ დაიძვრება უკრაინული კაპიტალიც. ინვესტიციების სიმცირეს, ძირითადად, ქვეყანაში მცირე და საშუალო ბიზნესის სრული იგნორირება განაპირობებს. ყველა ქვეყანაში საზოგადოების განვითარების საფუძველია მცირე და საშუალო ბიზნესისთვის ხელშეწყობა. დსთ-ს ქვეყნებში მშპ-ს (მთლიანი შიდა პროდუქტი) 40-50 პროცენტი მცირე და საშუალო ბიზნესზე მოდის. განვითარებულ ქვეყნებში კი ეს მაჩვენებელი 70-75 პროცენტია. ამ ქვეყნებში მცირე და საშუალო ბიზნესში მოსახლეობის 80-95 პროცენტია დასაქმებული, ჩვენთან კი მოსახლეობის მხოლოდ 30 პროცენტი, რადგან საქართველოში ეს სფერო უკიდურესად განუვითარებელია.

**ნოდარ ხავახიშვილი, ეკონომისტი:** როდესაც ქვეყანაში არ არის სასამართლო ხელისუფლება, რა ინვესტიციების შემოსვლაზეა ლაპარაკი?! ბიზნესმენებს შორის ურთიერთობას ერთადერთი საარბიტრაჟო სასამართლო აგვარებდა და ისიც გააუქმეს. როდესაც უცხოელი ბიზნესმენი ხედავს, როგორ იჭერენ საქართველოში ხალხს და ერთი წლის განმავლობაში ვერ უყენებენ ბრალს, ის აქ არასოდეს შემოვა. რისკავენ მხოლოდ რუსი ბიზნესმენები, რომლებიც ისეთ სტრატეგიულ ობიექტებს ყიდულობენ, რომ აქეთ მოგვიგრეხავენ კისერს. ასეთი კანონმდებლობის პირობებში უცხოელი ინვესტორი კი არ შემოვა, ქართველი ბიზნესმენი გაიქცევა და საზღვარგარეთ გადაიტანს თავის კაპიტალს.

**მედიანიუსი**

სოციუმი

# „შავ ყუთს“ განდობილი ჭირ-ვარამი

**რატომ არის, რომ ადამიანს ყველა უბედურება სჭირს, მაგრამ მუდამ აქვს უკეთესი მომავლის იმედი? თუ ბერძნულ მითოლოგიას დავუჯერებთ, ყველაფერი იმ საბედისწერო ყუთის ბრალია, რომელიც პანდორამ გახსნა. სწორედ იქიდან ამოფრინდა ათასი ავადმყოფობა, უბედურება, შური, მტრობა, სიძულვილი, ღალატი და სხვა. ყუთში კი მხოლოდ „იმედი“ დარჩა.**

**არ ვიცი, ახსოვდათ თუ არა „პანდორას ყუთი“ იმათ, ვინც პირველად საჯარო ხომალდებში „შავი ყუთი“ დაამონტაჟა, მაგრამ მისი გახსნის აუცილებლობის შემთხვევაში, რომ იქიდან მსგავსი უბედურებები უნდა შეეტყოთ, ეს ნამდვილად, იცოდნენ. და, მაინც, ხომ ეს ყუთია ის ერთადერთი იმედი, რომელსაც ცაში დატრიალებული ნებისმიერი ტრაგედიის შემდეგ ებღაუჭება ადამიანი?**

**მოდით, ამ ასოციაციისთვის ნუ გამომეკიდებით, რადგან ჟურნალისტს ფანტაზია კალამს გაუქცევს ხოლმე. ამიტომ სათქმელს დავუახლოვდები.**



არც დედამიწაზე ყოფილა გამოუსადეგარი ეს ჭირ-ვარამის შემგროვებელი ე.წ. „შავი ყუთი“. კონკრეტულად? საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურთან (დღეს იგი საერთაშორისო და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის განყოფილებაა) 2000 წელს გაიხსნა 24-საათიანი ცხელი ხაზი (69-65-93; 69-65-94), რომელსაც დილის ათი საათიდან საღამოს ექვსამდე ორი ოპერატორი (პროფესიით ექიმები) უპასუხებს. საღამოს ექვსიდან დილამდე კი შეჭირვებულ ადამიანებს სწორედ ეს „შავი ყუთი“ უსმენს. აქ პენსიონერების გარდა, ძირითადად, ის ადამიანები რეკავენ, ვისაც ფონდი ერთადერთ იმედად და გადამრჩენად მიუჩნევია. კერძოდ, ინვალიდები, მარჩენალდაკარგულები, გაზისა და ელექტროენერგიის შეღავათებით მოსარგებლენი, უნარშეზღუდულები, ჯანგატეხილები, დეკრეტული შვებულების თანხის მსურველნი, „სახალხო ბანკისა“ თუ ფოსტის (თბილისის რამდენიმე რაიონში ჯერ კიდევ არ გადასულან საბანკო მომსახურებაზე) მომსახურებით უკმაყოფილონი, პენსიებსა თუ საყოფაცხოვრებო პირობებთან დაკავშირებული კანონების ამოქმედებით დაინტერესებულნი და, თქვენ წარმოიდგინეთ, მარტოხელა, მარტოსული ადამიანები, რომლებსაც ტკბილი, დამამშვიდებელი სიტყვის გარდა არა უნდათ რა.

მოსახლეობის მთავარი საწუხარი მაინც პენსიაა. როგორც საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელი ნონა მაისურაძე ამბობს, წინა წლებთან შედარებით ამ მიმართულებით ზარებმა ბოლო თვეებია, რაც იკლო. საპენსიო დავალიანებები სრულად არის გასტუმრებული, თორემ ყველაზე მეტი ზარი გაყინული პენსიების გამო იყოო. მიმდინარე პენსიებიც დროულად რიგდება. თუმცა, ჯერ კიდევ რომ ბევრი სოციალური პრობლემის გამოა ადამიანი შეჭირვებული, ამაზე არა მხოლოდ ჩვენი ოპერატორების დატვირთული დღის რეჟიმი მეტყველებს, არამედ „შავი ყუთიცო“. ფონდი, თავის კომპეტენციის ფარგლებში, თითქმის ყველა ზარს სიტყვით და საქმით უპასუხებს, ამაზე ჩვენი მისამართით გამოთქმული მადლობებიც მეტყველებსო.

**არის თუ არა ფონდის დამსახურება ის, რომ პირველი ივლისის მდგომარეობით საქართველოში საპენსიო დავალიანება აღარ არსებობს.**

რა თქმა უნდა, არის. რომ არა 1500 კაცის თავდაუზოგავი მუშაობა, ასე მცირე დროში საპენსიო დავალიანება, რომელიც 2004 წლის 1 იანვრისთვის 130 მილიონზე მეტი იყო, სრულად არ დაიფარებოდა (ნაწილი შარშან გაიცა, 47 მილიონი – წლეულს, ექვს თვეში).

შარშან ბიუჯეტს კიდეც რომ ჰქონოდა საპენსიო დავალიანების დასაფარავი თანხა, მაინც ვერ გასცემდა. საამისოდ სახელმწიფო არ იყო მზად, არა მხოლოდ იმიტომ, რომ მიმდინარე პენსიების დროული გაცემაც ვერ ხერხდებოდა, არამედ არც პენსიის რეალურად მიმღებთა რიცხვი იყო საბოლოოდ დაზუსტებული და არც მათი პირადი ბარათები იყო მოწესრიგებული. ანუ გაცემული თანხები ბარათებში არ იყო აღნიშნული. ეს იმას ნიშნავდა, რომ არ იყო დაზუსტებული, რეალურად ვის რა რაოდენობის პენსია არ ჰქონდა მიღებული. ასეთი კი დაახლოებით 9 ათასი ადამიანი გახლდათ, ამბობს საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის გენერალური დირექტორის მოადგილე კობა ძაძამია და ემატება, რომ შარშან ნოემბრიდან ინტენსიური მუშაობით ფონდმა შესძლო სრულად განეხორციელებინა ინვენტარიზაცია და მისი მიხედვით დაედგინა სახელმწიფოს ვალი თითოეული პენსიონერის მიმართ. შესძლო პირად ბარათებში რეალური მდგომარეობის ასახვა, ამან კი, სადღეისოდ, დავალიანების სრულად დაფარვა განაპირობა.

მაინც რა გამოკვეთა ინვენტარიზაციამ, რომელიც სულ ხუთჯერ ჩატარდა? 15 ათასი პენსიონერი აღარ აღირიცხა, რადგან მათ არ გაიარეს რეგისტრაცია. ან როგორ შესძლებდნენ, როცა ნაწილი აქედან კარგა ხნის გარდაცვლილი იყო, ნაწილი საზღვარგარეთ წასული, ნაწილს კი 28 ლარი, დღევანდელ თავის შემოსავალთან შედარებით, იმდენად უმნიშვნელოა, რომ წვალებად არ უღირს.

ერთი სიტყვით, მარათონი დამთავრდა. ფონდი პირველი ივლისიდან მშვიდ რეჟიმში მუშაობს და მისი მიზანია, დროულად გაიცეს არა მხოლოდ მიმდინარე პენსიები, არამედ სწორად გაიხარჯოს სოციალური ხარჯები, საოჯახო დახმარებები, გაზისა და ელექტროენერიის საკომპენსაციო თანხები. საამისოდ ფონდი მკაცრად ამოწმებს მომსახურე დაწესებულებების მიერ შესრულებული სამუშაოს შესახებ წარმოდგენილ დოკუმენტაციას.

რაც შეეხება პენსიებს, შემოღებულია მკაცრი გრაფიკი. ფონდის რაიონულმა ფილიალებმა ყოველი თვის 15 რიცხვამდე ფონდში უნდა წარადგინონ ზუსტი ინფორმაცია მიმდინარე თვეში, თუ რა რაოდენობის საპენსიო ხარჯია გასაცემი. მერე ეს ინფორმაცია მუშავდება და საპენსიო ხარჯების გადარიცხვა 20 რიცხვამდე მთავრდება. 23-დან კი (თუ შაბათ-კვირა არ დაემთხვა), რაიონებში პენსიების გაცემა იწყება.

– წლეულს ფონდს ფულის პრობლემა არ შეჰქმნია. იმის მიუხედავად, რომ ჩვენი ბიუჯეტი 600 მილიონ ლარზე მეტია, გადაჭარბებით სრულდება, – თქვა კობა ძაძამიამ და ისიც დასძინა, რომ ფონდისა და მისი ფილიალების კომპიუტერიზაცია ზუსტი აღრიცხვიანობის საშუალებას იძლევა, ეს კი აუცილებელია, თუმცა არც ის დაუმალავს, რომ თითოეულ ფილიალში თითო კომპიუტერი ჯერჯერობით სრულყოფილი აღრიცხვიანობისთვის არასაკმარისია. საქმე რომ არ შეფერხდება, საპენსიო ხარჯები და პენსიონერთა რიცხვი დროულად აღირიცხება, ამის იმედს ფონდის მიერ შემუშავებული ახალი პროგრამა „პენსია 2005“ აძლევს. იგი ავტომატურად დაამუშავებს ინფორმაციას პენსიონერთა შესახებ და ხარჯებისთვის თანხებსაც ოპერატიულად გამოიანგარიშებს. მართალია, ეს პროგრამა ფილიალებშიც ინერგება, მაგრამ ერთი კომპიუტერით 24-საათიანი მუშაობით ვერ აუვლენ საქმეს. უფულობა თქვით, თორემ კომპიუტერების ყიდვა ფონდს კარგა ხანია აქვს განსაზღვრული. წლეულს იქნებ ნაწილი შევისყიდოთ, ნაწილი – გაისადო, ამბობს იგი.

საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდში სიტყვის ხალხი მუშაობს.

**რუსუდან ლორთქიფანიძე**

დისერტაცია

# პირველად მან გამოავლინა...

**საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ს. დურმიშიძის სახელობის ბიოლოგიისა და ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე თავის მეცნიერულ სიახლეზე დინჯად, მაგრამ სევდანარევი ხმით საუბრობდა ახალგაზრდა ქალბატონი, თუმცა გარეგნული სიმშვიდე მაინც ვერ ფარავდა მის შინაგან მღელვარებას. ამ მღელვარებას საფუძვლად ედო მეუღლის ირაკლი ფირცხალავას საავადმყოფოში ყოფნა, რომელმაც იმ დღეს ოპერაცია გაიკეთა და სიკვდილზე გაიმარჯვა. ირაკლი თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის პოლიციის სამმართველოს ხელმძღვანელობს და ვაჟკაცურად იცავს მოსახლეობას კრიმინალური სამყაროსგან.**

ახლა, ცოტა რამ, ნინო ხვიტიას ბიოგრაფიიდან. 1967 წლის 8 სექტემბერს დაიბადა თბილისში ინტელიგენტთა ოჯახში. დისერტანტის მამამ, გრიგოლ ხვიტიამ ქალაქ ზუგდიდის ისტორიის უმძიმეს პერიოდში დააარსა და დღესაც წარმატებით ხელმძღვანელობს ზუგდიდის დამოუკიდებელ უნივერსიტეტს, რომელმაც უპრობლემოდ გაიარა უმაღლეს სასწავლებელთა აკრედიტაცია.

ნინომ 1990 წელს წარჩინებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ადამიანისა და ცხოველთა ფიზიოლოგიის სპეციალობით. 1998 წლის სექტემბერში კი წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. უნდა აღინიშნოს, რომ, თუ ნინომ უნივერსიტეტის შემდეგ 8 წელი მოანდომა საკანდიდატო დისერტაციის დაცვას, სადოქტორო დისერტაციაზე მუშაობა, ფაქტობრივად, 6 წელიწადში დაამთავრა.

დისერტანტის სადოქტორო ნაშრომის მნიშვნელობის შესახებ მარტო მეცნიერ-კონსულტანტის, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ გ. ხერჩინაშვილის დასკვნიდან ერთი ამონარიდის მოტანა იკმარებდა: **„ნინო ხვიტიას მიერ ჩატარებული სამუშაოების შედეგად, პირველად ელექტრონული მიკროსკოპიის ანალიზის მეთოდის გამოყენებით, შესწავლილია ჰომეოსტაზის სისტემის ელემენტების, იმუნიტეტის, არასპეციფიკური რეზისტანტობისა და მათი მაკრომოლეკულური კომპლექსების ფუნქციური მდგომარეობა... პირველად გამოვლენილია ჰომეოსტაზის დამცველ სისტემებში დარღვევების ზოგადი მექანიზმები ფილტვის ტუბერკულოზის მწვავე და ქრონიკული, აგრეთვე მენინგეალური ფორმის, ჰერპესვირუსული ინფექციისა და სეფსისის დროს“.**

საგანგებოდ უნდა შევნიშნოთ ისიც, რომ მეცნიერ-კონსულტანტის ამ დასკვნის ადეკვატურია ოფიციალური ოპონენტების, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორების დ. მიქელაძისა და ვ. რაფავას, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის ზ. თოფურიას რეცენზიებში მოცემული დასკვნებიც დისერტაციის არსებული სიახლეების თაობაზე. ეს ახალგაზრდა მეცნიერის დიდი გამარჯვებაა.

**ოდიკ ქუხილავა, „სრ“ საკ. კორ.**

კონტრაბანდა

## უსაბუთო მანგანუმი

„ტატრას“ მარკის ავტომანქანა, რომელსაც ნოდარ წერეთელი მართავდა, დააკავეს ფინანსური პოლიციის რაჭა-ლეჩხუმის სამმართველოს თანამშრომლებმა. ავტომანქანა 20 ტონა მანგანუმის კონცენტრატით იყო დატვირთული, მძღოლს ტვირთის წარმომავლობის რაიმე საბუთი არ გააჩნდა, მადანი გიორგი მაღრაძეს ეკუთვნის. ტვირთი ტერმინალში მოათავსეს, ექსპერტიზა მის ღირებულებას განსაზღვრავს. შემდეგ კი ჯარიმის ოდენობა დადგინდება.

## აბა, ტანსაცმელი იაფად!



საბაჟო-გამტარი პუნქტის „წითელი ხიდის“ მებაჟე ივანე ტოგონიძე ფინანსური პოლიციის ქვემო ქართლის სამმართველოს თანამშრომლებმა მაშინ დააკავეს, როცა მან 40 ათასი ლარის ღირებულების ტანსაცმლით დატვირთული „გაზელის“ მარკის ავტომანქანა ისე განაბაჟა, თითქოს მასში მხოლოდ 7 ათასი ლარის ღირებულების ტვირთი ყოფილიყოს. ამჟამად დგინდება ტვირთის მეპატრონის ვინაობა, მიმდინარეობს საქმის გამოძიება.

## უაქციზო სიგარეტი ყველას ვნებს!

უაქციზო სიგარეტის შემომტანების მიმართ ფინანსური პოლიცია კვლავ დაუნდობელ ბრძოლას აგრძელებს. ივნისის მხოლოდ ერთი დღე-



ღამის განმავლობაში საქართველოს სხვადასხვა რეგიონში დაახლოებით 28 ათასი კოლოფი უაქციზო სიგარეტი ამოიღეს.

შიდა ქართლის სამმართველოს თანამშრომლებმა სხვადასხვა ოდენობით უაქციზო სიგარეტის ცხინვალიდან შემოტანისას ამხილეს ელისო მაჭავარიანი და ნოდარ ბერიანიძე;

ფინანსური პოლიციის სამეგრელოს სამმართველომ კი აფხაზეთიდან უაქციზო სიგარეტის გადმოტანის ფაქტზე სამი მოქალაქე – ტარიელ კოლმახიძე, მზეონა გოგოხია და ელისო მიმინოშვილი დააკავა, რომლებსაც მთლიანად უკანონოდ დაახლოებით 10 ათასი კოლოფი სიგარეტი შემოჰქონდათ.

## ახლა ღვინოლა გვაკლდა...

რუსეთის ფედერაციიდან საქართველოში დატვირთული „კამაზის“ მარკის ავტომანქანა ფინანსური პოლიციის მცხეთა-მთიანეთის სამმართველოს თანამშრომლებმა ნატახტარის საგუშაგოს მიმდებარე ტერიტორიაზე მას შემდეგ დააკავეს, რაც მან საქართველო-რუსეთის საბაჟო-გამტარი პუნქტი გამოიარა და შემოტანილი ნამცხვარი და ქაღალდი განაბაჟა. გარდა ამ ტვირთისა ავტომანქანაში 23,2 ათასი უაქციზო სიგარეტი „ტროიკა“ და „ტრისტარი“, ასევე 167 კვადრატული მეტრი განუბაჟებელი პარკეტი და დიდი ოდენობით ღვინო იყო. მანქანაში ღვინის ეტიკეტებიც აღმოჩნდა.



## „ალმა მატერის“ მატყუარა ჩინოსნები

არსებული ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის იმერეთის სამმართველომ ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოკვლევა დაიწყო. აღმოჩნდა, რომ მარტო 2004 წელს ამ უკანასკნელმა ბიუჯეტს დაახლოებით 160 ათასი ლარი გადასახადი დაუმალა, რომელიც სანქცია-საურავების გათვალისწინებით 200 ათას ლარს აჭარბებს.

აღსანიშნავია, რომ ფინანსური პოლიციის გამოძიების დასკვნასა და ქუთაისის საგადასახადო ინსპექციის აქტს უნივერსიტეტის ახალი ხელმძღვანელობა არ ეთანხმება იმ მოტივით, რომ დანაშაული უწინდელი მმართველობის პერიოდშია ჩადენილი.

## სამკაულებს „მალვა“ უნდა...



ყოველგვარი საბუთების გარეშე გადმოკვეთა საქართველოს საზღვარი რუსეთიდან ცხინვალის რეგიონის გავლით შემოსულმა „გაზელის“ მარკის ავტობუსმა, რომელიც ფინანსური პოლიციის შიდა ქართლის სამმართველოს თანამშრომლებმა სოფელ იგოეთის საგუშაგოზე დააკავეს. როგორც სამართალდამცველებმა დაადგინეს, ავტობუსი ცარიელი ყუთებით იყო შენიღბული, საგანგებო სამალავებში კი დიდი ოდენობით... ქალის სამკაულები აღმოჩნდა. ავტობუსის მძღოლების ალექსანდრე გოგიშვილისა და ანტონ კორიკაძის განცხადებით, მათ ტვირთი, თბილისში სარეალიზაციოდ, ვინმე „ოლეგთან“ გადაჰქონდათ. წინასწარი შეფასებით, სამკაულების მთლიანი ღირებულებაა დაახლოებით 100 ათასი ლარი, ზუსტ თანხას კი ექსპერტიზის ჩატარების შემდეგ დაადგენენ.

**ოთარ ტურაბელიძე**

აფიორა

# «თაღლითმა ზინაში ოფისი გამიხსნა»

**ვიდრე „ოფისზე“ რამეს ვიტყოდეთ, მანამდე ალბათ თავად თაღლითს უნდა გავეცნოთ და ურიგო არ იქნება, თაღლითის მიერ გაცუცურაკებულ მაია შუშიაშვილსაც, რომელიც თავსგადახდენილი ფათერაკების მოსაყოლად რედაქციაში გვეწვია.**

**ქალბატონი მაია თბილისელია, ცხოვრობს ქალაქის ცენტრში – დიმიტრი უზნაძის ქ. № 93-ში. ამავე ქუჩის 6 ნომერში ცხოვრობს მარინა ტრაპაიძეც – მაცდური, უფრო სწორად თაღლითი ქალბატონი, რომელმაც მეზობლური ურთიერთობის ჩვენებური ტრადიციით მშვენივრად ისარგებლა, შუშიაშვილს ფულები ასესხებინა, შემდეგ კი ეს თანხები თავად შეახრამუნა.**

**ეს ზოგადად, მაგრამ კონკრეტულად რა და როგორ მოხდა, ამას თავად ქალბატონი მაია სევდანარევი ღიმილით ყვება:**

– დღეს საქართველოში ბევრია ჩემსავით უმუშევარი და მატერიალურად გაჭირვებული. რა ვიცოდი, რომ ამ გასაჭირს ზოგი ვინმე აფერისტი თავის სასარგებლოდ გამოიყენებდა, თორემ უფრო ფხიზლად ვიქნებოდი. ამჯერად კი გულუბრყვილოდ მოვიქეცი – უცხოეთში სამუშაოდ წასვლა გადავწყვიტე და დასახმარებლად ნაცნობების ძებნა დავიწყე. აგერ არა ვარო, მითხრა მეზობელმა მარინა ტრაპაიძემ, მაგის მეტს რას ვაკეთებ, განა ერთი და ორი გამიმგზავრებიაო? შენ ოღონდ ფული მომეცი და გინდა კოსმოსში გაგაფრენო. მე ვენდე, მით უფრო, რომ ტურისტული ფირმა „აკვიზიტის“ რეკვიზიტები მაჩვენა, რომლის მეშვეობითაც ის ხალხს საზღვარგარეთ აგზავნიდა.

ერთ მშვენიერ დღეს, კერძოდ, 2004 წლის 4 მაისს, მარინა დამიკავშირდა და მითხრა: შენ საქმეებს ვაგვარებ და სასწრაფოდ 890 დოლარი უნდა მომიტანოო. მეც დავტრიალდი, პროცენტიანი ვალი ავიღე და აღნიშნული თანხა მოწმეთა თანდასწრებით გადავეცი, მან მითხრა, რომ ეს ფული საგარეო საქმეთა სამინისტროს სავიზო დეპარტამენტში მომუშავე ვინმე კოტეს მოსაქრთამად სჭირდებოდა. ფულის მიცემის შემდეგ იმ კოტეს უთქვამს: შეკრიბეთ ტურისტული ჯგუფი, თითოეულისგან 100-100 დოლარი შეაგროვეთ და მომიტანეთ, ვიზების გაცემის შემდეგ კი ერთი ამდენის დამატება კიდევ დასჭირდებათო.

ცოტა ხანში მარინა ტრაპაიძემ ფირმა „აკვიზიტის“ რემონტი მოიმიზეზა და მისი ოფისის ჩემს ბინაში დროებით გადმოტანა შემომთავაზა. მითხრა, რომ თუ ამაზე დავთანხმდებოდი, გავხდებოდი ტურისტული ჯგუფის ხელმძღვანელი და მისგან მექნებოდა გარკვეული ფინანსური შეღავათები და მხარდაჭერა საზღვარგარეთ გამგზავრებისთვის. უფრო მეტი გარანტია რომ მქონოდა, ამ წინადადებას დავთანხმდი და „აკვიზიტის“ თანამშრომლები (ხელმძღვანელი გია არჩვაძე) მთელი სამი თვე ჩემი ბინითა და ტელეფონით სარგებლობდნენ. ეგ კი არა, ტურისტულ ჯგუფში შესაყვანად ერთი ჩემი ახლობელი ქალის კანდიდატურაც მივეცი, რომელმაც მარინა ტრაპაიძეს ჩემ სახლში 150 დოლარი გადასცა.

ერთ დღესაც მარინემ განმიცხადა: ტურისტული ჯგუფი უკვე გასამგზავრებლად მზად არის და დამატებით 300 დოლარის გადახდა დაგჭირდებაო. რაღას ვიზამდი, კარგად დაწყებულ საქმეს ხომ არ ჩავშლიდი, ეს თანხაც ვისესხე და გადავეცი.

მართლაც 2004 წლის 3 სექტემბერს მე და ტურისტული ჯგუფის სხვა წევრები იტალიის საკონსულო განყოფილებაში გავედით გასაუბრებაზე და ყველა საჭირო საბუთი დავუტოვეთ. ტრაპაიძე გვაიმედებდა, ყველაფერი წესრიგშია და მოკლე ხანში ვიზებს ავიღებთო. თუმცა, როგორც შემდეგ გაირკვა, საელჩომ ვიზების გაცემაზე უარი თქვა იმ მიზეზით, რომ მარინა ტრაპაიძეს რაღაც საბუთები უკანონოდ გაუკეთებია.

ამის შემდეგ, ბუნებრივია, მარინა ტრაპაიძეს მოვთხოვე ჩემგან მოტყუებით წაღებული თანხები, რაზეც მან სასტიკი უარი მტკიცა: მე ის ფული სხვადასხვა თანამდებობის პირებს ჩამოვურიგე და საიდან დაგიბრუნოო. საქმის მოგვარებაში ჩაერია მარინას ქმარი ზაზა ზაქარიაძე, რომელმაც ჩემს ძმას – დათო შუშიაშვილს უთხრა: დამატებით 400 დოლარს თუ მომცემ, მთელ ვალს ერთიანად გავისტუმრებო. ძველს ეს ახალიც დაემატა, მაგრამ ვალის გამსტუმრებელი არავინ გამოჩენილა...

როგორც ახლა გავარკვიე, შპს „აკვიზიტს“ მოქმედების ვადა 2003 წლის 22 მაისამდე ჰქონია და ტურისტული საგზურის ასაღებად შეგროვილი დოკუმენტები, რომელსაც მარინა ტრაპაიძე ამზადებდა, სულ სიყალბე და აფიორა ყოფილა. უფრო მეტიც, იგი აღმოჩნდა ცნობილი თაღლითი, რომელიც ამ საქმისათვის ისანი-სამგორის რაიონულმა სასამართლომ ერთხელ უკვე გაასამართლა და პირობითი სასჯელი დაადო. მაგრამ მარინა ტრაპაიძემ თაღლითობაზე ხელი არ აიღო და კიდევ უამრავი ადამიანი აცდუნა. თუმცა კანონი დუმს იმის მომიზეზებით, რომ მარინე წელიწადში ორჯერ მაინც ფეხმძიმედაა.

ამჟამადაც – ვკითხულობ ცნობაში, რომელიც მომჩივანმა წარმოადგინა, – „თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის შს სამმართველოს განყოფილების წარმოებაშია სისხლის სამართლის საქმე № 02050687, მარინა ტრაპაიძისა და სხვათა მიმართ თაღლითობის ფაქტზე. ამ საქმეში ერთ-ერთი დაზარალებული მაია შუშიაშვილია“.

– რას აპირებთ? – ვეკითხები ქალბატონ მაიას?

– დაველოდები სამართალს, რომლის დასრულებას ჯერჯერობით საშველი არ დაადგა. გარდა იმისა, რომ მარინა ტრაპაიძის მიმართ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე, დამატებით განცხადება შევიტანე გენერალურ პროკურატურაშიც. იმედი მაქვს, რომ თაღლითი საკადრისად დაისჯება, მაგრამ რედაქციაში მე უფრო სხვა მიზნით მოვედი. საქმე ის გახლავთ, რომ მარინა ტრაპაიძეს ამჟამად დავით აღმაშენებლის № 112/1-ში (ტელეფონი 96-69-75) გახსნილი აქვს ტურისტული ფირმა და ჩვეული ხერხით განაგრძობს მოქალაქეთა „ტურისტულ გამგზავრებას“. იქნებ მათ „ჩემი გამოცდილება“ გამოადგეთ და თაღლითის ანკესს აღარ წამოეგონ!

**ოთარ ხუციშვილი**

პენსიონერთა ბაღი

# ჩვენ მხოლოდ ვარსებობთ!

**ასე გაუჩენია უფალს: – შემოდგომას ზამთარი მოსდევს, ზამთარს – გაზაფხული, გაზაფხულს კიდევ, – ზაფხული და მადლობა ღმერთს, რომ ეს ასეა! გაზაფხული და ზაფხული განსაკუთრებით, პენსიონერებისთვის არის სულის ამოთქმა. შეიძლება კვირტები ჯერ ისევ არ იყოს აფეთქებული, მაგრამ საცაა აფეთქდება და მაინც ხალისი მოაქვს, ხვალინდელი დღის იმედი. სითბო დგება და ძველი ძმობილები ბაღში გამოდიან. მაძინია ალბიციების ჩრდილში, ამოჩემებულ სკამძელზე სხდებიან და აქედან გაჰყურებენ აფორიაქებულ გარემოს. საღამოს კი, კვლავ ზოზინით ბრუნდებიან საკუთარ ოთხკედელში და ტელევიზორთან სხედან...**



...ახლაც ტელევიზორთან ვზივარ მარტოკა. ათიოდე წუთია შუქიც მოვიდა. ეკრანზე ერთმანეთს ცვლიან კადრები: – ბატონმა ბუშმა პატივი დაგვდო და საქართველოში ჩამოვიდა; რუსეთმა, ცოტა არ იყოს, „მოიწყინა“, ხვდება, რომ საქართველო უკვე ის არ არის, რაც ამ ორასი წლის განმავლობაში იყო; საქართველო თავისუფალი, დემოკრატიული ქვეყანაა და, მორჩა ის დრო, მსოფლიოს უმნიშვნელო წერტილს რომ წარმოადგენდა, – საქართველო ევრაზიის თეთრი ხიდი ხდება; შენდება გზები, სახლები, სასახლეები; რევოლუციის ქართულ „ილეთებს“ სხვებიც სწავლობენ და ითვისებენ; ჩვენი სამხედროები მშვიდობას იცავენ მსოფლიოს ცხელ წერტილებში; ქართული ჯარი ძლიერდება და ქამარხანჯალს იკრავს წელზე; რეფორმები ხორციელდება განათლებაში, პროკურატურაში, სასამართლოში, ეკონომიკასა და კულტურაში და ა. შ. და თუ ჭკუათმყოფელი ხარ, არ შეიძლება ამით კმაყოფილი არ იყო, მაგრამ ცოტა დაბნეულებიც ვართ, მართალი გითხრათ! მთლად გადაგვერია ეკრანიდან გაგონილმა და ნანახმა, – ამ თავისუფალ საქართველოს თავისებური თავისუფლებით დაუწყია სუნთქვაც: – ვიღაცამ ვიღაცას ცოლი წაართვა; ვიღაცა რძალსა და ახლობელს ლოგინში ჩაუწვა; მამაკაცმა მამაკაცთან იქორწინა; ქალმა ქალს ჩაუალერსა; ვიღაცამ ვიღაცას სკალპი ახადა; პოდიუმზე ვიღაცას „ის გამოუჩნდა, რაც არ უნდა გამოჩენოდა“ და გვახარბებს საკუთარ სადედე ძუძუებს! ვიღაცამ ვიღაცა თვითმკვლელობამდე მიიყვანა; სადღაც ვიღაცა ვიღაცას ყაჩაღურად დაესხა თავს. თავს იწონებენ ბოზები, „გვაშაყირებენ“ ლოთები, დედას იგინებიან „ბოსები“; ვიღაცა საკუთარი ტელეფონებისა და ავტომანქანებისთვის „პრესტიჟულ“ სანომრე ნიშნებში ათიათასებს იხდის! არადა, ვიღაცა ნაგავში იქექება, ვიღაცა შიმშილით კვდება; მორალს გვიკითხავენ პედარასტები, ზნეობაზე გვესაუბრებიან გათახსირებულები; ვიღაცა ცოლსა „დებს“ კაზინოს წრეში!.. ამ დროს კი ვიღაცამ არა ქნა არაფრით, – არ გადაიხადა „ბეგარა“! არადა, იხვეწება ეკრანი: „გადაიხადეთ გადასახადი!“

და ერთობ დროულია ეს მოწოდება! – სწორედ გადასახადებიდან შემოსული თანხებითაა, რომ შენდება დღევანდელი საქართველო, სწორედ ამ გადასახადებიდან შემოსული თანხებითაა, რომ ძლიერდება ქართული ჯარი, სტიპენდიებს იღებენ სტუდენტები, ხელფასები ეძლევათ ჩინოვნიკებს; სწორედ ამ თანხებითაა, რომ შენდება ქვეყნის მომავალი! ოღონდ ერთმა ფრაზამ დაგვწყვიტა გული ამ სატელევიზიო პროპაგანდიდან:

– ჩვენ ვარსებობთ!

ვამბობთ, მწარე სიმართლეს ამ უშეღავათო დუნიაზე ყოველგვარი შეღავათების გარეშე დარჩენილი პენსიონერები. დიახ, ჩვენ მხოლოდ ვარსებობთ, თურმე, და მაშინ, როდესაც ქვეყანა ასე თავისუფალია, არავინ ფიქრობს, – იქნებ ბებერი ხარის რქებიცა ხნავენ?! ნუთუ უკვე არავის ვჭირდებით, უკვე „მოვჭამეთ“ ჩვენი დრო და აწი?!.. – მეკითხება ჩემი პენსიონერი ძმობილი.

მე კი ვერ ვპასუხობ ამ კითხვებს! მე მხოლოდ პენსიონერთა ბაღიდან ქაღალდზე გადმომაქვს ეს სატკივარი! იქნებ ისმინოს ვინმემ და არ გავუქარწყლოთ ამ უშეღავათოდ დარჩენილ ხალხს დარჩენილ დღეთა იმედი!

აუტანელი მოწყენილობაა პენსიონერთა ბაღში!

**ზაურ ფიფია**

დედაქალაქი

# ფუნიკულიორს სიცოცხლე უბრუნდება

**რამდენი ხანია, ფუნიკულიორზე აღარ ვყოფილვარ. იქიდან ხომ ხელისგულივით მოჩანს მთელი თბილისი, მისი ძველი უბნები და ახალმშენებლობები. რა სჯობდა ზაფხულში იქ ასვლას და დასვენებას, მაგრამ ბოლო წლების განმავლობაში ისე გაპარტახდა იქაურობა, რომ თბილისელები სათოფეზე აღარ ეკარებიან. ჯერ იყო და, 1990 წელს საბაგირო გაწყდა და ადამიანები დაიღუპნენ, მერე მწყობრიდან გამოსულმა დაჟანგულმა ტრამვაიმ იაპონელი ტურისტების სიცოცხლე კინაღამ შეიწირა.**



ეს შესანიშნავი დასასვენებელი ადგილი, რომლის მშენებლობა 1938 წლიდან დაუწყიათ, ადრე ძველი თბილისელების, კინტოებისა და ყარაჩოღელების საყვარელი საქეიფო ადგილი ყოფილა. დიდი გარჯითა და მონდომებით შენდებოდა ფუნიკულიორი, რომელიც შემდეგ თბილისის ნამდვილ მშვენებად იქცა. ვის არ ნახავდით აქ – უცხოელებს, საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულ ადამიანებს, თბილისელებს, დიდსა თუ პატარას.

მას შემდეგ რამდენმა წყალმა ჩაიარა, რამდენი მთავრობა გამოვიცვალეთ, მაგრამ ფუნიკულიორის პარკის აღდგენით არავინ დაინტერესებულა.

შარშან თბილისის მერიამ კონკურსი გამოაცხადა ფუნიკულიორის პარკის აღდგენა-მშენებლობისთვის. 2004 წლის 16 ნოემბრის გადაწყვეტილებით გამარჯვებულად კონკურსის ერთადერთი მონაწილე შპს „ლინსკი“ გამოცხადდა, რომელიც ბადრი პატარკაციშვილის სახელთან არის დაკავშირებული. ხელშეკრულების თანახმად 49 წლით აღებულ პარკში პირველი 5 წლის განმავლობაში 5 მილიონი დოლარის ინვესტიცია უნდა დაბანდდეს. ნავარაუდევია ორ წელიწადში აღდგეს ტრამვაი, ხოლო 7 წელიწადში – საბაგირო გზა. ამასთან პარკის ყველა თანამშრომელი დასაქმდება. ფაქტობრივად, 2005 წლიდან ფუნიკულიორის ახალი მეპატრონე შპს „ლინსკი“ გახდა. იმედია, ბადრი პატარკაციშვილი თბილისელების ამ საყვარელ ადგილს სიცოცხლეს დაუბრუნებს.

**ლალი ქინქლაძე**

აფხაზეთი — ტკივილი ჩვენი

# 12 წლის გაკვეთილმა ფუჭად ჩაიარა

**მინდა მკითხველს, ძალიან მოკლედ ვაუწყო (თუ გამომივიდა), რა შეცდომებს ვუშვებთ ჩვენ — ქართველები ზოგიერთ საკითხში აფხაზებთან მიმართებაში. რატომღაც თავიდან დაგვჩემდა და საუბედუროდ ამჟამადაც ვაგრძელებთ მედიდურ დამოკიდებულებას, უფრო მეტიც, ხანდახან ვწერთ და ვამბობთ კიდეც ქედმაღლურად აფხაზების წინააღმდეგ. ამიტომ გვმართებს მათი მისამართით თქმული ყოველი სიტყვა კარგად ავწონ-დავწონოთ.**

ასე მაგალითად, ხშირად გაზეთებში ვკითხულობთ: „აფხაზები გადმოვიდნენ გალის რაიონში და ააწიოკეს მოსახლეობა", ის კი გვავიწყდება, რომ აწიოკებას სჩადიან კრიმინალები, რომლებშიც ხშირად ქართველი კრიმინალებიც ურევიან (ამას თვითონ გალის მკვიდრი მოსახლეობა ადასტურებს). ხშირად ნახავთ გაზეთებში იმის მტკიცებას, რომ ისინი, ვინც თავის თავს აფხაზებს უწოდებენ, აფხაზები არ არიან, რომ ისინი უქნარები და უსაქმურები არიან. ჩემის აზრით, თუ ვინმეს ეჭვი ეპარება მათ აფხაზობაში, ასპარეზი მეცნიერებს დაუთმონ — მათ იდავონ.

გასული წლების განმავლობაში ჩვენ ნაბიჯიც არ გადაგვიდგამს ერთმანეთისკენ. რატომღაც გვავიწყდება გალის რაიონში 1998 წელს მოწყობილი მარულა (გალის მოვლენები), რასაც გვახსენებს ერთ-ერთი გაზეთის ფურცლებზე გალის გამგებელი რუსლან ქიშმარია, რომელიც კორესპონდენტის კითხვაზე: „და თუ საქართველო მიმზიდველი გახდება?" პასუხობს: „რას ამბობ, ჩვენ თვითონ მოვითხოვთ იქ შემოსვლას. ერთადერთი, რითაც საქართველოს შეუძლია დღეს ჩვენ თავი მოგვაწონოს — თუ დედის გინებით ჩვენსკენ არ წამოვა და აქაურობას ისეთივე მათხოვრად გადაქცევას არ მოინდომებს, როგორც დღეს აბაშა, ხობი და მისთანები არიან, სადაც ხალხს პურის ნაჭერი ენატრება. მე თვალს ვადევნებ თბილისის ამბებს, ღმერთმა ქნას ყველაფერი კარგად იყოს". უნდა ვიცოდეთ, რომ ჩვენ საუკუნეები ერთად გვიცხოვრია და მჯერა აფხაზი ხალხი, ისე როგორც ქართველი ხალხი, დაძლევს ყოველგვარ გაუგებრობას და კვლავ ერთად ვიქნებით.

მე მინდა, ახალმა თაობამ გაიგოს და იცოდეს: მარტო აფხაზებს კი არ დაუშავებიათ, ჩვენც დავაშავეთ ბევრი რამ. კანონზომიერებაა: როცა ვინმეს დაუშავებ, აუცილებლად შეეცდება ვალში არ დარჩეს და შეურაცხყოფისთვის პასუხი გაგებინოს. ჩემი ნათქვამი გასაგები რომ იყოს, ცოტა უკან დავიხიოთ და თვალი გადავავლოთ, თუ რა მდგომარეობა იყო სოხუმში ომის მიმდინარეობის პერიოდში. სოხუმელები მოელოდნენ, რომ ჩვენი შინაგანი ჯარი შევიდოდა აფხაზეთში და დაიკავებდა რკინიგზის სადგურებს კრიმინალებისგან დასაცავად. სინამდვილეში, სოხუმში შემოვიდნენ თუ არა, რკინიგზა ყველას დაავიწყდა და ჯარი მთავრობის სასახლისკენ გაემართა და იქ დარჩენილი რამდენიმე მინისტრის დაპატიმრებას შეეცადა. მაგრამ, კიდევ კარგი, აღმოჩნდნენ ადამიანები, რომლებმაც ამ განზრახვაზე ხელი აალებინეს. როგორც ამბობდნენ, იქ იმჟამად იმყოფებოდა სერგეი ბაღაფშიც — ამჟამინდელი თვითაღიარებული აფხაზეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი, რომელიც მართლა პროაფხაზურია (ნამდვილი ერისშვილი ასეთი უნდა იყოს), მაგრამ ძალიან ადამიანური და ვაჟკაცური კაცია.

როგორც კი მდ. გუმისთაზე დაფიქსირდა წინა ხაზი, ძალიან ბევრი — აფხაზ მცხოვრებთა თითქმის ნახევარი დარჩა სოხუმში, ცხოვრობდნენ ჩვენთან ერთად, მომხდარს გაუგებრობას ეძახდნენ. მაგრამ, ჩვენდა სამარცხვინოდ, ჩვენმა „გმირებმა" დაიწყეს მათი აწიოკება და საქმე იქამდე მიიყვანეს, რომ ზოგი რუსეთში გაიქცა, ზოგი კი გუდაუთაში გადავიდა. მოვიყვან მხოლოდ ორ ფაქტს. სოხუმის ბაზრის ტერიტორიაზე შევხვდი ჩემს ყოფილ თანამშრომელს, ბატონ რუშნი კორტავას, რომელიც თანაბრად ფლობდა აფხაზურთან ერთად ქართულს და კუთხურ ენას მეგრულს. მას იცნობდნენ როგორც აფხაზ პატრიოტს — კარგ ვაჟკაცს. მომეჩვენა, რომ ის დათრგუნული იყო, ეს მაინცდამაინც არ გამკვირვებია, რადგან ომს მივაწერე, მაგრამ მაინც ვკითხე, რამ დაგაღონა ასე მძი-



მედ-მეთქი ბატონმა რუშნიმ მიპასუხა, რამდენიმე დღის წინათ ჩემი უფროსი ძმა რაუფი აწამეს, მდინარეში ჩააგდეს ფულის გამოძალვის მიზნითო (რაუფი ქალაქის საბჭოში მუშაობდა განყოფილების გამგედ), გუშინ კი ჩემთან მოვიდნენ, წამართვეს მანქანა და თუ რამე ძვირფასეულობა მებადაო. რა თქმა უნდა, გული ძალიან დამწყდა მძარცველთა მიერ ჩადენილ საქციელზე და, რასაკვირველია გულწრფელად შემეცოდა რუშნი. რითი შემიძლია დაგეხმარო-მეთქი. მადლობა გადამიხადა და მითხრა ერთი გზა დამრჩენია, ხვალ ავიღებ კუთვნილ პენსიას, ზეგ მივალ კომენდატურაში (ქართული კომენდატურა ჰქონდა მხედველობაში), ავიღებ ნებართვას და მოსკოვში წავალო.

ეს არ იყო ერთეულთა შემთხვევა, ეს მასობრივად ხდებოდა.

დათრგუნული მივედი სახლში, ადგილს ვერ ვპოულობდი, ამ დროს მეზობელი მოვიდა და მთხოვა ჩვენს მეცეცხლურ მეზობელთან, ეროვნებით აფხაზ ტოლიკთან გადავიდეთო. ტოლიკის სახლთან თითქმის ყველა მეზობელი ქართველი დამხვდა — დიდი და პატარა, მიმდინარეობდა „ხელჩართული" ბრძოლა ჯარისკაცებთან (თუ მას ჯარი შეიძლებოდა რქმეოდა), საქმე ის იყო, რომ ჩვენს მეზობელს, რომელიც ჩვენთან დარჩა, ავტომანქანა „ჟიგულს" ართმევდნენ. რის ვაი-ვაგლახით მოვიგერიეთ მათი შეტევა. როცა ვკითხე, რისთვის გჭირდებათ-მეთქი მანქანა, მიპასუხეს წინა ხაზზე სასიარულოდ გვინდაო.

ესეც ხომ არ იყო დამარცხების ერთ-ერთი მიზეზი? როცა აფხაზების ქონება აითვისეს, სამარცხვინოდ მოუბრუნდნენ ქართველების სახლებს და ბევრი რამ წაიღეს...

ინტერვიუში როცა გალის გამგებელს რუსლან ქიშმარიას უთხრეს, ჩვენს საზოგადოებებს შორის დიდია გაუცხოება და უნდობლობა. ამჟამად ინფორმაციის გაცვლა და სტერეოტიპების მსხვრევა, პირველი რიგის ამოცანაა, ამისათვის ორივე მხარე უნდა გავაქტიურდეთო, მან უპასუხა, სანამ ურთიერთობას არ მოვაგვარებთ, მანამ არ გვექნება მომავალი. შევძლებთ ამის გაკეთებას, ღმერთი გვიშველის, თუ არა და კაპიკია ჩვენი ფასი. 12 წელი გავიდა ომის შემდეგ, ამ 12 წლის განმავლობაში ჩვენ ნაბიჯი არ გადაგვიდგამს ერთმანეთისკენ. საქართველოს ჩვენსკენ არ გადმოუდგამს. ჩვენ არ გვინდა მისკენ მობრუნებაო.

არა მგონია, ასეთი პოზიცია მარტო ბატონ ქიშმარიას ეჭიროს. ის ისეთი უჭკუო ადამიანი არ არის, რომ არ იცოდეს ზემდგომი ორგანოების პოზიცია და ისე თვითნებურად ილაპარაკოს ასეთ რამეებზე.

ოდნავ გაგებული ადამიანისთვის ცხადზე უცხადესია: კრიჭაში ჩადგომა არ გვჭირდება, ჩვენ ერთმანეთის მოფერება გვჭირდება.

ცეცხლზე ნავთის დასხმაა ამ დღეებში ჩვენს გაზეთებში გამოქვეყნებული სტატია სათაურით: „სააკაშვილმა ოსებს უკანასკნელი გაფრთხილება მისცა". ტყუილია ეს სააკაშვილს ასე არ უთქვამს. პრეზიდენტმა თქვა: „ჩვენ ვიცით, ვინ გაიტაცა 4 ქართველი და მათ აუცილებლად პასუხს ვაგებინებთ". ეს სულ სხვა საქმეა, აქ ოსი ხალხი არაფერ შუაშია, აქ კრიმინალებზე ილაპარაკა პრეზიდენტმა. უნდა იწერებოდეს ის, რაც სინამდვილეში ითქვა და არა სენსაციისათვის გაუაზრებლად, რომელიც შეიძლება ბუმერანგივით უკან დაგვიბრუნდეს.

რამდენიმე თვის უკან, ასევე გაიელვა ჩვენს გაზეთებში, რომ „ბოევიკ ტურანბას ბანდა შევიდა გალის ქვედა ზონის სოფლებში"... ტურანბა გალის რაიონში აფხაზური ადმინისტრაციის შემოსვლის დღიდან არის სოფ. შეშელეთის გამგებელი. შეშელეთს არ ახსოვს, რომ იქ ვინმე შევიდა და ხალხი ააწიოკა. ტურანბა ისეთი ავტორიტეტით სარგებლობს, რომ მისი ხათრით ვერავინ ბედავს იქ შესვლას და სოფლის მცხოვრებლებიც კარგი სიტყვით იხსენებენ მას. ვისაც კი ხელის განძრევა შეუძლია, 3-4 მეწველი ძროხა და ურიცხვი შინაური ფრინველი ჰყავს.

ამიტომ, ჩვენი რჩევაა, ავიმაღლოთ ხმა იმის წინააღმდეგ, რაც ჩვენ აფხაზებსა და ოსებთან დაგვაშორებს და ვეძებოთ გზები, რომელიც ხელს შეუწყობს ყველა დაბრკოლების გადალახვას და ჩვენს დაახლოებას.

ერთობ გასაკვირია აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობის არცთუ ისე მონდომებული სწრაფვა ჩვენი ხალხების დაახლოების გზების ძებნაში. მოიკოჭლებს სახალხო დიპლომატია, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ პერიოდულად მისი მოქმედება ძალიან მოსაწონია. სუსტად მიმდინარეობს ისეთი პიროვნებების ძებნა, რომლებიც სხვადასხვა გარემოების გამო ძალიან ახლოს დგანან აფხაზეთის ამჟამინდელი ქვედა თუ ზედა სახელისუფლებო ეშელონებთან. სანამ პრეზიდენტი სააკაშვილი არ იტყვის რამეს აფხაზეთის ან ოსების შესახებ, თითქმის ყველა დუმს ან კანტიკუტად ისმის რამე, არ არის ყოველდღიური მიზანმიმართული მუშაობა აფხაზების და ოსების ნდობის მოსაპოვებლად.

მახსოვს პროფესორ შოთა მისაბიშვილთან ერთად ვსვამდით საკითხს დიდი სამამულო ომის ქართველ და აფხაზ ვეტერანებს შორის კონტაქტის დამყარების შესახებ, მაგრამ აფხაზეთის ყოფილი მთავრობა ჩვენს ინიციატივას რატომღაც არ გამოეხმაურა და საქმე ადგილიდან არ დაძრულა.

წლეულს როგორც ვიცით, დიდი სამამულო ომის დამთავრების 60 წლისთავი აღინიშნა, მაგრამ არავინ მოიფიქრა ისეთი ღონისძიება, რომლის ფარგლებშიც ქართველ, აფხაზ და ოს ვეტერანთა შეხვედრა მოეწყობოდა.

ჯერ კიდევ სასტუმრო „აჭარაში" ცხოვრების დროს მოვიდნენ და მთხოვეს მონაწილეობა მიმეღო ტელეგადაცემაში, რომელიც აფხაზეთის საკითხს ეძღვნებოდა. ჩემი ჯერი რომ დადგა, ასე დავიწყე: „ჩვენს მთავრობას ალბათ არ გააჩნია გაწერილი გეგმა, თუ რა უნდა გაკეთდეს აფხაზეთის დასაბრუნებლად"... მაშინვე გამაწყვეტინეს სიტყვა, ეთერში კი ითქვა, ამ ბატონმა ალბათ არ იცის, რომ გეგმა არსებობსო. ეს იმის შიშით მოხდა, ვაითუ რამე ცუდი თქვას საქართველოს მთავრობის ან პრეზიდენტის მისამართითო. მართლი გითხრათ, პრეზიდენტის წინააღმდეგ არაფერი მქონდა სათქმელი, მაგრამ სხვა ინსტანციებზე ამას ვერ ვიტყვი.

არ ვიცი, დამთხვევას უნდა მივაწერო, თუ რას, მაგრამ ამ გადაცემის მეორე თუ მესამე დღეს არა მარტო ტელეეკრანებით, არამედ გაზეთებითაც გაიჟღერა, რომ თურმე გეგმა მართლა არ ყოფილა და, როგორც იუწყებოდნენ, უშიშროების საბჭოში ამჟამად მიდის ინტენსიური მუშაობა ამაზეო. აი, სწორედ ეს იწვევდა აფხაზეთის საკითხის ეპიზოდურად გახსენებას. ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, უნდა შევწყვიტოთ პიარკომპანიისთვის, სენსაციის მოსახდენად (ვითომდა მე ვარ ყველაფრის მცოდნეო) სხვისთვის ჭკუის სწავლება.

დიდი ხანი არ არის, რაც მთელმა მსოფლიომ პრეზიდენტ სააკაშვილისაგან შეიტყო, რომ აფხაზეთი და ოსეთი მშვიდობიანი გზით უნდა დავიბრუნოთ. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ხანდახან გაზეთებში კვლავ გაიელვებს ხოლმე აფხაზეთის და ოსეთის ძალისმიერი შეერთების მოწოდებები. ასეთ კატეგორიის ადამიანებს მინდა განვუცხადო, რომ ჩვენ, ლტოვლილებს, მხოლოდ მიწის დაბრუნება კი არ გვინდა, ჩვენ გვინდა აფხაზეთში ვიცხოვროთ, აფხაზ და სხვა ეროვნების ხალხებთან ერთად. მე ღრმად ვარ დარწმუნებული, როგორც ჩვენ მივტირით იმ კარგ, მეგობრულ, ძმურ, ნათესაურ ურთიერთობებს აფხაზებთან, ასევე აფხაზებიც მისტირიან მას. დრო ულმობლად ჩქარა მიდის, ამიტომ ვალდებული ვართ აფხაზებთან ერთად თანამიმდევრულად, სისტემატურად ვიზრუნოთ დაკარგული ურთიერთობის აღდგენისთვის. რადგან რაც დრო გადის, ცივდება ყველაფერი და უფრო ძნელი იქნება ჩვენს დაბრუნებასა და ერთად ყოფნაზე ფიქრი. ადამიანები ვართ და როგორც ადამიანებს სჩვევიათ, ისე თუ ვიმსჯელებთ, ძნელი გასაგები არ არის ის, რომ ჩემი თაობა და ჩვენი შვილები თუ არ დაბრუნდა, სხვა თაობა, რომელიც მონათხრობით ან წაკითხვით იცნობს აფხაზეთს, არა მგონია იქ ახლო მომავალში დაბრუნდეს.

იმის რწმენა კი ნამდვილად მაქვს, რომ თუ დაბრუნება ახლო მომავალში არ მოხდება, დაბრუნება მაინც მოხდება ბრძენი ქართველი და აფხაზი ხალხების მეშვეობით, მაგრამ მე მინდა ამ სიბრძნემ ახლო პერიოდში იმუშაოს.

**მამანტი ჯოლია,**

**პოლკოვნიკი, საქართველოს დიდი სამამულო ომის ინვალიდთა და ვეტერანთა კავშირის ბიუროს წევრი, ღირსების ორდენოსანი.**

ხსოვნა გულისა



## საბჭოური პერიოდის ქართველი პოლიტპატიმრები სოლოვეცკის საკონცენტრაციო ბანაკში. 1926 წელი.

**ადეიშვილი ამბერკი, თოდუა გიორგი, კეჭაყმაძე ვასო, ვათელია სოლომონი, გოთუა ლევანი, ქვირია კალისტრატე, დავითაშვილი ვასო, ქვანია იოსები, ხუბულავა კანდო, აბესაძე შოთა, დგებუაძე მეტია, კეკელიძე სერაპიონი, ბარათაშვილი ვახტანგი, შონია მიშა, ყარანკოზიშვილი ბიქტორი, ხელაძე ვანო, ვაშაკიძე ბესარიონი, მეჭეხია სიმონი, დავითაშვილი ვანო, აროშიძე სევერიანე, ჯაყელი დომენტი, ღამბაშიძე პარმენი, კახაბერი სანდრო, ყენია სილვა, წულაძე აფტონი, კურცხალია პეტრე.**

# კედლის ფოტოსთან

### ვუძღვნი ჩემ ძმას ვახტანგ ბარათაშვილს, მწერალ ლევან გოთუას, ვასო დავითაშვილს და ერთობლივ ყველას, მათი ბედის თანამოზიარეებს...

„სამართლიანმა" ხელისუფალმა
ჩვენი ქვეყანა „გაასუფთავა"
და გადადენა შორს „ბანდიტები"
ზურგზე მიკრული იარლიყებით.

და რომ შეარქვეს „მკვლელნი, მზაკვარნი",
(ამ ფოტოზეა ზოგი მათგანი)
იყვნენ სამშობლოს ბედით დამწვარნი,
მისი ტკივილით ნაავადარნი.

...გადავიწყება რა სათქმელია!
გულო, შორეულ ხსოვნას შეები...
ჩემი კედლიდან გადმომცქერიან
ჩვენი ქართველი „სოლოვკელები".

ადრე თეთრი ზღვა არც სიზმრებიათ,
არც სოლვკებზე უოცნებიათ.
დასაღუპავად განწირულები —
ჩვენი ქართველი ვაჟკაცებია.

დანაშაულის არ ჰქონდათ ხემსიც —
ტანჯულნი იყვნენ სხვა სატკივარით —
ეგულებოდათ ურჩხულის ხელში,
მამული თვისი დასაფიცარი...

იქ კი, თეთრ ზღვაზე, იმ ყინულეთში,
იწოდებოდნენ კაცის მკვლელებად
გათენებიდან — დაღამებამდე
ედენებოდნენ ხე-ტყის მჭრელებად.

ვინ, ვინ აღწეროს მათი წამება?
ზოგმა სიკვდილიც „ჯილდოდ" მიიღო...
რამდენმა წყევლა თავის გაჩენა, —
ერჩია, სულ არ გაჩენილიყო...

მათი სანთელი შორს, შორს ჰქრებოდა,
უსიხარულოდ, უიმედოდა,
ვინ იცის, როგორ ენატრებოდათ
თავის სახლ-კართან დამშვიდობება?..

...დრო გადიოდა, შინ დაბრუნება,
იღირსა მხოლოდ ზოგმა მათგანმა...
გულგატეხილმა, ჯანგატეხილმა
იცხოვრა წელში გაუმართავად...

ვერ უპოვია თავის ალაგი,
ეკალ-ბარდიან გზებით უვლია...
მას ხომ მშობელი ქვეყნის ღალატი
გულშიც არასდროს არ გაუვლია!

არც წუწუნებდა და არც ჩიოდა,
კაცური ეოფა რომ არ ეღირსა
ისე წავიდა, გაჰყვა ტკივილი,
მოურჩენელი — ქართვლის ბედისა.

აქ კვლავ დასეტყვეს, ისე გამარცვეს
რომ სიხარული არ ღირსებიათ
მხოლოდ ფოტოზე — კედლის დაფაზე
მათი სახება შემოგვრჩენია.

ეს — ისინია, დასამცირებლად,
ვინც არ ისურვა ქვეყნის დათმობა...
საქართველოსთვის გზების მიებას
შესწირეს თვისი ახალგაზრდობა.

ისე იცხოვრეს, ისე წავიდნენ,
როგორც ღირსეულ ქართველს შვენოდა...
რად ვერ ვიზრუნეთ, მათი სახელი
ერთ მცირე ქუჩას შემორჩენოდა?!!

დასავიწყებლად თუ გავიმეტეთ,
დროს, უოვლის მძარცველს
თუ ვერ შევებით,
რა რწმენით ვზარდოთ „ხვალის" იმედი,
ვინ, ვინ ვყოფილვართ
ჩვენ, ქართველები!!!

**მარიკა ბარათაშვილი.**

ადამიანი დროში

## კიდევ მრავალ სასწავლო წელს ვუსურვებთ

**პეტროს თაზოიანი წალკის რაიონის სოფელ კიზილ-კილისაში 1939 წელს დაიბადა. აქ გაატარა ბავშვობა და მოსწავლეობა. 1965 წლიდან კი უმაღლესი განათლების მიღების შემდეგ კიზილ-კილისას სკოლის სომხური ენისა და ლიტერატურის მასწავლებელია.**



თვალსა და ხელს შუა გაირბინა ორმოცმა სასწავლო წელმა. ამ ხნის მანძილზე რამდენი მოსწავლე აღზარდა, შეაყვარა მშობლიური კუთხე, სომხური ენა და ლიტერატურა. დღეს მისი აღზრდილნი არა მარტო წალკაში, სხვა და სხვა ქვეყანაში ამბობენ თავის სიტყვას. ბატონ პეტროსს ამაში ლომის წილი მიუძღვის. წალკის განათლების განყოფილება, მას მაღალ შეფასებას აძლევს საქართველოს განათლების სამინისტროში წარდგენილ დახასიათებაში:

„ბატონი პეტროს თაზოიანი ერუდირებული, ენერგიული, საქმის ერთგული და ბავშვებზე უსაზღვროდ შეყვარებული ადამიანია. ზნეობით, სომხური ენისა და ლიტერატურის ღრმა ცოდნით გამორჩეული, ის დაჯილდოებულია პედაგოგის ყველა თვისებით, დაუღალავი ენერგიით ემსახურება მოსწავლეთა აღზრდას. არის პირდაპირი და სამართლიანი. ყველა სიახლეს ახალგაზრდული ენერგიით აღიქვამს, თანამედროვე მეთოდებით მოძღვრავს მოსწავლეებს".

ამ ორმოცი წლის ნაყოფიერი მოღვაწეობის მიუხედავად მოძღვარს ასაკი არ ეტყობა და კვლავ მოუთმენლად ელოდება ახალი სასწავლო წლის დაწყებას. თეთრი ცარცი, მოსწავლეების ჟრიამული და ზარის ხმა მისი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია.

ბატონ პეტროსს ვულოცავთ და პედაგოგიური მოღვაწეობის ორმოც წლისთავს. ვუსურვებთ, ჯანმრთელობას და კიდევ ხანგრძლივ პედაგოგობას.

**ნაზი მეშველიანი,**

**გაზეთ „წალკის უწყებანის" მთავარი რედაქტორი.**

ტურიზმი

# რას სთავაზობენ უცხოელ ტურისტებს თუშები?

**ზაფხულია, ცხელა, ცხელა... შვებულების, დასვენების, მოგზაურობის დროა. სიცხით ადუღებული ქალაქიდან ვის საით მიუწევს გული. მეორე საკითხია, ვის რაზე მიუწვდება ხელი, მაგრამ საბოლოოდ უმრავლესობა მაინც სადღაც და როგორღაც დაისვენებს. აი, კურორტებზე კი ახლა იწყება მუშაობა თუ იწყება. მით უმეტეს, რომ წელს უცხოელ ტურისტთა ნაკადის მატებასაც ელიან. მათ შორის ისეთ კუთხეებშიც, რომელზეც ადრე ნაკლები მოთხოვნა იყო. მაგალითად, თუშეთში.**

ეს ღმერთისგან დალოცვილი და კაცთაგან მიტოვებული მხარე თავიდან ბოლომდე, ანუ მთელი თავისი გეოგრაფიული საზღვრებით, ეროვნული პარკია. „თუშეთის, ბაწარა-ბაბანეურის, ლაგოდეხისა და ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ" საქართველოს პარლამენტის მიერ 2003 წლის 22 აპრილს მიღებული კანონით „ჩამოყალიბდა 3 დაცული ტერიტორია: თუშეთის ნაკრძალი, ეროვნული პარკი და დაცული ლანდშაფტი. პროექტის მიზანი თუშეთის ლანდშაფტის შენარჩუნებაა, რაც ადამიანისა და ბუნების ჰარმონიულ თანაარსებობას გულისხმობს ტრადიციული ცხოვრების წესის — მეცხოველეობის განმტკიცების, ბუნებრივი რესურსების გონივრული მოხმარების გზით".

რაღა უჭირთ თუშებს?! ჰაი-ჰაი, რომ უჭირთ. მაგრამ გონიერი კაცი ამ გაჭირვებიდანაც ნახავს სარგებელს. ეს სარგებელი კი ცივილიზაციით დაღლილი ევროპელი ტურისტები არიან, რომელთათვისაც ჩვენი სიდუხჭირე მხოლოდ ეგზოტიკაა. მით უმეტეს, რომ ეროვნული პარკის პროექტის ფარგლებში ტურიზმის განვითარებაც იგეგმება და ფაქტობრივად იწყება კიდეც.

თუშეთის ეროვნულ პარკში ჯერ ჩამოყალიბებული არ არის ტურისტული ინფრასტრუქტურა და მხოლოდ ოჯახური სასტუმროები ფუნქციონირებენ, მაგრამ ხალხთან, ცხოვრებასთან უშუალო კავშირი კიდევ უფრო მეტ ხიბლს მატებს ტურისტულ ვოიაჟებს.



ჩემი რესპონდენტი, ახალგაზრდა თუში კაცი დათო ბუქვაიძე მთიელთათვის დამახასიათებელი სიდარბაისლითა და თავშეკავებით მიხსნის „თუშური ტურიზმის" სპეციფიკას. დათომ „კავკაზუს თრაველის" გიდთა სკოლა გაიარა და უკვე რამდენიმე წელია მასპინძლობს უცხოელ ტურისტებს:

— მარშრუტს და პროგრამას პარტნიორი ტურისტული ორგანიზაციებიდან ვღებულობთ, რომლებიც ტურისტთა ჯგუფებს გვიგზავნიან. ტურისტული პროგრამა შეიძლება პირობითად ორად გავყოთ: კულტურული ტურიზმის ფარგლებში შედარებით ხანმოკლე და იოლ პროგრამას ვთავაზობთ. ძირითადად 3-4 დღეს რჩებიან. მაგრამ, არის სათავგადასავლო ტურიზმის მოყვარული ჯგუფები. ეს ექსტრემალები უარს ამბობენ ტრანსპორტზე, ფეხით მიდიან ყველგან, ყველაფერი აინტერესებთ, ცხენით ჯირითობენ, ყოველდღიურ შრომით პროცესებშიც ერთვებიან და კარვებში სძინავთ.

ამ პატარა მხარეს ბევრისთვის უცნობი მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. მარშრუტი მოიცავს ისტორიული ადგილების, მხარეთმცოდნეობის მუზეუმის, თუშური კოშკების, ციხე-სახლების მონახულებას. ვაცნობთ ჩვენს წარსულს, მითებს, ლეგენდებს, ტრადიციებს. აინტერესებთ თუშური ცხოვრების წესი, საქმიანობა, შრომა. ის, რა პირობებშიც აქ ხალხი ცხოვრობს და შრომობს მათთვის ძალიან შორეულ წარსულთან შეხვედრაა.

ევროპელ ტურისტებს წესრიგიც მოყირჭებული აქვთ და კომფორტიც, ამიტომ კოცონზე მოხარშული ხინკალიც განსაკუთრებით ეგემრიელებათ და ლამპის შუქზე გატარებული საღამოც რომანტიკულად ეჩვენებათ.

— მათ სწორედ ეს ხიბლავს — უშუალო კავშირი ველურ, ხელუხლებელ ბუნებასთან, პირველყოფილი სიმშვიდე დენის, გაზის, ტელევიზორის, კომპიუტერისა თუ სხვა თანამედროვე ტექნოლოგიების გარეშე. სურვილის შემთხვევაში, რაც უმეტესად ყველა ჯგუფს აქვს, ტრადიციულ თუშურ საღამოებს ვთავაზობთ — ახალგაზრდები ღამით ერთ დიდ კოცონთან იყრიან თავს. გარმონზე ტრადიციულ სიმღერებს მღერიან, საუბრობენ, ხუმრობენ. ჩვენი სტუმრებიც ამ საღამოს ნაწილი ხდებიან. ხშირად თავადაც აგვყოლიან და თავისი ეროვნული სიმღერებიც უმღერიათ.



ახლა ფასებს არ იკითხავთ? ერთი დღე 20 დოლარი ჯდება, რაშიც ორჯერადი კვება და საგზალიც შედის. ამას ქართული სტუმართმოყვარეობაც დაუმატეთ. აი, დასვენებაც ამას ჰქვია!

**16 ივლისს ტურისტთა პირველ ჯგუფს ელიან. ეს ტურისტებიც დაუვიწყარ დროს გაატარებენ თუშეთში, თუ მანამდე გზის აღდგენითი სამუშაოები დამთავრდა. გზა ყოველ წელს ფუჭდება ზვავებისა თუ მეწყერის ჩამოწოლის გამო. მისი აღდგენაც ყოველ წელს ჭიანურდება. საგზაო შემთხვევებიც ყოველწლიურ ხასიათს ატარებენ. ბუნებით დინჯი თუშები დინჯად ელიან პრობლემის გადაჭრას და მასზე საუბარს თავს არიდებენ. მიტოვებულ 30 სოფელშიც მოლოდინი და სიჩუმე გამეფებულა...**

**ანა ვეშაგურიძე,**

**საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტის ეკონომიკურ-ჰუმანიტარული ფაკულტეტის ჟურნალისტიკის სპეციალობის სტუდენტი.**

ინფორმაცია

## ერგნეთის საგუშაგოსთან გზა გადაკეტეს

**ცხინვალიდან 6 ივნისს გაუჩინარებული ოთხი ქართველის ნათესავებმა დიდი ლიახვის ხეობიდან პატარა ლიახვის ხეობის მიმართულებით, ერგნეთში გადაინაცვლეს და ერგნეთის საგუშაგოსთან პროტესტის ნიშნად აქცია გამართეს.**

**უკვე ერთი კვირაა ხაჭაპურიძეების ახლობლებს მთლიანად პარალიზებული აქვთ დიდი ლიახვის ხეობა. აქ, რიგითი მოქალაქეების გარდა ვერც სამშვიდობო ძალების წარმომადგენლები ახერხებენ გადაადგილებას, თუმცა მოტაცებულების ნათესავები აცხადებენ, რომ არც ამ აქციამ გამოიღო შედეგი და აქედან გამომდინარე, მათ გადაინაცვლეს ერგნეთში და შეწყვიტეს გორი-ცხინვალის ავტომაგისტრალზე მოძრაობა.**

**აქციის მონაწილეებთან მივიდა ცხინვალში დისლოცირებული შერეული სამშვიდობო ძალების სარდალი, გენერალი მარატ კულახმეტოვი, თუმცა მან ეს ტერიტორია უკომენტაროდ დატოვა.**

**აქციის მონაწილეები აცხადებენ, რომ დაკარგულების შესახებ რაიმე ახალი ინფორმაციის მიღებამდე ისინი არავითარ შემთხვევაში გზას არ გახსნიან.**

**ინტერპრესნიუსი**

## გაზეთის რედაქტორის ეზოში ხელყუმბარა ააფეთქეს

**გურჯაანის რაიონული გაზეთის „იმედის" რედაქტორის გელა მთიულიშვილის საცხოვრებელი სახლის ეზოში 14 ივლისს ხელყუმბარა აფეთქდა.**

**აფეთქების შედეგად ჩაიმსხვრა სახლის მინები და დაზიანდა ჭერი. 22 ივნისსმთიულიშვილი სასტიკად სცემეს.**

**როგორც გურჯაანის რაიონის გამგებელმა აკაკი სიხარულიძემ „მედიანიუსს" განუცხადა, ხელყუმბარა გელა მთიულიშვილის სახლის ეზოში დაახლოებით ღამის 2 საათზე აფეთქდა. ამ დროისათვის ოჯახის წევრები სახლში იმყოფებოდნენ.**

**— მომხდარ ფაქტზე მიმდინარეობს მოკვლევა, შექმნილია ოპერატიული ჯგუფი და ველოდებით ექსპერტიზის დასკვნას, რათა დადგინდეს, რამ გამოიწვია აფეთქება, — განაცხადა „მედიანიუსთან" საუბრისას გურჯაანის პოლიციის უფროსმა არჩილ ბოჟაძემ.**

**მედიანიუსი**

ინფორმაცია

## რა ქნან, როცა არ გამოდიან?

**არასამთავრობო ორგანიზაცია „ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისათვის" სააღსრულებო დეპარტამენტის წარმომადგენლებს უფლებამოსილების გადამეტებაში ადანაშაულებს.**

როგორც ინტერპრესნიუსს ორგანიზაციის ხელმძღვანელმა ნანა კაკაბაძემ განუცხადა, გუშინ, წინამძღვრიშვილის ქუჩა №3-ში, საცხოვრებელი სახლიდან ოჯახის გამოსახლების მიზნით იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო დეპარტამენტის 30-მდე თანამშრომელი მივიდა.

მისი თქმით, ამ დროისთვის სახლში სამი ქალბატონი იმყოფებოდა, ბინის მეპატრონე თელოიანი, ნათელა აჯოევა და როზა მაჰმუდოვა.

– სააღსრულებო დეპარტამენტის წარმომადგენლებმა გამოსახლების მცდელობის დროს საცხოვრებელ სახლში მყოფებს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს, ხოლო ერთ-ერთი ქალბატონი როზა მაჰმუდოვა გულის შეტევით რეანიმაციის განყოფილებაში გადაიყვანეს. აჯოევა და თელოიანი დააკავეს, – განაცხადა კაკაბაძემ.

მისივე თქმით, აღმასრულებლები მართალია, უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების შესასრულებლად მივიდნენ, თუმცა მათ სამსახურებრივი მოვალეობების შესრულების დროს არაადეკვატური ძალა გამოიყენეს, რის გამოც ადამიანის უფლებები უხეშად დაირღვა.

დაზარალებული როზა მაჰმუდოვას ოჯახის წევრები, იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო დეპარტამენტის პირების პასუხისმგებლობის საკითხის დასმას მოითხოვენ და საჩივრის შესაბამის სამართალდამცავ უწყებებს მიმართავენ.

ინტერპრესნიუსი

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# თვითაღიარებულ სახელმწიფოთა კავშირი

**ივლისში სოხუმში დაგეგმილია ოთხი თვითაღიარებული რესპუბლიკის – სამხრეთ ოსეთის, მთიანი ყარაბაღის, დნესტრისპირეთის და აფხაზეთის პრეზიდენტების შეხვედრა. აფხაზეთის ლიდერმა სერგეი ბაღაფშმა სატელეფონო ინტერვიუ მისცა „ვრემია ნოვოსტეის" საკუთარ კორესპონდენტს საქართველოში მიხეილ ვიგნანსკის, რომელშიც ილაპარაკა ფორუმის მიზნებზე.**

***– რამ განაპირობა ასეთი შეხვედრის გამართვის აუცილებლობა?***

– ჩვენ განვიხილავთ სიტუაციას, რომელიც ამ რესპუბლიკების ირგვლივ იქმნება. გავაკეთებთ განცხადებას რუსეთის, მთელი მსოფლიო გაერთიანების მისამართით, რომელშიც აღვნიშნავთ, რომ სიტუაცია ჩვენს ირგვლივ იძაბება. მე ვგულისხმობ დნესტრისპირეთს, სამხრეთ ოსეთს, აფხაზეთს. ივლისის დამდეგს საქართველოს მხარემ დააკავა თურქული გემი, რომელსაც მოჰქონდა ტვირთი აფხაზეთისთვის. ეს ზღვაზე ბანდიტიზმია და სხვა არაფერი.

***– სტეფანაკერტი ჩვეულებრივ თავშეკავებით ეკიდება ხოლმე თვითაღიარებული რესპუბლიკების შეხვედრებს...***

– ეს მთიანი ყარაბაღის პრეზიდენტის საქმეა. მან უნდა გადაწყვიტოს, მიიღებს თუ არა მონაწილეობას ჩვენს სამიტში.

***– შეხვედრაზე თუ აპირებთ განიხილოთ აფხაზეთის გავლით გამჭოლი სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენის საკითხი?***

– არა, რადგან ეს არ ეხება სამხრეთ ოსეთს და დნესტრისპირეთს. ეს მხოლოდ საქართველოს, აფხაზეთს, სომხეთს და რუსეთს ეხება.

***– 10-11 ივლისს აჭარაში გაიმართა კონფერენცია სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის მოწესრიგების შესახებ, საქართველოს ხელმძღვანელობა დაპირდა მეამბოხე რესპუბლიკებს მაქსიმალურ უფლებებს ერთიანი სახელმწიფოს შემადგენლობაში. ასეთი სიტუაციის მოთმენას კი თბილისი აღარ აპირებს.***

– მე გავეცანი ამ კონფერენციის მასალებს და საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის გამონათქვამებს. რა შეიძლება ითქვას... ეს მისი პოზიციაა, ასე ხედავს იგი ამ პრობლემას, ასეთად მიაჩნია მისი მოგვარების გზები. თუ იგი აპირებს ძალისმიერი გზით გადაჭრას პრობლემა, ჩვენც საკადრის პასუხს გავცემთ.

***– თუ არის მოსალოდნელი ოთხი თვითაღიარებული რესპუბლიკის სამხედრო კავშირის შექმნა?***

– ჩვენ ძირითადად ეკონომიკაზე ვისაუბრებთ. მაგრამ საჭიროების შემთხვევაში, სამხედრო თანამშრომლობაც იქნება.

***– აგვისტოში აფხაზეთი აპირებს დიდი სამხედრო წვრთნის გამართვას...***

– ეს ჩვეულებრივი, საგეგმო წვრთნაა. ვაანალიზებთ რა აფხაზეთის ან სამხრეთ ოსეთის ირგვლივ შექმნილ ვითარებას, ჩვენ კარგად ვხედავთ, თუ როგორ არის განწყობილი საქართველო და მისი ხელმძღვანელობა. ამიტომ, მზად უნდა ვიყოთ ყველაფრისთვის და ამისთვის უნდა მოვამზადოთ ჩვენი ხალხი, ჩვენი შეიარაღებული ძალები.

***– კვლავ აქტუალურია მიხეილ სააკაშვილთან თქვენი შეხვედრის საკითხი?***

– აჭარაში გამართული კონფერენციისა და იქ მის მიერ გაკეთებული განცხადებების შემდეგ, ასეთი შეხვედრის გამართვის შესაძლებლობა გაურკვეველი დროით გადაიდო.

***– აჭარაში გამოთქმული რომელი განცხადებები იყო თქვენთვის განსაკუთრებით მიუღებელი?***

– ყველაფერი, რაც იქ ითქვა.

***– რუსეთი არ გირჩევთ საქართველოს პრეზიდენტთან მოლაპარაკების გამართვას?***

– ჩვენ თვითონ ვუძღვებით ჩვენს საგარეო პოლიტიკას, ვიცით, თუ რა უნდა გავაკეთოთ. რუსეთი ლოიალურად ეკიდება ქართულ-აფხაზური მოლაპარაკების პროცესს. ჩვენი პოზიცია კი უფრო ხისტია.

***– მართალია, რომ თქვენ აფხაზეთის მოქალაქეობას დაპირდით ყველა იმ პირს, რომლებიც თქვენს რესპუბლიკაში ორ მილიონ დოლარზე მეტ ინვესტიციებს დააბანდებს?***

– ეს ასეა. ჩვენ მზად ვართ ვიმუშაოთ იმ ადამიანებთან, რომლებიც ფულს აბანდებენ ჩვენს რესპუბლიკაში. ხოლო თუ მათ ამის სურვილიც ექნებათ, ჩვენს მოქალაქეობასაც მივანიჭებთ.

ВРЕМЯ НОВОСТЕЙ

# ლონდონის პოლიციას დრო სჭირდება

**ბრიტანეთის პოლიცია აცხადებს, რომ მას დასჭირდება თვეები იმისთვის, რომ დაადგინოს ლონდონში მომხდარი აფეთქებების ორგანიზატორთა და სპონსორთა ვინაობა.**

გამომძიებლები დარწმუნებული არიან, რომ ერთ-ერთი ორგანიზატორი შეიძლება იყოს წარმოშობით ეგვიპტელი ქიმიკოსი სტუდენტი, რომელიც აფეთქებების შემდეგ არავის აღარ უნახავს. ეს ადამიანი ცხოვრობდა ინგლისის ქალაქ ლიდსში.

ამავე დროს, ცნობილი გახდა, რომ ლიდსში, ამფეთქებელთა სახლების გაჩხრეკის დროს ნაპოვნი ნივთიერება წააგავს იმას, რომელსაც ჩვეულებრივ იყენებს ხოლმე „ალ-ყაიდა". კერძოდ, ეს იმავე ტიპის ასაფეთქებელი ნივთიერებაა, რომელიც გამოიყენა რიჩარდ რიდმა 2001 წელს, ტრანსატლანტიკური ავიალაინერის აფეთქებების მცდელობისას.

გამომძიებელთა თქმით, ასაფეთქებელი თვითნაკეთი მოწყობილობები დამზადებულია ისეთი ნივთიერებებით, რომელთა შოვნა იოლად შეიძლება ქიმიკატებით მოვაჭრე ნებისმიერ მაღაზიაში. ეს სიურპრიზი გახდა პოლიციისთვის, რომელიც მანამდე ვარაუდობდა, რომ ბომბების დასამზადებლად გამოიყენეს მაღალხარისხოვანი სამხედრო წარმოების ასაფეთქებელი ნივთიერება.

ლიდსში ჩხრეკა გრძელდება. ექსპერტები ცდილობენ ეჭვმიტანილთა სახლებიდან აღებული დნმ-ს სინჯები შეუთავსონ აფეთქების ადგილზე ნაპოვნს.

პოლიციამ ასევე დაასახელა მეოთხე კამიკაძის გვარიც, რომელიც სავარაუდოდ, მონაწილეობდა ამ ტერორისტულ აქტებში – ეს უნდა იყოს დიდი ბრიტანეთის მოქალაქე, წარმოშობით იამაიკელი ლინდსი ჯერმეინი. როგორც ჩანს, სწორედ ამ ადამიანმა აამოქმედა ბომბი, რასაც დიდი მსხვერპლი მოჰყვა.

პრაქტიკულად ყველა ბრიტანულმა გაზეთმა პირველ გვერდებზე დაბეჭდა ახალგაზრდა კაცის ფოტო, რომელსაც აცვია ლურჯი ქურთუკი და დიდი ზურგჩანთა აქვს გადაკიდებული.




ეს ფოტოები გაავრცელა პოლიციამ. მასზე ასახულია ერთ-ერთი კამიკაძე. სავარაუდოდ, ამ ადამიანმა ზურგჩანთაში ჩადებული ბომბი ააფეთქა ავტობუსში, რის შედეგადაც 12 კაცი დაიღუპა.

პოლიციამ ასევე დაასახელა ტერაქტის კიდევ ერთი შემსრულებლის ვინაობა – 22 წლის შეჰზად თანვირი.

გამოძიება ახლა მუშაობს 30 წლის მოჰამად სიბიქ ქჰანის პიროვნების დასადგენად, რომელმაც პოლიციელთა ვერსიით, თავი აიფეთქა მეტროს სადგურ „ეჯვერ-როუდში".

ამავე დროს, ლონდონში აფეთქებების შედეგად დაღუპულთა რიცხვმა 54-ს მიაღწია. ხუთშაბათს ჭრილობებისგან საავადმყოფოში გარდაიცვალა ავტობუსის ერთ-ერთი მგზავრი.

# ბენ ლადენის მომხრეთა რიცხვი კლებულობს

**ზოგიერთ მუსლიმანურ ქვეყანაში განხორციელებული ახალი გამოკითხვის შედეგების თანახმად, კლებულობს იმ ადამიანთა რიცხვი, რომლებიც იზიარებენ და მხარს უჭერენ უსამა ბენ ლადენის იდეებს.**

ვაშინგტონის პიუს კვლევითმა ცენტრმა მიმდინარე წლის მაისში გამოკითხა დაახლოებით ასი ათასი კაცი, რომლებსაც დაუსვეს ასეთი კითხვა: „ალ-ყაიდას" ლიდერის მიმართ თქვენი მხარდაჭერის დონე მნიშვნელოვანია თუ მაღალი?"

მაროკოში, თურქეთში, ინდონეზიასა და ლიბანში ორი წლის წინათ გამართულ ანალოგიურ გამოკითხვასთან შედარებით, სანახევროდ შემცირდა იმ ადამიანთა რიცხვი, რომლებმაც დადებითი პასუხი გასცეს ამ კითხვას.

ასეთივე ტენდენცია შეიმჩნევა ამფეთქებელი კამიკაძეების თაობაზე დასმულ კითხვებზე პასუხებშიც. როგორც პიუს ცენტრის დირექტორს ენდრიუ კორჰუტს მიაჩნია, ამის მიზეზია ის, რომ მაროკო, ინდონეზია და თურქეთი, თვითონ გახდნენ ამფეთქებელ კამიკაძეთა სამიზნეები.

მაგრამ გამოკითხვა ცხადყოფს, რომ ბენ ლადენის მხარდამჭერთა რიცხვმა ოდნავ მოიმატა ორ ქვეყანაში – იორდანიასა და პაკისტანში.

რაც შეეხება ისლამური ექსტრემიზმის გამომწვევ მიზეზებს, ლიბანსა და იორდანიაში რესპონდენტებმა ამის გამო პასუხისმგებლობა დააკისრეს ამერიკის შეერთებულ შტატებს მის მიერ განხორციელებული პოლიტიკისთვის.



მაროკოში, პაკისტანსა და თურქეთში კი ამ კითხვას სხვაგვარი პასუხი გასცეს: ძირითად მიზეზებად იქ მიიჩნევენ სიღარიბეს, უმუშევრობას და მოსახლეობის განათლების დაბალ დონეს.

# პალესტინელები ერთმანეთს ესვრიან

**ორი პალესტინელი მოკლეს და ათამდე კაცი დაიჭრა ღაზის სექტორში პალესტინის ავტონომიის უშიშროების ძალების წარმომადგენლებსა და პალესტინელთა დაჯგუფებების წევრებს შორის მომხდარი გააფთრებული შეტაკებების შედეგად.**

პირველად სროლის ხმა გაისმა ხუთშაბათს ღამით, პარასკევს გამთენიისას კი სროლა უფრო დიდი ინტენსიურობით განახლდა.

შეტაკებების ეპიცენტრი გახდა ქალაქ ღაზის აღმოსავლეთით მდებარე ზეითუნის რაიონი, რომელსაც მიიჩნევენ ჰამასის ექსტრემისტული დაჯგუფების ძირითად საყრდენ პუნქტად. თვითმხილველთა თქმით, პალესტინელთა უშიშროების ძალებმა ღამით ამ რაიონში შეიყვანეს ჯავშანტექნიკა, რომელსაც მოთარეშეებმა ნაღმსატყორცნები დაუშინეს.

როგორც ექიმები აცხადებენ, ორივე დაღუპული მოზარდია, რომლებიც შემთხვევით აღმოჩნდნენ სროლის ადგილზე. საავადმყოფოდან მიღებული მონაცემების თანახმად, დაჭრილთა შორის არიან როგორც მოთარეშეები, ისე უშიშროების ძალების თანამშრომლები და შემთხვევითი გამვლელებიც.

ეს შეტაკება ღაზის სექტორში გამოდგა ყველაზე სისხლისმღვრელი ბოლო ათი წლის განმავლობაში. 1990-იან წლებში პალესტინის პოლიციამ დააკავა 10-ზე მეტი კაცი ჰამასის კონტროლსდაქვემდებარებულ რაიონში ერთ-ერთ მეჩეთთან მომხდარი შეტაკების დროს.

პალესტინელთა ლიდერმა მაჰმუდ აბასმა მოსთხოვა პალესტინელთა უშიშროების ძალებს გააკეთონ ყველაფერი იმისთვის, რათა შეწყდეს მოთარეშეთა მიერ ებრაელთა დასახლებებისა და ისრაელის ტერიტორიისთვის ცეცხლის დაშენა. მაჰმუდ აბასი ცდილობს, შეინარჩუნოს ზავი ისრაელთან და არ მისცეს ამ ქვეყნის ძალოვანებს ქალაქ ღაზზე იერიშის მიტანის საბაბი.



ამავე დროს, ისრაელმა ვერტმფრენებით დაბომბა სამიზნეები ღაზში – ეს მოხდა პირველად თებერვალში გამოცხადებული დაზავების შემდეგ.

ისრაელის ვერტმფრენებმა სამიზნეებად შეარჩიეს ისლამური სტუდენტური ორგანიზაცია, აგრეთვე, შენობა ჰან-იუნისში, სადაც ებრაელ სამხედროთა ვარაუდით, ჰამასის დაჯგუფებას უნდა ჰქონოდა იარაღის საწყობი.

ეს ოპერაცია განხორციელდა პალესტინელების მიერ ისრაელის ტერიტორიისთვის რაკეტების დაშენის პასუხად, რომლის შედეგადაც დაიღუპა ახალგაზრდა ქალი.

შენ, ნიჟო ჩემო!..

# სიმწიფე

**გიორგი ჩაჩიბაია თბილისის ვეკუას სახელობის 42-ე მათემატიკური საშუალო სკოლის გამორჩეული მოსწავლე იყო. სისტემატურად მონაწილეობდა მათემატიკისა და ფიზიკის რესპუბლიკურ კონფერენციებში, ოლიმპიადებსა და ტურებში. აკი, ერთ-ერთი კონკურსის 3 საფეხურის გავლის შემდეგ 2500 მოსწავლიდან 50-მა გაიმარჯვა და მათ შორის იყო გიორგიც. ის ერთი წლით ამერიკული პროგრამა „ფლექსის" დაფინანსებით იმ 50 ახალგაზრდასთან ერთად საქართველოდან ამერიკის შეერთებულ შტატებში სასწავლებლად გააგზავნეს.**

გიორგი ტეხასის შტატის ქალაქ დალასში ექიმ სატონების ოჯახში ცხოვრობდა. ქართველი ჭაბუკი იქაურ მასპინძლებს თბილად იგონებს, – 4 შვილი ჰყავდათ და მეც შვილივით მექცეოდნენო. სწავლით იქვე დალასთან ახლოს პატარა ქალაქ როიზ სიტის სკოლაში სწავლობდა. იქაც, მთელი ერთი წლის განმავლობაში სისტემატურად მონაწილეობდა ტეხასის შტატში გამართულ ფიზიკისა და მათემატიკის აკადემიურ ოლიმპიადებში, პირველობასაც არავის უთმობდა.

როიზ სიტის სკოლაში ყველა საგნის სწავლა გიორგის ინგლისურ ენაზე უხდებოდა. არ უჭირდა, რადგან კარგად ფლობს ამ ენას. ყველა საგანში უმაღლესი შეფასება ჰქონდა, რაც ამერიკელებს ძალიან უკვირდათ და აკი ამბობდნენ კიდეც: – ნუთუ საქართველოში ყველა ასეთი ნიჭიერები ხართო. როცა ვაშინგტონში მათემატიკაში ერთკვირიანი წვრთნა ჩატარდა, გიორგი ჩაჩიბაია და მისი თანატოლებიც მონაწილეობდნენ. მათ შეხვედრა ჰქონდათ ამერიკელ სენატორებთან, მთავრობის წარმომადგენლებთან (ეს შეხვედრა ამერიკის ერთ-ერთმა ტელეარხმაც გააშუქა); სწორედ მაშინ, ამერიკის შეერთებული შტატების განათლების მინისტრმა ჰეთჩესონმა როცა გიორგი ჩაჩიბაიას გვარი გამოაცხადა, დაუმატა: – **დაიმახსოვრეთ ამ ქართველის გვარი, ასეთი გამარჯვება არც ისე ადვილია.** თვითონ გიორგი ამ წარმატებას თბილისის იმ სკოლას უმადლის, სადაც სწავლობდა. გიორგიმ ერთი რამ შენიშნა, ამერიკის შეერთებულ შტატებში ყველა მოსწავლე თავისი ხუთი თითივით იცნობს კომპიუტერს, ისინი ტექნოლოგიურად ზედმიწევნით არიან განათლებული, მაგრამ ზოგადი განათლებით და წიგნის სიყვარულით საქართველოდან ჩასულები უფრო ვამაყობდითო. გიორგიმ ვაშინგტონში 100 გამარჯვებულთან ერთად მიიღო სერტიფიკატი – დასტური იმისა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების დედაქალაქში ქართველი ჭაბუკის ნიჭიერება მოეწონათ. ეს გამარჯვება კი მას გზას უხსნის მომავალში ამ ქვეყნის უმაღლეს სასწავლებელში სწავლა განაგრძოს (თუ ამის ეკონომიური შესაძლებლობა მიეცემა). მათემატიკის, ფიზიკისა და ინგლისურის კარგი ცოდნით დაამახსოვრა ქართველმა ახალგაზრდამ მასპინძლებს თავი.

თბილისის ვეკუას სახელობის მათემატიკური 42-ე სკოლის კურსდამთავრებული გიორგი ჩაჩიბაია, რომელსაც ახლახან გადაეცა სიმწიფის ატესტატი, როგორც აბიტურიენტი ერთიან ეროვნულ გამოცდებს ამ გამოცდების ერთ-ერთ ცენტრში – ტექნიკურ უნივერსიტეტში აბარებს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტობა სურს, იგი კვლავ მათემატიკურ პრობლემებზე მუშაობას განაგრძობს.

ნათელა ფაილოძე



**სურათებზე: გიორგი ჩაჩიბაია (შუაში) ამერიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელთან; გიორგი ვაშინგტონში კაპიტოლიუმის წინ; სერტიფიკატი, რომელიც გიორგიმ ვაშინგტონში მიიღო.**





CLOSE UP FOUNDATION

CERTIFICATE OF PROGRAM PARTICIPATION

George Chachibaia

is recognized as a participant in the Close Up Foundation's government studies program in Washington, D.C.
**February 27-March 5, 2005**

Participation in Close Up programs inspires and provides the skills for increased citizen involvement in our democratic process.

## განცხადება

შპს კბ „ელდორადოს" ლიკვიდატორი აცხადებს საჯარო ვაჭრობას მოთხოვნის უფლებების გაყიდვაზე, შემდეგ იურიდიულ პირებზე:

შპს „მედეა", მისამართი: ქარელის რ-ნი, სოფელი დვირი, თანხა 91 696 აშშ დოლარი.

შპს „ბემი", მისამართი: ქ. თბილისი, არგოს ქ. 20-ა, ბინა 10, თანხა 105 000 ლარი.

შპს „ფრონე", მისამართი: ქარელის რ-ნი, დაბა აგარა, თანხა 121 600 ლარი.

შპს „იმედი", მისამართი: ხაშურის რ-ნი, სოფ. სურამი, აღმაშენებლის ქ. 55, თანხა 4300 ლარი.

შპს „თედო", მისამართი: ქ. ხაშური, კეცხოველის ქ. 46, თანხა 180 325 ლარი.

შპს „ყვინჩილა", მისამართი: ქ. გორი, ჩიტაძის ქ. 14, თანხა 123 322 ლარი.

აღნიშნულ თანხებზე გამოწერილია სააღსრულებო ფურცლები (შესაძლებელია დისკონტი). დამატებითი ცნობებისათვის მოგვმართეთ შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №7, ცეკავშირის შენობის მე-6 სართული, ოთახი 620.

სააქციო საზოგადოება „ბოლნისგაზი" იწვევს სააქციო საზოგადოების აქციონერებს საზოგადოების რიგგარეშე საერთო კრებაზე, რომელიც გაიმართება 2005 წლის 6 აგვისტოს ბოლნისში, წმინდა ნინოს ქ. 36 ა. დღის წესრიგი:

**1) ცვლილებები სამეთვალყურეო საბჭოში, 2) სხვადასხვა.**

ადმინისტრაცია.

## განცხადება

**იყიდება ქუთაისის ასათიანის ქ. №98-ში განთავსებული მიწის ნაკვეთი 5 ჰექტარამდე და ძირითადი საშუალებები მინის ბოთლების ჩამომსხმელი ტექნოლოგიური ხაზი თავისი სახარში მოწყობილობით 2 ცალი: 1.-IS-10 – შვეიცარიული წარმოების 2.-R-7 ბელგიური წარმოების. ყოფილი სს „ქუთაისის მინის ტარის ქარხნის" ტერიტორია.**

**საკონტაქტო ტელეფონები:**
**(231) 2-40-05 (ფაქსი) (231) 2-30-31, 893 21-14-77.**

სს „ორიონი" გაცნობებთ, რომ 2005 წლის 10 აგვისტოს 12 საათზე დანიშნულია აქციონერთა კრება დღის წესრიგით:

**1. სს „ორიონის" სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორატის მიერ 2004 წელს გაწეული სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის შესახებ.**

**2. ინფორმაცია 2004 წლის აუდიტორული შემოწმების შედეგებზე.**

**3. სხვადასხვა.**

### 1995 წლის შემდეგ ევროპაში განხორციელებული უდიდესი ტერორისტული აქტების ნაწილი

1. 1995 წლის ივლისი – აფეთქება პარიზის მეტროში, 8 კაცი დაიღუპა, 86 დაიჭრა.
2. 1998 წლის აგვისტო – ჩრდილოეთ ირლანდიის ქალაქ ომში ავტომანქანის აფეთქების შედეგად დაიღუპა 29 კაცი.
3. 1999 წლის 9 სექტემბერი – მოსკოვში საცხოვრებელი სახლის აფეთქებას 109 კაცი ემსხვერპლა.
4. 1999 წლის 13 სექტემბერი – მოსკოვში ააფეთქეს საცხოვრებელი სახლი, დაიღუპა 124 კაცი.
5. 1999 წლის ოქტომბერი – გროზნოს ბაზარში მომხდარი აფეთქების შედეგად დაახლოებით 110 კაცი დაიღუპა.
6. 2003 წლის ნოემბერი – აფეთქება სტამბოლში, დაიღუპა 61, დაიჭრა 600-ზე მეტი ადამიანი.
7. 2004 წლის მარტი – მადრიდში მატარებლებში მომხდარი აფეთქებების სერიის შედეგად დაიღუპა 191 და დაიჭრა 1800-ზე მეტი ადამიანი.





ყოველკვირეული ლიტერატურულ-პუბლიცისტური ჩანართი №18

# „მკითხველივით რომ ვფიქრობდე, ვერაფერს დავწერდი“



**— ამბობს გერმანელი მწერალი ელდარ ჰილზენრატი, ვისი ერთ-ერთი მკითხველი ჰაინრიჰ ბიოლი ავტორიტეტულად აცხადებს — „იქ არის რაღაც ეკლექტური“...**

*ეკლექტიზმი, რა თქმა უნდა, ქათიანური არ გახლავთ, მაგრამ ფაქტია, ჰილზენრატის წიგნები, პირველ რიგში, თავად გერმანიაში და ამერიკაში ბესტსელერად იქცა. სინამდვილეში რას ფიქრობს მისი მკითხველი? როგორც ჩანს, შინაგანად ეთანხმება მწერალს, რომ დროში მოუშუშებელი კომპლექსების გამო „გერმანიაში მიღებულია ებრაელთა აღწერა ისე, თითქოს ესენი ცოცხალი ადამიანები კი არა, ედემის რაღაც მცხოვრებნი არიან...“*

ელდარ ჰილზენრატი დაიბადა 1926 წელს ლაიფციგში, ებრაელი ვაჭრის ოჯახში და მეორე მსოფლიო ომის დროს უკრაინაში მოხვდა, გეტოში. იქ გადაწყვიტა მწერლად გახდომა.

მის კალამს ეკუთვნის რვა რომანი, რომელთა შორის ყველაზე ცნობილია „ღამე“ (1964), „ნაცისტი და პარიკმახერი“ (1971) და „სიკვდილისწინა ზღაპარი“ (1989) — ეს უკანასკნელი ა. დობლინის პრემიით დაჯილდოვდა.

„სიკვდილისწინა ზღაპარი“ ისტორიული გამოკვლევის საფუძველზე დაიწერა. მწერალი აქ გვიამბობს სომხების დარბევებზე ოსმანთა იმპერიაში და 1915 წლის მასობრივ ხოცვა-ჟლეტაზე. წიგნი 2000 წელს რუსულ და სომხურ ენებზე ითარგმნა, წლეულს კი ხელახლა გამოვიდა გერმანიაში და ერთ-ერთ ბესტსელერადაც იქცა.

ჟურნალ „შპიგელის“ (გერმანია) კორესპონდენტმა ინტერვიუ ჩამოართვა ელდარ ჰილზენრატს, რომელსაც შემოკლებით გთავაზობთ.

იხ. მე-8 გვ.

# როგორ იმართლებდნენ თავს მწერლები...

**40-იანი წლების მწერალთა კავშირში რიგითი სხდომა გაიმართა. მაჩაბლის ცამეტიდან გამოყოფილი შთაბეჭდილებები გერონტი ქიქოძემ რამდენიმე წლის მერე ჩაიწერა:**

**„აქ მონანიების და თვითგვემის საღამო გაიმართა. გამოვიდნენ მწერლები და დაიწყეს თავიანთი შეცდომების და ცოდვების აღიარება.**

**შალვა დადიანი მკაცრად გააკრიტიკეს მისი „უბედური რუსის“ ანტირუსული ტენდენციისთვის. შალვა ძალიან ღირსეულად გამოვიდა. მან თქვა: გიორგი რუსის სახე ჩემი გამოგონილი არაა. მე ის რუსი ისტორიკოსების ნაწერების მიხედვით დავხატე... დამაჯერებელი ციტატები მოიყვანა. რად არ აქცევთ ყურადღებას, რომ ამ რუსის გვერდით მე გამოვიყვანე რუსი ხალხის სიმპატიური წარმომადგენელი კუზმაო! მე ჩემს წიგნს ვერ შეველევი. თუ არ მოგწონთ, ნუ გამოსცემთო.**

**ეს იყო ჭეშმარიტად ვაჟკაცური სიტყვა და მან მოწონება დაიმსახურა, თვით კრებაზე დამსწრე მწერლებში.**

**შალვა იყო ნამდვილი ქართველი ჯენტლმენი...**

ასე იყო თუ ისე, რომან **„უბედური რუსის“** სათაური შეიცვალა და სახელად **„გიორგი რუსი“** დაერქვა.

გერონტი ქიქოძის შემდეგი ჩანაწერიც გამოქვეყნებისთვის არ იყო გამიზნული. ოდენ შინაგან პროტესტს გამოხატავდა და სადღაც, უჯრის სიღრმეში ინახავდა.

„ჩივილი ლიტერატურისა და ხელოვნების — ჩამორჩენილობაზე: ისინი ვერ ასახავენო ჩვენს თანამედროვე მდიდარ და მღელვარე ცხოვრებას. რა იყო ამის მიზეზი? უწინარეს ყოვლისა, ყალბად და ცალმხრივად გაგებული დიქტატურის იდეა, აზროვნების მოქცევა ვიწრო არტახებში. მთელ სულიერ კულტურას ყინულების მასივი აწევს თავზე...

ლიტერატურას, მხატვრობას, თვით მუსიკას მხოლოდ საბჭოთა ადამიანების გმირობა და სილამაზე უნდა აესახა. ყოველი მხრიდან გაისმოდა: ჩვენ ამდენი ტონა სიმინდი მოვიწიეთ. ამდენი ძროხა მოვწველეთ, ამდენი გოჭი გავზარდეთ. მწერლებს ჩვენი ვალი გადევთ. თქვენ ჩვენი გმირული საქმეები უნდა აღნუსხოთო.

მართალია, იმასაც გვეუბნებოდნენ, ჩვენ გოგოლები და სალტიკოვ-შჩედრინები გვჭირდებაო, მაგრამ თუ ვინმე გაბრიყვდებოდა და „მკვდარი სულების“ მსგავს რასმე დასწერდა, საშინელ ლიმიტში მოხვდებოდა... ცნობილია, რომ „დამპატიჟეს“ გამოქვეყნება სრულიადაც აქტივში არ ჩაეთვალა მიხეილ ჯავახიშვილსაც, **მაგრამ რარიგ ხანგრძლივიც უნდა იყოს ზამთარი, ის მაინც თავდება, თოვლი დნება და თავს ყოფს ენძელა. ეს მარტივი და საყვარელი ყვავილი, რომელიც გაზაფხულის მაუწყებელია“...**

გაზაფხულის მოლოდინის ოპტიმისტური განწყობილება გერონტი ქოქოძისთვის ნაადრევი აღმოჩნდა. მას თავადაც მოუხდა თავის მართლება, წერილი **კანდიდ ჩარკვიანს:**

დიდად პატივცემულო ამხანაგო კანდიდ!

... მე თვითონ არ შემიძლია ჩემი მუშაობის ხარისხი დავაფასო და არც იმდენად თვითდაჯერებული ვარ, წარმოვიდგინო, ჩემი ნამუშევარი დაზღვეულია ყოველი ნაკლისა და შეცდომებისგანმეთქი. ახლა, როდესაც სიბერის ასაკში შევედი და ბუნებრივად უკან ვიცქირები და არა წინ, ვხედავ, როგორც მთარგმნელი, რედაქტორი, რეცენზენტი, ბევრი წვრილმანი, უმადური სამუშაოს შესრულება მომიხდა, რაიცა გარეშე მაყურებლისთვის არ ჩანს და რასაც ჩემთვის არაფერი მოუტანია გარდა დაღლილობისა.

ჩემი ორიგინალური შრომებიდან მე დიდ ნაწილს დავიწყებას მივცემდი სიამოვნებით. ამას ვლაპარაკობ სრული შეგნებით და არა ყალბი თავმდაბლობის კარნახით...

თავისთავად ცხადია, მე იმდენად გულუბრყვილო და გულზვიადი არ ვარ, რომ სხვებისგან ჩემი ბიოგრაფიის და მსოფლმხედველობის ცოდნა მოვთხოვო ადამიანებს, რომელთაც ძალიან ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ თავიანთი სამშობლოს ისტორიასა და ლიტერატურაზე... ამიტომ მე სრულიად არ გამკვირვებია, როდესაც „ზარია ვოსტოკას“ № 124-ში დაიბეჭდა ვინმე კოსტანაშვილის წერილი, მიძღვნილი ჩემი „ქართული ლიტერატურის ისტორიისადმი“, აღსავსე ყალბი ციტატებით და უკუღმართი დებულებებით. მე მხოლოდ მაოცებს, რომ სერიოზული ყოველდღიური გაზეთი, საქართველოს კომპარტიის ორგანო, ადგილს უთმობს ასეთ აბდაუბდას.

ვთქვათ, საქმის ვითარებაში გაუცნობიერებელმა რუსმა მკითხველმა დაიჯეროს კოსტანაშვილის უაზრო ბრალდებანი, „ზარია ვოსტოკას“ ხომ ისეთი ქართველებიც კითხულობენ, რომლებიც, მეტად თუ ნაკლებად, იცნობენ ჩემს ლიტერატურულ მუშაობას.

რომელი მათგანი დაიჯერებს, რომ მე ბარათაშვილს ქრისტიანულად მოაზროვნე მწერლად ვთვლი (რაც თავისთავად სრულიად დამამცირებელი არ იქნება მისთვის), რომ მე უარვყოფ ილია ჭავჭავაძის და თერგდალეულების ბრძოლას ფეოდალური არისტოკრატიის წინააღმდეგ სოციალური ხასიათი ჰქონდა“, „გვერდს ვუვლი რუსული საზოგადოებრივი აზროვნების თავისებურებებს“, „თანავუგრძნობ ტ. მკლავაძის პრიმიტიულ მორალს“, „აპოლიტიკურობას ვამჟღავნებ უდიდესი გულახდილობით“ და სხვ.

მე კიდევ უფრო გამაოცა იმ გარემოებამ, რომ საქართველოს გამომცემლობათა მუშაკების თათბირზე კოსტანაშვილის წერილს დასტური მისცა ზოგიერთმა პასუხისმგებელმა მუშაკმა. მე დიდად მაოცებს ეს გარემოება, რომ ეს ადამიანები „აპოლიტიკურობას“, უცხო იდეოლოგიის დაცვას მაბრალებენ...

მე ვასრულებდი იმას, რასაც სამშობლოსადმი ვალდებულების გრძნობა მკარნახობდა და რაც შეძლებისდაგვარად ყოველმა კეთილსინდისიერმა მოქალაქემ უნდა შეასრულოს. მხოლოდ ენერგიულ პროტესტს ვაცხადებ, როდესაც ჩემს პატარა ღვაწლს ჩრდილს აყენებენ და უკუღმართად ანათებენ...

* * *

## „ჩვენ არ ვართ დაზღვეულნი შეცდომებისგან“...

ისინი გამოუვალ მდგომარეობაში, კიდევ უარესის მოლოდინში, შეძლებისდაგვარად თავს იმართლებდნენ... იძულებულნი იყვნენ თავი ემართლებინათ...

ყველას ახსოვს კონსტანტინე გამსახურდიას მოარული გამოთქმა: **„მე საკუთარი ცოდვებიც მეყოფა, თარაშ ემხვარის ცოდვებიც რომ არ ამკიდოთო“...**

თავს იმართლებდა ტიციან ტაბიძეც: „1914-1915 წლებში ლიტერატურული მოსკოვი ჯერ კიდევ სიმბოლიზმის ტყვე იყო, თუმცა უკვე იგრძნობოდა სიმბოლიზმის კრიზისი... შვეიცარიიდან ახლადდაბრუნებულმა ანდრეი ბელიმთან მოიტანა თავისი ბუნდოვანი სხდომები და ფორმულა „კანტიდან პრუდონამდე“... ვალერი ბრიუსოვის გამოსვლა, „აკმეისტების“ და „ადამისტების“ შეტევა სიმბოლისტების წინააღმდეგ, ნაცნობობა ბალმონტთან... მოსკოვის ქუჩებსა და ესტრადებზე ვლადიმერ მაიაკოვსკის, ხოლო უფრო გვიან — ხლებნიკოვისა და რუსი ფუტურისტების გამოჩენა. ყოველივე ეს მაღელვებდა და მიტაცებდა და ასე თუ ისე აისახა ჩემს შემდგომ მუშაობაში. **პოლიტიკურ ამბებში მე სავსებით ნათლად ვერ ვერკვეოდი, ჩემი დამოკიდებულება რუსულ და ფრანგულ სიმბოლიზმთან სრულიად არაკრიტიკული იყო“.**

ტიციან ტაბიძის „გამართლებას“ ცდილობს საბჭოთა პერიოდის შედარებით განათლებული ფუნქციონერი, როცა მის შესახებ წერილის დაწერას გადაწყვეტს.

**„დიახ, ტიციან ტაბიძეს აღარ აინტერესებდა დეკადენტური პოეზიის მომშხამავი ბანგი. ბოდლერის, რემბოს, ვერლენისა და მათი მიმდევრების მისტიური სულისკვეთება. იგი მთელი არსებით გაიტაცა ახალი კოლხეთის პერსპექტივებმა, მალარიით დახაშმული ჭაობების საშვილიშვილო საქმემ, ნარკვევში „ახალი კოლხიდა“. მან ერთხელ კიდევ ხაზი გაუსვა თავის ახალ პოეტურ კრედოს: „ახლა მე ნაკლებად საინტერესოდ მიმაჩნია ჩემი პირადი განცდა... მე მინდა ვუმღერო იმ საქმეს, რომელიც საერთოა ჩემთვის, ჩემი მეზობლებისა, ყველა ქართველისა და ასევე ყველა მშრომელისთვის მთელ მსოფლიოში, სადაც კი გაწვდება კომინტერნის მერიდიანები“...**

**დ. სტურუა**

* * *

დაღვება დრო და ტიციან ტაბიძე უფრო დიდ ბრალდებებზე აღარ იმართლებს თავს. დაპატიმრების, ერთთვიანი ფიზიკური წამების და ფსიქოლოგიური ძალადობის შემდეგ, აღიარებს, რომ ის არის საფრანგეთის ჯაშუში... და რომ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ჯაშუშურ ინფორმაციებს, ფრანგ მწერალ ანდრე ჟიდის საშუალებით, გადასცემდა ბურჟუაზიულ ქვეყნებს...

როგორც ჩანს, აქ უკვე თავის მართლებასაც აღარ ჰქონდა აზრი.

* * *

**თავს იმართლებდა გრიგოლ რობაქიძე: „პოლიტიკოსი არ ვყოფილვარ და არცა ვარ. არა ვარ, არა იმის გამო, ვითომ პოლიტიკის არა გამეგებოდეს რა. არა ვარ იმის გამო, რომ ღრმად და მკაფიოდ მაქვს შეგნებული: მწერალი, რომელიც პოლიტიკაში ერევა, პოლიტიკას ვერას არგებს, თავის თავს კი, როგორც ხელოვანს, ვნებასაც მიაყენებს“.**

სოციალ-ფედერალისტთა პარტიიდან გადის **მიხეილ ჯავახიშვილი** და ამბობს: **„პოლიტიკანობა არ არის მწერლის საქმე“...**

„პოლიტიკანობა მართლაც არ არის მწერლის საქმე, მაგრამ წლების გადასახედიდან გულწრფელ თანაგრძნობას იწვევს, უსაზღვრო სევდას აღძრავს საბჭოთა პერიოდის მწერალთა ხვედრი: დაუსრულებელი, იძულებითი თავის მართლებანი.

თვით გრიგოლ რობაქიძე, რომელიც თითქოს საბჭოეთის რეპრესიებს ასცდა, ყველგან, გერმანიაშიც და შვეიცარიაშიც, მაინც ამ საბჭოთა სივრცის ბინადარი დარჩა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ მუდამ თავი უნდა ემართლებინა:

1947 წელს სოფელ სვირის სადგურში უცნობმა პირმა გრიგოლ რობაქიძის ბარათი მიიტანა. წერილი ფოსტის შეშინებულმა გამგემ გახსნა. რობაქიძე წერდა: **„პოლიტიკაში არ ვერევი. ვარ მხოლოდ მწერალი. ჩემს შემოქმედებას ვსაზღვრავ არც მარცხენით“, არც „მარჯვენით“. მდინარეს მესამე ნაპირიც აქვს — უხილავი და უფრო გულისხმიერი...**

**ქართველ მწერლებს გთხოვთ, უპატრონოთ ჩემს დებს — ნინოს და ლიდას. მათ ჩემს „ამბავში“ ბრალი არ მიუძღვით.**

**გთხოვთ, მოახსენოთ საქართველოს მღვდელთმთავარს, რომ ჩემი სულისმდგმელი აქ ჩვენი წმინდა ნინოა, ჩვენი განმანათლებელი... ხშირად ვლოცულობ მის წინაშე“...**

* * *

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა აქ დარჩენილ თუ უცხოეთში გადახვეწილ ადამიანთა ყოფიერების და ბედის საერთო ადგილსამყოფელი იყო. ეს გახლდათ მათი შესამეცნებელი ობიექტიც, დაძაბული მზერის საგანიც. ემიგრანტები, ამ კონკრეტული საზღვრებიდან გასულნიც კი თავისუფალ სივრცეს ვერ პოულობდნენ და იგივე კედლებს ეხლებოდნენ, საიდანაც ეგონათ, რომ გააღწიეს.

**.... ეს იყო მათი დროება, რასაც ბედისწერულად თავს ვერ დააღწევდნენ...**

რას მოითხოვს დღევანდელი მწერლისგან ოფიციოზი? ვფიქრობთ, ის საერთოდ არ იცნობს მას. ოფიციოზი დღეს მხოლოდ მწერალთა სასახლის შენობას ითხოვს. იმ მწერლებს, რომელთაც სამთავრობო გადატრიალებების დროს აგიტატორებად იყენებს, მერე აღარც უსმენს. გამოიყენებს და მისი დამოკიდებულებაც ე.წ. ქართულ მწერლობასთან ასე სრულდება.

ყველამ იცის, რომ ნამდვილი ქართველი მწერლების დიდი ნაწილი გაუსაძლის სოციალურ პირობებში ცხოვრობს. მათ არც მორალური თანადგომა აქვთ. ხელჩაქნეულნი არც არაფერს ითხოვენ.

ახლა სხვა დროა, **მწერლები თავს აღარ იმართლებენ, მაგრამ ახლა მათ წინაშეც არავინ იმართლებს თავს.**



# მალე დაინგრევა სახლი გუდიაშვილის მოედანზე...

*„მართალია თუ არა მთავრობა ჩემთან ბრძოლაში (იზოლაცია, შიმშილი, წყურვილი, ღვინა, უბინაობა, უქურნალობა, უგაზეთობა). მართალი იყო თუ არა მთავრობა აქ?“ (გალაკტიონის უბის წიგნაკიდან).*

**თემის გაგრძელება:** მართალია თუ არა მთავრობა, რომელიც დასახურად გაიმეტებს საქართველოს ყველაზე ტრადიციულ და მნიშვნელოვან პერიოდიკას: 153 წლის ჟურნალ **„ცისკარს“**, 80 წლის **„მნათობს“**, 100 წლის **„დილას“**, 74 წლის **„ლიტერატურულ საქართველოს?“..**

და ეს ყველაფერი ხდება საერთო მხიარულების და აღტკინების, შოუთა რეკლამების და მერიის ინიციატივით რუსთაველის პროსპექტზე საკვირაო სახალხო სეირნობათა ფონზე...

იქნებ იმიტომაც, რომ მწერლებისა და ჰუმანიტარების ავტორიტეტს ძალმომრეობის და ძალადობის პიარი ჩაანაცვლეს, **რუსთაველზე საორკესტრო მუსიკის თანხლებით სეირნობა ჩაიშალა, ხოლო ნაცვლად ამისა, იქ ძალოსნების, მოჭიდავეების და პოლიციის მუშტი-კრივი გაიმართა...**

კიდევ ერთხელ ვიხილეთ ნამდვილი ღირებულებების ემპირიული ღირებულებებით გადაფარვის შედეგი.

სახალხო სეირნობა გადაქცეული სახალხო მუშტი-კრივად ჩვენში უპირველესად კლასიკური ცოდნის და ფასეულობათა უარყოფას, ანუ როგორც ფილოსოფოსი მიშელ ფუკო იტყოდა, **„კლასიკური აზრის წყობის გაუჩინარებას“** გულისხმობს და მომავალშიც კიდევ მრავალი ასეთი სანახობის მოწმენი გავხდებით.

საკრალური სიტყვის — **„ეროვნულის“** მაცდური სიცხადე, რასაც ყოველ წუთს ყალბი, არაფრისმთქმელი პათოსით წარმოსთქვამენ ე.წ. რეფორმატორები, ისევ და ისევ ამ და მსგავსი სიტყვების დევალვაციას იწვევს, მათი ნამდვილი მნიშვნელობა კი ჩრდილშია მოქცეული.

არსებობს ეპოქალური მოვლენები (კარგიც და ცუდიც), რომელთა ზუსტი აღნიშვნა და სამომავლოდ დამახსოვრებაა საჭირო. **(„დრო, დრო აღნიშნე!..“)** .... აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ ეს კონკრეტული დროც — **„მნათობის“, „ცისკრის“, „დილის“, „დროშის“, „ლიტერატურული საქართველოს“** დახურვის ხანა. საქართველოს ისტორიაში სათანადოდ უნდა ჩაწეროს ეს დრო, ამ დროის ნიშნებიც და ამ დროის ხელისუფლებაც.

* * *

ორიოდე დღის წინ „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქციაში გახლდით. ეს ოდესღაც მშვენიერი ცისფერი შენობა თითქოს ფუძემორყეული ჩანდა... დაკეტილი ოთახები, გათიშული ტელეფონები, გათიშული სინათლე, გაბზარული კედლები, შეიძლება ითქვას, სახიფათოდ დიდი ბზარები, შემზარავი, სასოწარკვეთილი სიჩუმე ოდესღაც თაობათა ლიტერატურული ღელვებით სავსე რედაქციაში...

**შთაბეჭდილება დამრჩა, რომ მალე ეს ყველაფერი მთლიანად დაინგრევა და მიწასთან გასწორდება, გაზეთის უკანასკნელი ნომრის გამოსვლასთან ერთად...** რამდენიმე თანამშრომელს მაინც მივაგენი... არავითარი პანიკა. უნისონში, გაზეთის რედაქტორთან, ბატონ **თამაზ წივწივაძესთან** ერთად, თითქოს პირობა შეეკრათ, რომ მოსახდენი უნდა მოხდეს.

ნუთუ „ლიტერატურული საქართველოს“ მაღალპროფესიული კოლექტივი: **(დათო კახაბერი, თემურ აბულაშვილი, ივანე ამირხანაშვილი, უჩა შერაზადაშვილი, მანანა ბაღაშვილი, ნათელა კობიაშვილი, ნინო ქაჯაია, მურმან ჩიჩუა...**) მრავალათასიან უმუშევართა არმიას უნდა შეუერთდეს?

იქნებ აღმოჩნდეს მხარში ამომდგომი? იქნებ ისეთი კოლეგიალური, კეთილშობილური ჟესტი განმეორდეს, როცა „ასავალ-დასავალმა“ და მისმა რედაქტორმა **ლაშა ნადარეიშვილმა** შეიფარა უკვე გაზეთად გადაკეთებული ჟურნალი **„ცისკარი?“..**

ჯერჯერობით „ლიტერატურული საქართველო“ ყოველივეს მარტოსული ამაყი და განსაკუთრებული ღირსებით იტანს...

* * *

ოდესღაც აკაკი წერეთელმა იონა მეუნარგიას მიერ შედგენილ კითხვარს წერილობით უპასუხა. ერთ-ერთი კითხვა და პასუხი ასეთი გახლდათ:

**— „რომელია ყველაზე უფრო დიდი ბედნიერება?**

**— გარემოების ატანა“.**

* * *

ამ ფოტოზე აღბეჭდილია პოეტი **გივი ძნელაძე,** სიკვდილამდე რამდენიმე დღით ადრე რომ დაემშვიდობა „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქციას...



**და თუ ამქვეყნად არ გამოჩნდა ჭირისუფალი, მწერალთა ძველ და მრავალჭირნახულ გაზეთს, ალბათ, კურთხევას და შემწეობას არ მოაკლებენ მწერლები ზეციური საქართველოდან.**



# უცნობი წერილი ინციდენტის შესახებ






ᲒᲠᲘᲒᲝᲚ ᲠᲝᲑᲐᲥᲘᲫᲘᲡ ეს უცნობი ბარათი 1919 წლითაა დათარიღებული. მაშინ რობაქიძე თავისი პოპულარობის ზენიტს თითქოს ემშვიდობებოდა... მისი საგანმანათლებლო ლექციები თუ მხატვრული შემოქმედება თანდათან მხოლოდ და მხოლოდ ვიწრო წრისთვის ხდებოდა მისაღები.

**„ჯერ იყო და გაიძახოდნენ Робакидзе – Бог, – წერს გაზეთი „თემი“ – ახლა კი ერთხმად გაჰყვირიან „Робакидзе вышел из моды...“ ეს დამახასიათებელი თვისებაა საზოგადოებისა, რომელიც განსაზღვრულ კრიტერიუმებს მოკლებულია და ყოველი ქარის დაბერვაზე მზად არის მიმართულება და სიმპატიები გამოიცვალოს“.**

ამ პერიოდში უკვე დიდი ხნის ჩამოყალიბებულია ლიტერატურული დაჯგუფება **„ცისფერი ორდენი“**. 1916 წელს ქუთაისში გამოვიდა „ცისფერი ყანწელების“ პირველი და მეორე ნომერიც. რობაქიძე ლიტერატურულ მეტრად არის მონათლული. 1919 წელს რობაქიძის და მისი მეგობრების თაოსნობით იქმნება სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირი.

წერილის ადრესატი – „ცისფერყანწელი“ **ვალერიან გაფრინდაშვილი** უეცრად გამგზავრებულა ქუთაისში, რომელსაც რობაქიძემ რამდენიმე წლით ადრე **„თავნება ქალაქი“** უწოდა. „იგი უთუოდ გენიალური გამოვლინებაა მეტაფიზიკური „ობივატელშჩინისა“ და თან მეტად თავისებური“...

ასეა თუ ისე, „ცისფერყანწელთა“ ძირითადი ბირთვი ქუთაისიდან იყო. ქუთაისიდან გახლდათ მათთან მოშორებით მდგარი **გალაკტიონ ტაბიძეც**.

**„ძვირფასო ვალერიან!** – ვკითხულობთ რობაქიძის ბარათში – **თქვენი უეცარი წასვლა ჩვენთვის ყველასათვის საწყენი დარჩა. პაოლო ქუთაისშიც აპირებს გამომგზავრებას იმ მიზეზით, რომ ძალიან აწუხებს ინციდენტი. ... „ლექსიც უნდა დავბეჭდოო ამის შესახებ“, – მითხრა. ტიციანმა თქვენდამი სონეტი „საქართველოში“ გაუშვა...“**

როგორც ჩანს, ეს **„უსიამოვნო ინციდენტი“** თბილისში, იმ პერიოდში განსაკუთრებულად მომრავლებულ ლიტერატურულ-მუსიკალური საღამოს მერე, ბანკეტზე მოხდა. ამის საფუძველი კი დიდი ხანია, არსებობდა, მას შემდეგ, რაც 1916 წელს, „ცისფერ ყანწების“ პირველ ნომერში გალაკტიონ ტაბიძემ **„ლურჯა ცხენები“** გამოაქვეყნა. გალაკტიონი რაიმე ლიტერატურულ დაჯგუფებაში გაერთიანებაზე კატეგორიულად უარს ამბობდა. კოლაუ ნადირაძის გადმოცემით, მან ისიც კი თქვა: „ცისფერ ყანწებში“ ჩემდა უჩუმრად გამოქვეყნდაო ჩემი ლექსები. არადა, თავად მიუცია. მათ შორის უფსკრული თანდათან იზრდებოდა, მიუხედავად იმისა, რომ ტიციანი და გალაკტიონი ბიძაშვილები იყვნენ.

რაც შეეხება გაზეთ **„საქართველოს“**: ის 1915 წლიდან გამოდიოდა, როგორც ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტის ორგანო და იქ პოლიტიკური ამბების და ინფორმაციების გვერდით, იშვიათად მხატვრული ლიტერატურაც იბეჭდებოდა და ზოგჯერ ლიტერატურული პოლემიკაც. მაგალითად, რობაქიძემ მარუთა შუამდინარელს **„ლიტერატურული ფინაჩი“** უწოდა, რადგან მან მისი თარგმანი გაუკრიტიკა – ო. უაილდის „სალომე“. საერთოდ, არცთუ ტაქტიანი კრიტიკა და ეპითეტები ლიტერატორთა შორის, მაშინ ერთგვარი ნორმაც გახლდათ...

**„ჩვენი საღამო“ გვარიანი გამოვიდა –** აგრძელებს წერილს რობაქიძე **– იყო დიდი ნაკლიც – სრული ანარქია. საბანკეტო ნაწილი ლამის ორ საათს გაგრძელდა. „რეჩი“ „რეჩს“ მისდევდა, თითქოს იუბილე იყო და შემდეგ ვიღა დარჩებოდა! ბანკეტის თავმჯდომარედ მე ამირჩიეს ძალად. იყო 150 კაცი. ბანკეტის ბოლოს ცოტა „მოიღრუბლა“. ტიციანმა დაიწყო სიტყვა და თავისებურად გადაჰკრა „რეკლამისტებს“. გალაკტიონი ავარდა (ისიც თავისებურად) მე ვეღარ მოვითმინე და შევუტიე: „დიახ, რეკლამისტი თქვენა ბრძანდებით-თქო“. ის კიდევ ავარდა. შემდეგ დაჩუმდა. ბოლოს მე წავედი. საბოლოო სიტყვაში, სხვათა შორის, ისა ვთქვი: ყალბი მონეტების მკეთებლებზე სხვა დროს და სხვა ადგილას ვიტყვი-თქო...**

**დილას გალაქტიონს გაურტყამს გოგოხიასთვის და ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲒᲝᲒᲝᲮᲘᲐᲡ ᲣᲪᲔᲛᲘᲐ ᲒᲐᲚᲐᲙᲢᲘᲝᲜᲘ“...**

ამ უკანასკნელ სიტყვებს ქვემოთ ხაზი აქვს გასმული, რაც ალბათ ნიშნის მოგებასაც გამოხატავს. წერილის ავტორის სიტყვებით რომ ვთქვათ, **„რეკლამისტი“** და **„ყალბი მონეტების მკეთებელი“** გალაკტიონის მიმართ.

ლიტერატურის ისტორიას არ შემორჩა, ვინ იყო გოგოხია, რომელსაც **„ᲣᲪᲔᲛᲘᲐ ᲒᲐᲚᲐᲙᲢᲘᲝᲜᲘ“**, მაგრამ დრომ შემოგვინახა სხვა რეალობა – გალაკტიონ ტაბიძის მარტოსულობა. – პოეტმა, ოდესღაც ტიციან ტაბიძის მიერ **„მარტოობის ორდენის კავალერად“** მონათლულმა, მომავლისთვის ასეთი სევდიანი ჩანაწერი დაგვიტოვა: **„ტიციანი ახლაც იმეორებს თავის ჟესტს – ზურგით ჩემ წინ დგომას. ერთხელაც იქნება, გადავაჩვევ. სადაც შემხვდება, თავს არ დავუკრავ. ვიქნები მასთან ისე ამაყი, როგორც საჭიროა... ნუთუ ვერ გრძნობს, ვისთანა აქვს საქმე? გადამტერება არა, არ ვარგა, მაგრამ დანახვება კი... სიყვარულის და თავდადების განმტკიცება... მეგობრები... საჭიროა გარშემოკრება ერთგული ამხანაგების. აი, ეს არის ჩემი მიზანი. ეს კი მოხდება მაშინ, როცა გამარჯვებულს დაგინახავენ...“**

*(გრიგოლ რობაქიძის წერილი მოგვაწოდა ბატონმა გურამ გომართელმა.)*




ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚ ᲛᲬᲔᲠᲐᲚᲗᲐ ᲯᲒᲣᲤᲘ. ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲠᲘᲒᲨᲘ, ᲛᲐᲠᲪᲮᲜᲘᲓᲐᲜ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲢᲘᲪᲘᲐᲜ ᲢᲐᲑᲘᲫᲔ, ᲒᲐᲚᲐᲙᲢᲘᲝᲜ ᲢᲐᲑᲘᲫᲔ ᲓᲐ ᲒᲠᲘᲒᲝᲚ ᲠᲝᲑᲐᲥᲘᲫᲔ.

# სად და რას სწავლობდნენ ისინი...

**ᲩᲕᲔᲜᲘ დროის საუბრები სხვადასხვა ქვეყნის უნივერსიტეტებზე, განათლების სისტემასა და გამოცდებზე უამრავ კითხვას და პრობლემას ბადებს. და მაინც, სად, რას და როგორ ასწავლიან?**

სხვათა შორის, განსაკუთრებული ხიბლით გამოირჩეოდნენ რუსეთსა და ევროპაში განათლებამიღებული ჩვენი წინაპრები: კონსტანტინე გამსახურდია, გერონტი ქიქოძე, გრიგოლ რობაქიძე, მოსე გოგიბერიძე, სანდრო შანშიაშვილი, კოტე მაყაშვილი...

ერთ-ერთი იმათგანი შემდგომ სიამაყით იგონებდა: „ლაიფციგის უნივერსიტეტი, სადაც ფილოსოფიურ ფაკულტეტზე ჩავეწერე, უძველესი უნივერსიტეტი იყო და მისი სახელი მთელ მსოფლიოში იყო განთქმული. ბევრ დიდ გერმანელს გაუტარებია იქ სტუდენტობის წლები: გოეთეს, ფიხტეს, შელინგს... საუნივერსიტეტო ლაბორატორიები, სემინარები სანიმუშოდ იყო მოწყობილი...“

გთავაზობთ ბერნის და ლაიფციგის უნივერსიტეტების დამთავრების დიპლომებს, რომელიც გერონტი ქიქოძეს ეკუთვნის. იქ ჩამოთვლილია საგნებიც, რასაც ამ ცნობილ სასწავლებლებში გადიოდნენ.

ჩვენი მკითხველი ალბათ მიახლოებით მაინც წარმოიდგენს სწავლების დონეს და ამ უნივერსიტეტების კურსდამთავრებულთა ცოდნის თვალსაწიერს.

„ბერნის უნივერსიტეტის დამთავრების მოწმობა. ბატონი გერონტი ქიქოძე, ბახვიდან, დაბადებული 1886 წელს, ჩაირიცხა და სწავლობდა ამ უნივერსიტეტში ფილოსოფიის ფაკულტეტზე 1911 წ. 4 მაისს. იგი სწავლის პერიოდში სანიმუშო სტუდენტად ითვლებოდა.

ბერნი, 1912 წ. 14 ნოემბერი.

რექტორის ხელმოწერა...

ლაიფციგის უნივერსიტეტის დამთავრების მოწმობა. ბ-ნ გერონტი ქიქოძე, დაბადებული ბახვში.

ამ უნივერსიტეტში ჩაირიცხა 1907 წ. 30 აპრილს და მთელი სწავლის პერიოდში სანიმუშო სტუდენტად ითვლებოდა.

უნივერსიტეტის ბეჭდით დამოწმებული დამთავრების მოწმობა გადაეცეს ბ-ნ გერონტი ქიქოძეს.

1910 წ. 1 მარტი.

რექტორის და უნივერსიტეტის მმართველის ხელმოწერა.

აი, რა საგნებს სწავლობდნენ უნივერსიტეტის სტუდენტები.

**ფილოსოფიისა და ლოგიკის შესავალი** – პროფ. ჰანიცე; **ახალი ფილოსოფიის ისტორია დეკარტედან კანტამდე** – პროფ. რისტერი; **შოპენჰაუერი** – პროფ. ბრანტი; **კანტის ფილოსოფიის შესავალი და ახალი ფილოსოფიის ისტორია** – პროფ. ვუნდტი; **სპინოზას ფილოსოფია და მისი ეპოქა** – პროფ. ზარტი; **ბავშვის ფსიქოლოგია** – პროფ. ბრანი; **ფსიქოლოგია** – პროფ. ვუნდტი; **შემეცნების თეორიის ძირითადი საკითხები** – პროფ. რისტერი; **შემეცნებითი თეორიის ისტორია** – პროფ. ვირტი; **კრიმინალური ფსიქოლოგია** – პროფ. დოლვენი; **ესთეტიკა** – პროფ. ფოლკელტი; **ისტორიული მეცნიერების ისტორია** – პროფ. ვირტი; **თანამედროვე პრობლემები სახალხო მეურნეობაში** – დოქტ. იოლენბურგი; **ბუნების ფილოსოფია** – პროფ. ოსტვალდი; **ხელოვნება და ხელოვნების ქმნილებანი** – პროფ. ვოლკელტი; **უახლესი ფილოსოფიის ისტორია** – პროფ. ვუნდტი; **გერმანიის გეოგრაფიის ისტორიული საკითხები** – პროფ. კიოტეშკე.

ქართველები დღესაც წარმატებით სწავლობენ უცხოეთის უნივერსიტეტებში, მაგრამ სამწუხაროა, რომ შინ უმეტესობა აღარ ბრუნდება...


UNIVERSITÄT BERN.

Abgangs-Zeugnis.




Wir Rektor und Senat der

Universität Leipzig

ნოსტალგია

# „ბავშვობის პატარა სახლი მუდამ ჩემთანაა“...

**ᲐᲠ ᲕᲘᲪᲘ და არც მინდა ვიცოდე სხვაგან როგორ, მაგრამ საქართველოში ყველაფერი სხვანაირია. აქ ჰაერსაც თავისი გრძნობა გააჩნია, ცას თავისი ხიბლი, წყალს თავისი გემო და ხალხს თავისი სითბო და ბევრი სხვა რამ, რაც ქართველებისათვის ქართველობასა და საქართველოს ერთადერთს და შეუცვლელს ხდის. ამიტომაც არის, რომ ქართველთათვის და საქართველოს მკვიდრთათვის საქართველო მაცოცხლებელი ძალაა, სამშობლოსთან დაშორება კი სიცოცხლის დასრულების და ცხოვრების თავიდან დაწყების ტოლფასია.**

მსუბუქი და ამავდროულად მძიმეა ჩემი გრძნობების და განცდების გადმოცემა ჩემი ბავშვობის სახლთან დაკავშირებით. იგი მინარჩუნებს ბავშვობის უნაზეს მოგონებებს. იგი ჩემთვის მეტია, ვიდრე ნიმუში სახლისა. იგი ჩემი ისტორიის რელიკვია და ჩვენი დიდი ოჯახის ბედნიერების სიმბოლოა.

ჩვენი ქვეყნის სამხრეთით ღმერთმა უბოძა ქართველებს ულამაზესი და უმშვენიერესი ადგილი – „საქართველოს მარგალიტად“ წოდებული ბორჯომის ხეობა, განთქმული მსოფლიოში თავისი ჰავით, მინერალური წყლებით, ბროლისებრი ანკარა წყაროებით, მდინარის ფსკერიდან საოცარი სილამაზით ამოხეთქილი ჰაერის ბუშტებით დედამიწის ამბების მაუწყებლად, მიწიერი სითბოს და სიყვარულის დესპანივით. არა, სიტყვით ყოველივე ამის გადმოცემა შეუძლებელია. ეს უნდა ნახოთ.

XX საუკუნის დასაწყისში მდინარე ბორჯომულას ნაპირზე, რუსეთის იმპერიაში პირველად (მაშინ საქართველო რუსეთის იმპერიაში შედიოდა) ააგეს პატარა, მაგრამ განუმეორებელი – განათების სადგური – ელექტროსადგური. სადგურის პერსონალისთვის კი აშენდა ოთხი ერთნაირი სახლი, თეთრი, დიდი ფანჯრებით, გაწყობილი ლამაზი ორნამენტებით წითელი აგურებისაგან. ერთ-ერთი ამ სახლთაგან ჩემი წინაპრისა იყო. სახლი არ იყო დიდი, მაგრამ მე დიდად და ყველაზე ლამაზ სასახლეზე ულამაზესად მიმაჩნდა. კედლებიც კი სიმშვიდეს და სიმყუდროვეს აფრქვევდა.



ამ სახლში გადავდგი პირველი ნაბიჯები. აქ აღმოვაჩინე პირველად ბუნება, ადამიანის სულის სილამაზე. ამ მიწაზე აღვიქვი სამშობლო, სიყვარულიც აქ მეწვია პირველად.

ვხუჭავ თვალებს და ვხედავ ულამაზეს დედას და მამას. ლეგენდა მათი სიყვარულის შესახებ დღესაც შემორჩა იქაურობას. მაგონდება ბებიაჩემის სიბრძნე-სიკეთე და სითბო. წარმოუდგენლად გვიყვარდა ერთმანეთი. მე მისი პირველშობილა შვილიშვილი ვიყავი და სიცოცხლის ბოლომდე ასეთად დავრჩით ერთმანეთისთვის. მე ბედნიერი ვიყავი იმიტომ, რომ ყველა ვინც მიყვარდა, ცოცხალი იყო, ყველას ყველა უყვარდა და ყველანი ერთად ვიყავით. წავიდა ცხოვრების ეს ნაწილი. ჩემი ბავშვობის მოგონებები კი ისევ ცოცხლობს. ჩემი ბავშვობის პატარა სახლი მუდამ ჩემთანაა. ცხადად და სიზმრად.

**ᲜᲐᲗᲔᲚᲐ ᲦᲣᲓᲣᲨᲐᲣᲠᲘ.**
**ნიუ-იორკი.**

# „მკითხველებივით რომ ვფიქრობდე, ვერაფერსაც ვერ დავწერდი“

(ᲛᲔᲨᲕᲘᲓᲔ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ)

**– თქვენს რომანებში „ღამე“ და „ნაცისტი და პარიკმახერი“ ებრაულ გეტოში გადარჩენის ხერხებზე მოგვითხრეთ. ზოგიერთი მკითხველი საგონებელში ჩააგდო იმან, რომ იქაური ცხოვრება იუმორითაა აღწერილი, რამდენიმე სცენა გროტესკულადაც გამოიყურება. ეს რითია გამოწვეული?**

– მკითხველებივით რომ ვფიქრობდე, ვერაფერსაც ვერ დავწერდი. მე მგონია, რომ ჰოლოკოსტის ისტორია განუყრელად უკავშირდება გროტესკის თემას.

**– ამან ბევრი მკითხველი შეურაცხჰყო.**

– გერმანიაში მიღებულია ებრაელთა აღწერა ისე, თითქოს ესენი ცოცხალი ადამიანები კი არა, ედემის რაღაც მცხოვრებნი არიან. იმ გეტოს ებრაელები კი, სადაც მე ვცხოვრობდი, ცოტათი განსხვავდებოდნენ სხვა ადამიანთაგან. იმას, ვინც მსაყვედურობს, რომ ებრაელები „ღამეში“ გროტესკულად გამოიყურებიან, ასე შევედავებოდი: საერთოდ კი არ აღვწერდი ებრაელებს, არამედ მხოლოდ ისეთებს, რომელთაც კარგად ვიცნობდი და რომლებთანაც გვერდიგვერდ ვცხოვრობდი.

**– თქვენი რომანი „ღამე“ ჯოჯოხეთში მოგზაურობას ჩამოგავს, სადაც მრავალი საშინელი დეტალია დახატული. თავიდანვე გწამდათ, რომ რომანის დაწერა გინდოდათ და არა ისტორიული გამოკვლევისა?**

– დიახაც, რომანის დაწერა მსურდა. უკვე თოთხმეტი წლისამ გადავწყვიტე მწერლობა.

**– ემსგავსება „ღამეში“ გადმოცემული გეტო უკრაინაში, მოგილიოვ-პოდოლსკში გეტოს, სადაც თქვენმა ბავშვობამ ჩაიარა?**

– სწორედ ამ გეტოზე დავწერე. სახელები და გვარები შევცვალე მხოლოდ.

**– „ღამის“ გმირი, რანეკი, თქვენზე გაცილებით უფრო ღარიბი იყო. რაღა მაინცდამაინც ის აქციეთ გმირად?**

– გეტოს ყველაზე ღატაკ ფენაზე მინდოდა დაწერა.

**– რატომ?**

– ვერ გეტყვით. ეგებ იმიტომ, რომ ძალიან კარგად მახსოვს, რაც ამ ხალხმა გადაიტანა. მე ახლა სინდისი მქენჯნის. დანაშაულის გრძნობა მაწუხებს, რომ ცოცხალი დავრჩი.



**– თქვენ ბევრს მოგზაურობთ. „ღამე“ უკვე ამერიკაში დაასრულეთ. იქვე დაიწერა კიდევ ერთი თქვენი ცნობილი წიგნი „ნაცისტი და პარიკმახერი“...**

– ამ წიგნის სამი მეოთხედი გერმანიაში დავწერე. ჩემს ამერიკელ გამომცემელს ვუთხარი: „რომანს წარმატება მხოლოდ იმ ქვეყნებში ექნება, სადაც გერმანულ ენაზე ლაპარაკობენ“.

**– არადა, „ნაცისტი და პარიკმახერი“ გერმანიაში მხოლოდ 1977 წელს გამოვიდა, ექვსი წლის შემდეგ. ბესტსელერად კი აშშ-ში იქცა.**



– გამომცემლები ამბობდნენ, რომ გერმანელი ხალხი ჯერ არაა მზად სერიოზულ თემაზე სატირული თხრობისათვის. გარდა ამისა, იმათ არ მოეწონათ რომანის ენა.

**– წიგნს უზარმაზარი წარმატება ხვდა, მაგრამ ჰაინრიჰ ბიოლმაც კი, რომელმაც თქვენს რომანზე რეცენზია დაწერა, აღნიშნა – იქ რაღაც არის ეკლექტიკურიო. გაგიფუჭდათ გუნება?**

– არა, უფრო გავერთე. აღმქმელ მკითხველებს ჩემი წიგნები ყოველთვის აცბუნებენ. ბავარიის რადიოში მომუშავე მეგობარ ქალს გავუგზავნე „სიკვდილისწინა ზღაპარი“. წაკითხვის მერე დამირეკა და მითხრა: შემაჩქვიფა იმ მომენტმა, სადაც აღწერილია, თუ როგორ სურვილობს 97 წლის ბებერი ცხრა წლის ქურთ გოგონასთანო. რას იზამ, ასეთი რამ ნამდვილად ხდება ხოლმე.

**– მსოფლიოში ხუთ მილიონამდე თქვენი წიგნია გაყიდული, თუმცა არასდროს ყოფილხართ ისე სახელგანთქმული, როგორც ბიოლი ან გრასი. არ ისურვებდით ასეთივე პოპულარობას?**

– არა, რადგან არც ვიცი, როგორ მოვექცე სახელსა თუ დიდებას...

**– თქვენი აზრით, რითი აიხსნება „სიკვდილისწინა ზღაპრის“ დიდი წარმატება?**

– ვფიქრობ, ეს ურიგო რომანი როდია. აქ ბევრია პოეზია და შავი იუმორი. ასეთი შერწყმა მუდამ მიმზიდველია.

**– სომხების გენოციდს აქვს რამე საერთო ჰოლოკოსტთან?**

– ოსმალეთის სახელმწიფოში სომხები დაწყევლილ რასად ითვლებოდნენ, იმათ აღიქვამდნენ ვაჭრებად, რომლებიც მარტო ფულზე ფიქრობენ, რაც სინამდვილეს არ შეესაბამება: სომხეთა უმეტესობა გლეხები იყვნენ. თურქებმა ეს თავი ამოშალეს თავიანთი ისტორიიდან. სომხების გენოციდზე ლაპარაკი, გენოციდის გახსენება აკრძალულია – შესაძლოა იმ შიშის გამო, რომ ისინი თურქებს სავალო მოთხოვნებს წაუყენებენ.

**– შეგიძლიათ ევროკავშირში თურქთა შესვლის წარმოდგენა?**

– გამოგიტყდებით, რომ მეშინია ისლამისა. მეორეს მხრივ, თურქეთის მაგალითს დადებითი გავლენის მოხდენა შეუძლია მთელ დანარჩენ ისლამურ სამყაროზე.

**მოამზადა**
**ᲗᲐᲛᲐᲖ ᲒᲝᲠᲒᲘᲫᲔᲛ.**

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘᲐ:
99-55-01; 893 14-57-56.

ᲩᲐᲜᲐᲠᲗᲖᲔ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲓᲜᲔᲜ:
ნინო ხოფერია, მამუკა ვაშაკიძე, კახა ქორიძე.



ფეხბურთი

# გრიგოლ ცაავა იწყებს

**მართალია, გაგანია ზაფხულია, მაგრამ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში დასვენებას არავინ აპირებს. ისე, კაცმა რომ თქვას, ვინ უნდა დაისვენოს — სფფ-ს რიგით მესამე პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი ხომ გუშინდელ აღმასკომის სხდომამდე ფედერაციის ერთადერთი ლეგიტიმური თანამშრომელი იყო, რომელსაც მხარს ჯერაც დაუმტკიცებელი ტექნიკური დირექტორი გაიოზ დარსაძე და პრეს-მდივანი თაზო ბოკერია უმშვენებენ.**

გუშინ ნავსი გატყდა — დავით კვინიკაძის, ვალერი ჩოლარიასა და ანდრო აბაშიძის გაკვალული ბილიკებით სფფ-ს ახალ გენერალურ მდივნობამდე სპეტაკი წარსულით გამორჩეული და პიროვნული ღირსებებით შემკული ცნობილი ფეხბურთელი **გრიგოლ ცაავა** აღზევდა, რომელსაც აღმასკომმა ერთხმად გამოუცხადა ნდობა.

აღმასკომის გუშინდელი სხდომის მონაწილეებმა ასევე ერთხმად დაამტკიცეს დღის წესრიგით გათვალისწინებული კიდევ ორი საკითხი — სფფ-ს ახალი სტრუქტურა და საშტატო განრიგი, აგრეთვე ფედერაციის X რიგგარეშე ყრილობის მოწვევის თარიღი — 30 აგვისტოს დილის 11 საათი, სადაც შემუშავდება ფედერაციის ახალი წესდება და დამტკიცდება სფფ-ს ახალი აღმასკომის შემადგენლობა (მათ შორის სამივე ვიცეპრეზიდენტი). როგორც ნოდარ ახალკაცმა გვაუწყა, ამიერიდან ფედერაციის აღმასკომის რაოდენობა 7-11 წევრით განისაზღვრება.

გთავაზობთ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალური სამდივნოს სტრუქტურას: საერთო, იურიდიული, საფინანსო, კომერციული, სამსაჯო-საინსპექტორო და საკლუბო ლიცენზირებების განყოფილებები, სამეურნეო და ფეხბურთის განვითარების (აქ შედის ქვეყნის ნაკრები გუნდები) დეპარტამენტები და ბუღალტერია.



— ტრანსფერებს მომავალში სფფ-ს საერთო განყოფილება დაარეგულირებს, შესაბამისი სამსახურის ცალკე არსებობა მიზანშეუწონლად მივვაჩნიაო, — ითქვა აღმასკომისშემდგომ პრესკონფერენციაზე. იქვე გაცხადდა ფედერაციის მესვეურთა პოზიციაც — მომავალი ეროვნული ჩემპიონატის მონაწილე თექვსმეტივე კლუბის შემოსავალი ზუსტად უნდა ემთხვეოდეს გასავალს, წინააღმდეგ შემთხვევაში ეს გუნდი გათამაშებაში არ დაიშვება. რაც შეეხება ეროვნული ნაკრების თავკაცს ალენ ჟირესს, იგი თბილისში 30 ივლისს უნდა ჩამოსულიყო, მაგრამ სფფ-ს მესვეურთა სურვილის შესაბამისად, ეს 20 ივლისს მაინც უნდა მოხდეს. მიზეზი ბანალურია — „ჯვაროსნები" 17 აგვისტოს ყაზახეთში შესარჩევი ციკლის მორიგ შეხვედრას გამართავენ, რის გამოც მწვრთნელი გუნდთან ერთად რაც შეიძლება დიდი ხნის განმავლობაში უნდა იმყოფებოდესო. ისიც შევიტყვეთ, რომ „ჟიჟის" 7 თვის ხელფასი ჰქონია ასაღები (70000 დოლარი), თუმცა ჯერჯერობით ფედერაციას მხოლოდ ერთი თვის დავალიანების დაფარვის შესაძლებლობა გააჩნია.

***და ბოლოს, ახალ პოსტზე გრიგოლ ცაავას პირველი სიტყვები: სფფ-ში ბევრი რამ შეიცვლება. გენსამდივნოს უნარიანად გაძღოლა და ქართული ფეხბურთის უანგარო სამსახური — ესაა ჩემი მიზანი.***

**გია პლატონიშვილი**

### სადარბაზო ბარათი

**დაიბადა 1962 წლის 5 იანვარს სოხუმში.**

**ფეხბურთის თამაში 1970 წელს დაიწყო სოხუმის „ნორჩ დინამოელში" გიორგი იოლჩიდისთან.**

**სხვადასხვა პერიოდში იყო საქართველოსა და საბჭოთა კავშირის ახალგაზრდული ნაკრებების, აგრეთვე თბილისის „დინამოს", სოხუმის „ცხუმისა" და საფეხბურთო კლუბ „თეთრი არწივის" წევრი.**

**1996 წელს დააფუძნა ბავშვთა პოპულარული საფეხბურთო სკოლა „ირაო", ხოლო 2003 წლიდან მოღვაწეობდა საქართველოს ფუტზალის ასოციაციის პრეზიდენტად.**

**არის აფხაზეთის ომის ვეტერანი და ღირსების ორდენის კავალერი.**

მხარე

# თელაველებს საამაყოს რა გამოულევთ

**ამას წინათ თელავმა კონტაქტურ კარატეში მსოფლიო ჩემპიონატს ღირსეულად უმასპინძლა. გამარჯვებულები და პრიზიორები მედლებთან და ფასიან საჩუქრებთან ერთად, შესაბამისად, 700, 500 და 300 დოლარით დაჯილდოვდნენ. ამ შეჯიბრების სულისჩამდგმელი გახლდათ რაიონის გამგებელი გოჩა მამაცაშვილი, რომლის გულისხმიერებასა და სპორტსმენებისადმი თანადგომაზე უწინაც არაერთხელ დაგვიწერია. ბატონი გოჩა დღეს ჩვენი გაზეთის სტუმარია.**



— თელავი უდიდესი სპორტული ტრადიციების რაიონია, — გვითხრა მან. — ამიტომ ჩვენი ვალია, წარმატებები ვამრავლოთ. შეძლებისდაგვარად ვახერხებთ, ახალგაზრდობა ქუჩას მოვწყვიტოთ და აქტიურად ჩავაბათ სპორტში. თუნდაც ის რად ღირს, რომ ოთხი სხვადასხვა სახეობის გუნდი უმაღლეს ლიგაში გამოდის. ესენია: ფეხბურთში „კახეთი", ხელბურთში „თელავი", კალათბურთში „ბურჯი" და რაგბიში „თელაველები". წარმატებული სპორტსმენებიც გვყავს. ყველას ჩამოთვლა, ცხადია, შორს წაგვიყვანს, ამიტომ რამდენიმეს დაგისახელებთ: ძიუდოისტები — ზვიად ხანჯალიაშვილი, დავით უძილაური, ჯაბა ფოთოლაშვილი, სოსო წელაური; ჭადრაკში მსოფლიო და ევროპის მრავალგზის ჩემპიონები სხვადასხვა ასაკში — ანა მათნაძე, ლელა ჯავახიშვილი და ბელა ხოტენაშვილი, მსოფლიო ჩემპიონი კარატისტი ლევან პარწიკანაშვილი, ფეხბურთელები — სანდრო იაშვილი, ალეკო ამისულაშვილი, სოსო გრიშიკაშვილი და სხვები.

ცხადია, წარმატებები უფრო თვალსაჩინო იქნება, შესაბამისი ბაზების კეთილმოწყობას თუ მოვახერხებთ. შეგახსენებთ, რომ წლეულს ევროსტანდარტების დონეზე გარემონტდა სასპორტო სკოლის საჭიდაო დარბაზი, რომელსაც საქართველოს პრეზიდენტის ნაჩუქარი ორი ტატამი გადაეცა. ამ დარბაზის კეთილმოწყობაში თავისი წვლილი შეიტანეს კახეთის მხარეში პრეზიდენტის რწმუნებულის აპარატმა, რაიონის გამგეობამ და ბიზნესმენებმა. განსაკუთრებით გაისარჯა ნოდარ საქუაშვილი, რომელიც კახეთის რეგიონში ჭიდაობის ფედერაციას თავკაცობს.

რადგან ჭიდაობით დავიწყეთ, გეტყვით იმასაც, რომ ყველა სოფელში კეთილმოეწყო ნახერხმოყრილი ღია სარბიელი, რომლებზეც ყოველ შაბათ-კვირას მკლავისა და მუხლის ძალას უსინჯავენ ერთმანეთს ჯანიანი ბიჭები. წლის ბოლომდე თელავსა და წინანდალში გარემონტდება თითო დარბაზი, ხოლო სანიორეში სულაც ახალი დარბაზი აშენდება. რამდენიმე ადგილას, უკეთესი პირობების მიხედვით, ჩამოვაყალიბებთ ჭიდაობის ცენტრებს და გვერწმუნეთ, სულ მალე ჩვენც გვეყოლება დიდი ჩემპიონები.

ამჟამად ჩვენი დიდი საზრუნავია გივი ჩოხელის სახელობის ცენტრალური სტადიონი. მოგეხსენებათ, „კახეთმა" კვლავ მოიპოვა უმაღლესი ლიგის საგზური და აუცილებელია მისთვის სავარჯიშო თუ სათამაშო პირობების შექმნა. შეიცვალა მინდვრის საფარი, მთავრდება გასახდელების, საშხაპეებისა და მსაჯთა ოთახის კაპიტალური რემონტი, ეროვნული ჩემპიონატის დაწყებამდე ტრიბუნებზე პლასტმასის ინდივიდუალურ სკამებსაც დავამონტაჟებთ.

თელავის შემოსასვლელში გამოვყავით მოზრდილი ტერიტორია, სადაც, საქართველოს პრეზიდენტის ბატონ მიხეილ სააკაშვილის პროგრამით, მარტივი ტიპის კომპლექსური მოედანი კეთილმოეწყობა წლის ბოლომდე. მსგავს კომპლექსურ მოედნებს საკუთარი ძალებით მოვაწყობთ თელავსა და რამდენიმე სოფელში, რათა ხელი შევუწყოთ ცხოვრების ჯანსაღი წესით დამკვიდრებას.

რაიონში უკვე დაავიწყდათ, როდის მუშაობდა ჩვენთან საცურაო აუზი. კახეთის მხარეში პრეზიდენტის რწმუნებულის აპარატთან და საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტთან შეთანხმებით ამ მხრივაც გადაიდგა სასიკეთო ნაბიჯები. გამოიყო შესაბამისი თანხა. გაისად თელაველებს 25-მეტრიანი სტანდარტული საცურაო აუზი ექნებათ.

**— ბატონო გოჩა, კარგია, რომ სპორტული ბაზების კეთილმოწყობას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევთ, მაგრამ სპორტული ღონისძიებების შესახებ რას იტყვით?**

— ეროვნულ ჩემპიონატებში მონაწილე გუნდებზე უკვე გითხარით, რომ ყოველწლიურად უამრავ შეჯიბრებას ვმართავთ. მოსწავლეები სპორტის 14 სახეობაში ეცილებიან ერთმანეთს პირველობას, სოფლები კი 10 სახეობაში ცდიან ძალებს. წლეულს, მაგალითად, 6 სახეობაში უკვე გამოვლინდნენ გამარჯვებულები და პრიზიორები. ქართულ ჭიდაობაში ტოლი არ ჰყავდათ კურდღელაურელ ფალავნებს, ფეხბურთსა და მინიფეხბურთში ვარდისუბნელებმა გაიმარჯვეს. ფრენბურთში ყარაჯალამ (კაცები) და იყალთომ (ქალები) იყოჩაღეს, ჭადრაკში შალაურის გუნდი იყო პირველი.

რაიონში სპორტული ცხოვრების გამოცოცხლებამ სასურველი ჯანსაღი ატმოსფერო შექმნა და ამაში დიდი წვლილი მიუძღვის კახეთის მხარეში პრეზიდენტის რწმუნებულის აპარატს ბატონ პეტრე ცისკარიშვილის ხელმძღვანელობით. თელავის რაიონში დღეს არსებული მდგომარეობა იმის მტკიცე გარანტია, რომ საერთაშორისო სარბიელზე ჩვენს სპორტსმენებს უკეთესი მიღწევები ექნებათ.

**ესაუბრა**
**ვაჟა დანელია,**
**„სრ" სპეც. კორ.**
**თელავი — თბილისი.**

გუშინ



**კალათბურთი. ბულგარეთის საკურორტო ქალაქ ვარნაში გაიმართა ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის („ბ" ჯგუფი) საკვალიფიკაციო ტურნირის მეოთხედფინალური მატჩი საქართველო — ბელგია. პირველ ნახევარში ჩვენი გუნდი მდევრის როლში იყო, თუმცა შესვენების შემდეგ ცინცაძისა (22 ქულა) და მდივნის (18 ქულა) ძალისხმევით მდგომარეობა გამოასწორა და გაიმარჯვა კიდეც — 89 : 78.**

ნახევარფინალში „ჯვაროსანთა" მეტოქე უნგრეთის ნაკრები იქნება, რომელმაც ფინელებს სძლია — 81 : 73. წარმატების შემთხვევაში ნუგზარ კანდელაკის შეგირდები „ა" ჯგუფში ალზევდებიან.

* * *



**ჩოგბურთი. ქალაქ აკრაში დაიწყო დევისის თასის გათამაშების II ევროაფრიკული ზონის მატჩი განა — საქართველო. პირველ დღეს გამართული ერთეულთა შეხვედრების შემდეგ ანგარიშია — 1 : 1.**

ძალოსნობა

# თბილისი, ჩაქვი, წყალტუბო...

**ვაკის ძალოსნობის დარბაზში გაიმართა საქართველოს 2005 წლის პირადგუნდური პირველობა ძალოსნობაში კადეტთა შორის, რომელშიც ქვეყნის 15 რეგიონის 150 მოსწავლე სპორტსმენი გამოვიდა. წონითი კატეგორიების მიხედვით საქართველოს ჩემპიონები გახდნენ: გიორგი ლომთაძე (ქუთაისი), ვაჟა ქავთარაძე (ხელვაჩაური), გურამ გოგრაჭაძე (ჩაქვი), გიორგი წიკლაური (თბილისი), ალეკო მამიაშვილი (ქუთაისი), ნიკა თოდუა (თბილისი), ვაჟა ღონღაძე (ქუთაისი), ბესო ლომიშვილი (თბილისი), ზვიად ქაჯაია (წყალტუბო).**

საერთო გუნდურ ჩათვლაში პირველ ადგილზე გავიდა თბილისის ძალოსანთა ნაკრები, რომელმაც 118 ქულა დააგროვა. მეორე ადგილზეა ჩაქვის ნაკრები — 97 ქულა, ხოლო მესამე საპრიზო ადგილი წილად ხვდათ წყალტუბოელ სპორტსმენებს, რომლებმაც 91 ქულა დააგროვეს.

**შალვა ძორიძე**

ჭიდაობა

# მერვე ტრადიციული

**ყაზბეგში ტრადიციულად იმართება ცნობილი ქართველი მოჭიდავის, ყოფილი საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადის და მრავალი საერთაშორისო ტურნირების გამარჯვებულისა და პრიზიორის, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ტარიელ ალიბეგაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი ასპარეზობა თავისუფალ ჭიდაობაში.**

ახლახან ეს შეჯიბრება მერვედ მოეწყო და მასში საქართველოს 12 რეგიონის 1989-1993 წლებში დაბადებული 90-მდე ჭაბუკი სპორტსმენი მონაწილეობდა. მემორიალზე განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ყვარლელმა მოჭიდავეებმა, რომლებმაც ოქროს 5 მედალი მოიპოვეს. აი ისინიც: გოგი ჯანიაშვილი, აკაკი სეფაშვილი, ილია დენტოშვილი, ვანო ახალმოსულიშვილი, გიორგი ჩიტაშვილი.

VIII მემორიალის ჟიურიმ ყველაზე ტექნიკური მოჭიდავის პრიზით 53 კგ წონაში გამარჯვებული ყაზბეგელი დავით მარსაგიშვილი დააჯილდოვა.

**შალვა ჩიხლაძე**

მძლეოსნობა

# სტაბილური შედეგებით

**ბორის პაიჭაძის სახელობის „დინამოს" სტადიონზე ორ დღეს გრძელდებოდა საქართველოს პირად-გუნდური ჩემპიონატი მძლეოსნობაში, რომელშიც ქვეყნის 16 რეგიონის 200 სპორტსმენი მონაწილეობდა. განვლილ ასპარეზობათა შესახებ თავის შთაბეჭდილებებს გვიზიარებს შეჯიბრების მთავარი მსაჯი, საქართველოს მძლეოსნობის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი ყარამან საბანაშვილი:**



— როგორც ყოველთვის, ეროვნული ჩემპიონატი ორ ჯგუფში გავმართეთ. პირველი ჯგუფის გუნდებს შორის 11 ნაკრები იბრძოდა, ხოლო მეორეში 8 კოლექტივი გამოდიოდა. სასიხარულოა, რომ ხანგრძლივი შესვენების შემდეგ სარბენ ბილიკებზე კვლავ ვიხილეთ თელაველი და დუშელი მძლეოსნები. პირველი ჯგუფის გუნდებს შორის 293 ქულით თბილისელებმა გაიმარჯვეს. შემდეგ მოდიან გარდაბნის (160,5 ქულა) და ქუთაისის სპორტსმენთა (156,5 ქულა) გუნდები. მეორე ჯგუფში ასეთი მდგომარეობაა: 1) ვანი — 70 ქულა, 2) აჭარა — 62,5 ქულა; 3) დუშეთი — 36 ქულა.

ცალკეული შედეგებიდან გამოვყოფდი თბილისელ იულია დუბინას, რომელმაც გამარჯვებები მოიპოვა სიგრძეზე და სამმაგ ხტომებში. 39 წლის ვეტერანმა ახალციხელმა სტაიერმა ზიგმუნდ ზილბერშტეინმა უკვე მერამდენედ გაიმარჯვა 5000 მეტრზე რბენაში. ურიგოდ არ უნდა მივიჩნიოთ ქუთაისელი სერგეი ტურიატკოს შედეგი სამმაგ ხტომაში — 14 მეტრი და 90 სანტიმეტრი. ზუგდიდელმა თენგიზ ღვინჯილიამაც დაგვამახსოვრა თავი 400 მეტრზე რბენაში, ოზურგეთელმა ეკა ტყემალაძემ ასევე, 400 მეტრი 57,7 წამში დაფარა.



უკანასკნელ წლებში იგრძნობა ზოგიერთი ჩვენი სპორტსმენის მიერ სტაბილური შედეგები. გამოვყოფდი ოზურგეთელ მამია ტულუშს, გარდაბნელებს — მარიამ ქევხიშვილსა და დავით ილარიანს, დუშეთის წარმომადგენელს როსტომ ჭინჭარაულს.

21 ივლისს კაუნასში (ლიტვა) გაიმართება 2005 წლის ევროპის ჩემპიონატი მძლეოსნობაში იუნიორებს შორის, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს ოზურგეთელი მამუკა ტულუში. 3 ოქტომბერს ლეგენდარულ მძლეოსანს ვიქტორ სანეევს დაბადების 60 წელი უსრულდება. ფედერაციამ გადაწყვიტა, ამ თარიღს დაამთხვიოს საერთაშორისო შეჯიბრება სამმაგ ხტომაში, რომელიც „დინამოს" სტადიონზე გაიმართება. თუ საქართველოს სპორტის დეპარტამენტმა, ან ოლიმპიურმა ფონდმა სათანადო თანხები გაიღო, განზრახული გვაქვს ამ საიუბილეო საერთაშორისო ასპარეზობაში მეზობელი ქვეყნების უძლიერესი სამმაგი მხტომელების მოწვევა...

**შალვა ძირია**

**სურათებზე: ნახტომისთვის ემზადება ათენის თამაშების მონაწილე იულია დუბინა; შეჯიბრების ერთი მომენტი.**

**რობერტ ბაგოიანის ფოტო.**

მემორიალი

# ვახტანგ ჭელიძის თასზე



**დასრულდა დედაქალაქის პირველობა ფეხბურთში თბილისის „დინამოს" ყოფილი ცენტრალური მცველის, სპორტის ოსტატ ვახტანგ ჭელიძის ხსოვნის თასზე. სამთვიან შეჯიბრებაში ასპარეზობდა 1991 წელს დაბადებულ ჭაბუკთა 24 გუნდი, რომლებიც 4 შესარჩევ ქვეჯგუფად დაყვეს.**

ფინალური მატჩი „შევარდენის" სტადიონზე გაიმართა. ვახტანგ ჭელიძის ხსოვნის თასი „ნორჩი დინამოელის" (მწვრთნელი რეზო გაგუა) გუნდმა მოიპოვა, რომელმაც მინიმალური ანგარიშით — 1:0 სძლია ოლიმპიური მომზადების ცენტრის (მწვრთნელი გოგა ჩილაჩავა) ნორჩ ფეხბურთელთა კლუბს. მესამე საპრიზო ადგილი ხვდათ „მერანის" სპორტსმენებს, რომლებსაც ანზორ პეტრიაშვილი ავარჯიშებს.

**შოთა ბოკერია**

**სურათზე: დაჯილდოება; „ნორჩი დინამოელის" ფეხბურთელთა გუნდი.**
**რობერტ ბაგოიანის ფოტო.**



სპორტულ ორბიტაზე



## ანდრე აგასის პოლიტიკოსობა არ უნდა!

**მსოფლიოში უამრავი მაგალითია, როცა დიდი სპორტიდან წასულნი პოლიტიკოსის კარიერას ირჩევენ და ზოგჯერ ურიგოდაც არ მოღვაწეობენ, მაგრამ ამაზე ცოტა ქვემოთ.**

პოლიტიკურ კარიერაზე უარი თქვა სახელგანთქმულმა ამერიკელმა ჩოგბურთელმა ანდრე აგასიმ. მას ყოფილმა პოლიტიკოსმა ჯილ ეისნერმა შესთავაზა ნევადის შტატიდან კონგრესში კენჭისყრა. მისი თქმით, ამერიკელი სპორტსმენი იდეალურია პოლიტიკური კარიერისთვის — მას იცნობენ, სარგებლობს უმწიკვლო ავტორიტეტით, ქველმოქმედია და ა.შ.

„მე მოხიბლული ვარ ახალ სარბიელზე ჩემი ძალების გამოცდის წინადადებით, მაგრამ ჩემს უახლოეს გეგმებში არაა პოლიტიკის ადგილი, — განაცხადა აგასიმ, — მე ვაპირებ ჩემი საჩოგბურთო კარიერის გაგრძელებას, აგრეთვე განსაკუთრებულ ყურადღებას მივაპყრობ ჩემს საქველმოქმედო ფონდსა და ოჯახს".

თუმცა ყველა როდი ამბობს უარს ასეთ მაცდურ წინადადებაზე. ამის ნათელი მაგალითია რუსეთელი პოპულარული ჰოკეისტი ვიაჩესლავ ფეტისოვი და მოჭიდავე ალექსანდრე კარელინი, ერთი ახლა მთელი რუსეთის სპორტის თავკაცია, მეორე დაფუძნდა რუსეთის სახელმწიფო სათათბიროში.

დიდ პოლიტიკაში წავიდა და საქართველოს პარლამენტის წევრი გახდა ოლიმპიური ჩემპიონი, ძალოსანი გიორგი ასანიძეც.

## ვინ — ვის? შარაპოვა თუ უილიამსი

**შეიძლება ითქვას, რომ პლანეტის საუკეთესო სპორტსმენების დაჯილდოების მე-13 ცერემონიაზე, უმსხვილესი სპორტული ტელეარხი ESPN რომ აწყობს, და რომელზეც სპორტსმენები ცივილურ ტანსაცმელში გამოწყობილნი უნდა გამოცხადდნენ, ჩოგბურთელები ჭარბობდნენ.**





ექსპერტების აზრით, ცერემონიაზე ყველაზე სექსუალურად გამოჩნდა სერენა უილიამსი, რომელსაც არ მოერიდა თავისი მძლავრი ბიუსტის გამოჩენისა. იქვე მის გვერდით ღრმა დეკოლტიან კაბა-შარვალში ბრწყინავდა მარია შარაპოვა, რომელმაც 2004 წლის საუკეთესო ჩოგბურთელი ქალის საპატიო პრიზი დაიმსახურა. ის მთელი საღამოს განმავლობაში არ მოშორებია ამერიკელ კოლეგას — ჩოგბურთელს ენდი რუდიკს, რითაც ფოტოგრაფების განსაკუთრებული ყურადღება დაიმსახურა. ვაჟთა შორის საუკეთესო ჩოგბურთელად, რასაკვირველია, შვეიცარიელი როჯერ ფედერერი მიიჩნიეს.

წლის საუკეთესო სპორტსმენი ვაჟის ტიტული მოიპოვა ამერიკელმა ველომრბოლელმა ლენს არმსტრონგმა, ექვსჯერ რომ გაიმარჯვა „ტურ დე ფრანსზე" და ახლა მეშვიდედ რომ უმიზნებს ამ საპატიო ტიტულს.

ქალთა შორის კი ეს სახელი მოიპოვა შვედმა მეგოლფემ ანიკა სერენსტამმა. წლის საუკეთესო გუნდად აღიარეს ბეისბოლის კლუბი „ბოსტონ რედ სოქსი".

**სურათებზე: მარია შარაპოვა და სერენა უილიამსი.**

## რეკორდი სიკვდილის ველზე

**„ბედუოტერ ულტრამარაფონ" — ასე ეწოდება მსოფლიოში ერთ-ერთი ურთულესი დისტანციის მარათონს, რომელიც ამერიკაში „სიკვდილის ველზე" იმართება. მისი დისტანცია — 216 კილომეტრი ყველაზე სწრაფად, სარეკორდო დროში გაირბინა ამერიკელმა სკოტ ჯარეკმა — 24.36.08 საათი. ადრინდელი რეკორდი — 25.09.05 საათი — 2000 წლიდან ეკუთვნის რუსეთელ ანატოლი კრუგლიკოვს.**

ქალთა შორის პირველობდა ამერიკელივე პამელა რიდი — 30.59.18 საათი. ამ დისტანციაზე მან 2002 და 2003 წლებშიც გაიმარჯვა და ტრასის რეკორდიც — 27.56.47 საათი — მას ეკუთვნის.

## „ჩრდილოეთ ურალის თასი" — ინდოელს

**მართალია, ქართველი დიდოსტატის მაია ჩიბურდანიძის მონაწილეობამ სახელი უფრო აუმაღლა ქალთა მესამე საერთაშორისო საჭადრაკო სუპერტურნირს „ჩრდილოეთ ურალის თასი", მაგრამ, სამწუხაროდ, თავად ჩვენებურმა მოჭადრაკემ დიდად ვერ გამოიჩინა თავი და 4 ქულით მხოლოდ მეშვიდე-მერვე ადგილი გაიყო რუსეთელ ეკატერინა კოვალევსკაიასთან.**

მთელი ტურნირი დაუმარცხებლად წარმართა და დიდ პრიზსაც დაეუფლა ინდოელი **ჰამპი კონერუ.** მან 9 შესაძლებლიდან 6 ქულა დააგროვა. მას ნახევარ-ნახევარი ქულით ჩამორჩნენ რუსეთელი **ალექსანდრა კოსტენიუკი** და ჩინელი **სიუი იუიხუაი. ნადეჟდა კოსინცევას** 5 ქულა აქვს. **ალისა გალიამოვასა** და **ტატიანა კოსინცევას** — 4,5 (სამივე რუსეთელია). 3.3 ქულა დააგროვეს ბულგარელმა ანტუანეტა სტეფანოვამ და უკრაინელმა ნატალია ჟუკოვამ.



# ყველაფერი ყველაფერზე

## მხატვრის ჯარფი

**ამერიკელი ხელოვანი 30-ზე მეტჯერ ჩამოვარდნილა მეხუთე სართულიდან, 11 სექტემბრის ტერაქტისადმი მიძღვნილი ფოტოს შესაქმნელად. ფოტოკამერამ აღბეჭდა კერი სკარბეკის ყოველი გადმოფრენა ჩიკაგოს თანამედროვე ხელოვნების მუზეუმის სახურავიდან.**

პროექტის იდეა სკარბეკის მას მერე მოსვლია თავში, რაც ნიუ-იორკის ცეცხლწაკიდებული ტყუპი კოშკის სურათები უნახავს, როცა იქიდან სასოწარკვეთილი ადამიანები ხტებოდნენ. „ამან იმდენად შემძრა, რომ აუცილებლად უნდა მეპოვა რაიმე შემოქმედებითი გამოსავალი“, – ამბობს მხატვარი.

34 წლის სკარბეკს ადრეც ყვარებია აივნებიდან, ხეებიდან და კიბეებიდან გადმოშვება შემოქმედებითი მიზნებით.

ტერაქტის მსხვერპლთა ნათესავები ერთობ ნეგატიურად მოეკიდნენ მხატვრის ნამუშევარს. მათი აზრით, ეს არა იმდენად ტრაგიკულ მოვლენაზე მოგონებაა, რამდენადაც მისი დაცინვა.

## ტომ კრუზი ფსიქიატრიას შეეცადა

**აშშ-ის ფსიქიატრიული მედიცინის ასოციაციამ უპასუხისმგებლო უწოდა მსახიობის კომენტარებს, რომელმაც ერთ-ერთ ტელეშოუში განაცხადა, რომ ფსიქიატრია ცრუ მეცნიერებაა. „ბატონმა კრუზმა დაუფიქრებლად გამოიყენა თავისი იდეოლოგიური შეხედულებების პროპაგანდისთვის ახალი ფილმის რეკლამისადმი მიძღვნილი გამოსვლები“, – ნათქვამია ასოციაციის განცხადებაში.**



ტომ კრუზი გადაღებულია სტივენ სპილბერგის ბოლო ლენტში „სამყაროთა ომი“, რომლის პრემიერა ამას წინათ შედგა აშშ-სა და დიდ ბრიტანეთში. მსახიობი საიენტოლოგიის ეკლესიის მომხრეა, რომელიც ფსიქიატრიული მედიცინის წინააღმდეგ გამოდის. თოქ-შოუს დროს ტელეწამყვანმა ჰკითხა კრუზს ანტიდეპრესანტებთან დამოკიდებულების თაობაზე და შენიშნა, რომ ზოგიერთთათვის ისინი სასარგებლო შეიძლება იყვნენ, როგორც მაგალითად რიტალინი – ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტიურობის სინდრომით დაავადებულ ბავშვთათვის. „თქვენ აზრზეც არა ხართ, რიტალინი რა არის, – მოუჭრა მსახიობმა, – ფსიქიატრია, საერთოდ, ცრუ მეცნიერებაა. მე ვიცი მისი ისტორია, თქვენ კი არა“.

ფსიქიატრები ფიქრობენ, რომ პოპულარული ვარსკვლავის პირით წარმოთქმული მსგავსი სენტენციები გადააფიქრებინებს ფსიქიურგადახრებიან ადამიანებს იმ დახმარებისთვის მიმართვას, რომელიც სჭირდებათ.

## ორ მილიონ დოლარად რეაბილიტირებული

**პაბლო პიკასოს ოცი ესკიზი პარიზის აუქციონზე ორ მილიონ დოლარად გაიყიდა. ესპანელი მხატვრის ნამუშევრები სავაჭროდ ჟენევიევ ლაპორტმა გამოფინა, რომელიც 1950-იან წლებში ორ წელიწადს იყო მისი საყვარელი. ეს ქალბატონი ამბობს: ჩემი „მისია“ პიკასოს რეაბილიტაციას ისახავდა მიზნად, რომელზეც ავყიაობდნენ, თითქოს ქალებთან უცერემონიოდ და ზიზღით ურთიერთობდაო.**



ლაპორტი ახლა 79 წლისაა, პიკასოს კი 1944-ში გაეცნო, როცა ინტერვიუ ჩამოართვა სასკოლო გაზეთისთვის. „პირველად რომ დავინახე, კეთილ და სასიამოვნო კაცად მეჩვენა. ჩვენი რომანი ექვსი წლის შემდეგ დაიწყო, ის დედაჩემზე ბევრად უფროსი იყო და პაპაჩემის ხნისა გახლდათ“, – იხსენებს ქალი.

მხატვარმა ჟენევიევის მრავალი მონახაზი და ნახატი გააკეთა, როცა ორივენი სენ-ტროპეში ისვენებდნენ 1951 წელს. არაერთ ნამუშევარს აწერია „ჟენევიევს“. 1953-ში, მას შემდეგ, რაც პიკასოს დასცილდა მეგობარი ქალი ფრანსუაზა ჟილო, მხატვართან საცხოვრებლად გადასვლაზე ჟენევიევ ლაპორტმა უარი განაცხადა და მათი რომანიც დასრულდა. 1959-ში ქალი გათხოვდა და მოგვიანებით ცნობილი პოეტი და რეჟისორ-დოკუმენტალისტი გახდა.

# იდეალური სიარულის საიდუმლო

## რეზო გაბრიაძის ადამიანები და თოჯინები



**ისტორიზმის პრინციპს თუ მივყვებით, ზღაპრებისგან ბევრი არა რჩება რა. ეგებ ვიღაცის მოგონებები, რომ გასულ საუკუნეში, 1961 წლიდან, თბილისში არსებობდა რეზო გაბრიაძის მარიონეტთა თეატრი, რომელიც უყვარდათ მოსკოვსა და ლენინგრადში. ის ლამის იმპერიის დანგრევისთანავე დასრულდა. გაიარა გრძელმა წლებმა (განა იმპერიისთვის – კაცის სიცოცხლისთვის გრძელმა). უზარმაზარი ქვეყანა თითქოს არცა ყოფილა – ეს თეატრი კი გაცოცხლდა მარინა დმიტრევსკაიას, „პეტერბურგის თეატრალური ჟურნალის“ („პთჟ“) უცვლელი მთავარი რედაქტორის წიგნის ფურცლებზე.**

*„ვინა და რიგმა ზოგმერგვინ მოხერხ, რიგის ის უცვევ მოხდომოხ?..“*

(ვლადიმერ ვისოცკი, „ლუის კეროლის სიმღერა“)

„რეზო გაბრიაძის თეატრი. თბილისურ მარიონეტთა ისტორია და საუბრები რეზო გაბრიაძესთან თოჯინებზე, სიცოცხლესა და სიყვარულზე“. ამ წიგნში არა მარტო მაღლიერებით, აზარტულად და ნიჭიერად არის აღდგენილი უნიკალური თეატრის ათწლიანი ისტორია, თეატრისა, რომელშიც ორი ბურთულისა და კეხიანი ცხვირისგან აწყობილი ჩიტუნია „ბორია მიმკითხავე“ მსოფლიოს დიდ საოპერო მომღერლებზე ნაკლებად როდი მღეროდა ადამიანურობასა და დაკარგულ რომანტიზმზე. აქ დაბეჭდილია ავტორის მრავალწლიანი საუბრები გაბრიაძესთან, რომლებიც სამუდამოდ გაქრებოდნენ მაგნიტოფონის ფირზე ჩაუწერლად. ეს ყველაფერი და კიდევ თეთრ ფურცელზე შავი ტუშით წარმტაცად თავქარიანი ნახატებით დამშვენებული, გაბრიაძის ნახატებით: პუშკინურ-ფრინველური პროფილებით, უცნაური კაცუნებით, ქოლგებით, შეყვარებული ჭიანჭველებით, ვარდებიან შუშებით, წვრილ მთრთოლვარე ხაზებზე გამწკრივებული ნოტებით, თითქოს მავთულებზე ჩამომსხდარი მერცხლები არიანო... დიახ, ეს ყველაფერი ქმნის ამ წიგნის ბედნიერ, ათამაშებულ, ალსატაცებელ, მოქვითინე, მოჭიკჭიკე, ყველა ხმაზე ამღერებულ არსს.

მარინა დმიტრევსკაია გამუდმებით წერს თავისი გმირის ცხოვრების რაღაც მხატვრულ სიუჟეტურობაზე, გმირისა, პირდაპირი – უფრო პირდაპირს ვერც წარმოიდგენ! – „როდენის შვილთაშვილისა“, მომხიბვლელად სევდიანი და სასაცილო ისტორიების მთხზველისა, რომლებიც ხორცშესხმულია კინოში, ფერწერაში, სკულპტურაში, მცირე პლასტიკაში, სპექტაკლებში. ეს სიუჟეტურობა, მაგიური მრუდი, რომელსაც ცხოვრებაში მსოფლიო სახელის „შაშვი მგალობელი“ მიჰყავდა და მიჰყავს, წიგნში გაცნობიერებული და გამოკვეთილია, როგორც იდუმალი მელოდია. ოღონდ ამ წიგნის გამოჩენაშიც იყო მაგია და სიუჟეტურობა. მან, წიგნმა, მრავალი წელი დაჰყო მონახაზებში, შავად ნაწერებში, მაგნიტოფონის ფირებში (რომლებიც, როგორც ირკვევა, არ იწვიან, ისევე ვით ზოგიერთი ხელნაწერი), მეხსიერებაში (არეულად ადამიანურსა და ხელოვნებათმცოდნურში). დმიტრევსკაიას საუბრები გაბრიაძესთან რამდენიმე წელს ზედიზედ და ასევე გასულ საუკუნეში „პთჟ“-ის ფურცლებზე ქვეყნდებოდა. თუმცა, როგორც ავტორი წერს, უკვე წამოიზარდა თაობა, რომელსაც არ მოსცხებია თბილისური მარიონეტების ხიბლი და არცა-რა სმენია სახელგანთქმულ თოჯინების თეატრზე. თაობა, რომლისთვისაც საქართველო საზღვარგარეთი და უცხო მიწაა...

ერთ-ერთი თავის დაწერას დმიტრევსკაია მეცნიერულად შეეცადა („რიტმი, სივრცე და დრო რეზო გაბრიაძის შემოქმედებაში“). შევნიშნოთ, რომ ეს მას არცთუ მოსაწყენად გამოუვიდა. ამასთან, ჭკუის სიმახვილე შესანიშნავად სიამტკბილობს მხატვრულ აზარტთან. თვით გაბრიაძე ამ თავში უარყოფს ისტორიზმის პრინციპს, ხუმრობს, რომ „1960-იანსა თუ 1970-იანის ტიპის გამონათქვამებით საკმაოდ არაფრის მაქნისი კაცები სცოდავენ“. დმიტრევსკაია კი, როგორც თეატრალური კრიტიკოსი, პატიოსნად იცავს მეცნიერულ სიზუსტეს. ეს კია, რომ მერე თავს მაინც ვერ იკავებს: „ბოლოსიტყვაობას დავწერ ისე, ვითომ დრო არც არსებობს. რეზო გაბრიაძის თეატრი კი მარადიულია...“

ეს წიგნი, მართლაც რომ, ხალხისთვისაა. წიგნი, რომლის კითხვა კარგია, როცა მაღალი სიცხე გაქვს (ერთი თავი სწორედ ასეა დასათაურებული „ბავშვობის მაღალი ტემპერატურა“). გრადუსით რომ მოერგო, იმიტომ. რასაკვირველია, იქ არის ისტორიის ხალები. მაგალითად, შეკითხვას, რატომ მოკიდე ხელი მარიონეტებსო, გაბრიაძე უპასუხებს: აბა, მე, უპარტიოს, დიდ თეატრს ვინ მომაშავებდაო. დღევანდელი მოდგმისთვის დიდხანს მოგიწევს უპარტიობის კავშირის ახსნა დიდ თეატრთან... მაგრამ განა არა ჩანს, რომ გაბრიაძე ყველას ასულელებს? სინამდვილეში ხომ გასაგები ხდება, თუ წიგნს ყურადღებით, თანაც მაღალი ტემპერატურის დროს კითხულობ, რატომ იქცნენ მარიონეტები მისი ცხოვრების ნაწილად. „იმათ სიარულში ჩვენი სიარულის საიდუმლო ფორმულა დევს. ფორმულა, რომელსაც ვერ ვწვდებით. ჩვენ რომ იდეალურად დავდიოდეთ, დროდადრო სამ მეტრზე უნდა ავხტეთ, თავს ზემოთ ფეხების მოქცევით. ქუჩებში ადამიანები ხეებსაც გადაახტებოდნენ“... ანუ მთელი საქმე იდეალური სიარულის საიდუმლო ყოფილა. სიარულისა, რომელსაც ის, ვითა მხატვარი და მთხზველი, არ შეიძლებოდა არ დაეინტერესებინა...

რა კარგია, რომ დღეს კიდევ გაცოცხლდნენ ეს ნატყუვარათავაკებიანი პატარა კერპები, ეს ალფრედები და ვიოლეტები, იმპერატორთა ქალიშვილები, ჩიტები, პეპლები, ჭიანჭველუკები, ცხენები... თოჯინური „მეორე მოსვლა“. აღდგომა...

ეს გახლავთ წიგნი, რომელსაც ბედნიერების უნარევო და აბსოლუტური შეგრძნებით ხურავთ. „ისინი არ ქრებიან, არ ორთქლდებიან, – მონაყოლი ზღაპრები, სიზმრად გაკრთობილნი!“

ახლა თბილისში არსებობს რეზო გაბრიაძის თეატრი-სტუდია. იქაც თამაშდება ესა თუ ის ისტორია, მაგრამ ეს, როგორც ჩანს, უკვე ოდნავ სხვა ისტორიებია?..

**ოლგა სკოროჩკინა**
**КУЛЬТУРА**

# სენსაცია!

**ის, ვინც იგი იპოვა, მთებში გაიყინა. ის, ვინც მას იკვლევდა, ავტოკატასტროფაში დაიღუპა. მან, ვისაც ის გაჭქონდა, თავში ქვა მიიღო. ის, ვინც მასზე ფილმი გადაიღო, საშინელი ტანჯვით მოკვდა. მაინც რა ემართება „ყინულის ადამიანის“ სხეულს?**

# მუმია, რომელიც ადამიანებს ხოცავს

**„თუ იდუმალ სიკვდილთა ჯაჭვი სიმართლეა, მაშინ მუმიის მომდევნო მსხვერპლი მე უნდა გავხდე!“ – ავსტრიელი არქეოლოგის კონრად სპინდლერის ეს ამასწინანდელი ფრაზა წინასწარმეტყველური აღმოჩნდა მისთვის. აპრილის მიწურულს ის მოკვდა, გაზეთებმა კი უმალ გამოაცხადეს, რომ „ყინულის ადამიანის“ „სასტიკმა წყევლამ“ კიდევ ერთი ადამინის სიცოცხლე დაამსხვრია“.**

### ექვსი იდუმალი სიკვდილი – „ყინულის ადამიანის“ შურისძიება?

„ყინულის ადამიანის“ მუმია (რომელმაც ოტცის მეტსახელი მიიღო) ალპებში ავსტრიისა და იტალიის საზღვარზე აღმოაჩინეს 1991 წელს. როგორც მეცნიერებმა მოგვიანებით დაადგინეს, ოტცი დაახლოებით 5300 წლის წინათ დაღუპულა მეომრების თავდასხმის შედეგად – მის ტანსაცმელზე შემორჩენილია ოთხი ადამიანის სისხლის ლაქები. მას შემდეგ გვამი რამდენიმე ათასი წელი ყინულებში იდო, ვიდრე მას სრულიად შემთხვევით არ გადააწყდა გერმანელი ტურისტი ჰელმუტ სიმონი. ოტცის სხეული იმდენად კარგად იყო შენახული, რომ ჰელმუტი თავიდან ვერ მიხვდა, ვინ იპოვა მან და რაციით ექიმები გამოიძახა. სწორედ ეს ტურისტი გახდა პირველი, ვისითაც დაიწყო იმ ადამიანების იდუმალ სიკვდილთა სერია, ვისაც რაიმე კავშირი ჰქონდა ალპიურ მუმიასთან.

მას შემდეგ, რაც სასამართლო მოიგო, რომლის თანახმადაც ოტცის აღმოჩენისთვის მისთვის 100 000 დოლარი უნდა გადაეხადათ, ჰელმუტი მშვენიერ ამინდში გაემართა იმ ადგილისკენ, სადაც მუმია იპოვა, რათა „წარმატება აღენიშნა“. დაახლოებით ერთი საათის შემდეგ ის ნამქერში მოხვდა (რომელსაც ამინდის არც ერთი პროგნოზი არ ითვალისწინებდა) და გაიყინა. როდესაც ამოთხარეს, ჰელმუტიც ისეთივე პოზაში იწვა, როგორშიც „ყინულის ადამიანი“.

მაშველთა ხელმძღვანელი, რომელმაც გაყინულ ტურისტს მიაგნო, მალე გულის შეტევით გარდაიცვალა – ჰელმუტის ცხედრის სამარეში ჩაშვებიდან სულ ერთი საათის შემდეგ. მესამე მსხვერპლი გახდა დოქტორი რაინერ პენი, იმ ბრიგადის ხელმძღვანელი, რომელიც ოტცის ექსპერტიზას უტარებდა. – იგი ავტოკატასტროფაში დაიღუპა, როდესაც ტელევიზიაში მუმიასთან დაკავშირებით ინტერვიუს მისაცემად მიემართებოდა. ცოტა ხნის შემდეგ ყველა გააოგნა პროფესიონალი ალპინისტის, კურტ ფარიცის დაღუპვამ (მუმიის აღმოჩენის ადგილამდე მიღწევისას იგი დოქტორ რაინერს ახლდა თან). ფრიცი მაღლა მთებში კლდის ჩამომზღვლევისას დაიღუპა, უზარმაზარი ლოდი თავში მოხვდა, ამასთან, თანმხლები ჯგუფის არც ერთი წევრი არც კი დაჭრილა. კიდევ ორიოდე წლის შემდეგ მეცნიერები კვლავ შოკურ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ – თავში სიმსივნით გარდაიცვალა ავსტრიელი ჟურნალისტი რაინერ ჰენცლერი, რომელიც „ყინულის ადამიანის“ გადმოტანაში მონაწილეობდა და რომელმაც დოკუმენტური ფილმიც გადაიღო.



სვირინგი მუმიის ხელზე

### „შეიძლებოდა ის ჩვენთვის უცნობი კულტის ძველი ქურუმი ყოფილიყო“

– აქ, ცხადია, ტუტანჰამონის მაგალითი გვახსენდება, როცა მალე დაიღუპა ყველა, ვინც მისი სამარხი გახსნა, – ამბობს რომაელი სპეციალისტი – არქეოლოგი ალესანდრო მორანდი. – რა თქმა უნდა, ამდენი სულ სხვადასხვა ასაკის ადამიანის სიკვდილი დროის ასეთ მოკლე პერიოდში კითხვებს გამოიწვევდა. ჩემი აზრით, უბრალოდ საჭიროა დეტალურად გამოვიკვლიოთ – მაინც ვინ არის ეს ოტცი? მაგალითად, მისი ნივთების დეტალურმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ ისინი სულ სხვადასხვა ეპოქებს განეკუთვნება. ისრები საერთოდ 7000 წლისაა, ნაჯახი – ქრისტეს ჯვარცმის დროისაა, ტყავი კი, რომელშიც ის ეხვეოდა ხოლმე, იმ დროს ჩინეთში მობინადრე თხისაა. აქვე შეგვიძლია გამოვთქვათ ვერსია, რომ შეიძლებოდა ოტცი ჩვენთვის უცნობი რომელიმე კულტის წარმომადგენელი იყო, რომელსაც ზებუნებრივი შესაძლებლობები გააჩნდა, მათ შორის დროში მოგზაურობის უნარიც.



მიმდინარეობს მუმიის კვლევა

ჩრდილო იტალიის ქალაქ ბოლცინოს არქეოლოგიურ მუზეუმში, სადაც ოტცის მუმია ინახება, ისე ადვილად ვერ მოხვდებით. შესასვლელთან დიდძალი ხალხია: წელიწადში მუზეუმს 240 ათასი ადამიანი სტუმრობს. მე სპეციალური კომპიუტერული ცენტრის მიერ მართულ საცივარ კამერასთან მივყავარ, სადაც „ყინულის ადამიანი“ წევს. ტემპერატურა დაახლოებით მინუს ექვსი გრადუსია – ოტცი ხუთი ათას წელზე მეტხანს ისე იწვა, როგორც საყინულეში და ნებისმიერი დათბობა შეიძლება, მუმიისთვის დამღუპველი აღმოჩნდეს. სხეული მართლაც გასაოცრად არის შენახული – გარკვევით მოჩანს სვირინგები ხელებსა და ფეხებზე, საკმაოდ ძლიერ არის მოსვირინგებული ზურგი.

იხ. მე-11 გვ.

# ქრონოგრაფი

## 18 ივლისი, 1574 წელი



**პოლონეთის მეფემ ჰენრიხ ვალუამ შეიტყო რა მისი უფროსი ძმის, საფრანგეთის მეფის კარლ IX გარდაცვალების შესახებ უჩუმრად დატოვა ქვეყანა, რომლის ტახტზეც პოლონეთის მეფის სიგიზმუნდ II ავგუსტუსის გარდაცვალების შემდეგ მხოლოდ ერთი წელი იჯდა. მან საფრანგეთისკენ გასწია, რათა პარიზში ჩასულიყო და თავი საფრანგეთის მეფედ ჰენრიხ მესამედ გამოეცხადებინა. პოლონელ დიდებულთა ძალისხმევით პოლონეთის ტახტზე ავიდა ტრანსილვანიელი მთავარი სტეფან ბატორი.**

## 19 ივლისი, 1822 წელი



**ჟოზეფ ნისეფორ ნეპსმა გადაიღო სურათი, რომელიც მსოფლიოში უძველეს ფოტოდ ითვლება. მასზე გამოსახულია მამაკაცი, რომელსაც აღვირით მიჰყავს ცხენი. ეს ფოტოსურათი დიდხანს ითვლებოდა მარია ტერეზასა და ანდრე ჟამეს კოლექციის მარგალიტად. მაგრამ 2002 წლის 21 მარტს პარიზში სოტბის აუქციონზე ფოტო 443220 დოლარად გაიყიდა. ამჟამად ეს უძველესი ფოტო პარიზის ეროვნულ ბიბლიოთეკაში ინახება.**

## 20 ივლისი, 1945 წელი



**მოსკოვში ი.ბ. სტალინის სახელობის ავტოქარხანაში დაიწყეს სამთავრობო ლიმუზინების „ЗИС-110“-ის აწყობა. ავტომანქანა შეიქმნა ამერიკული „პაკარდის“ (1941 წლის გამოშვების) და „ბიუიკ ლიმიტედ-90“ ნაზავ სტილზე. კომფორტაბელური „სამთავრობო“ შვიდადგილიანი მანქანა 8-ცილინდრიანი იყო. სალონში ჩამონტაჟებული ჰქონდა რადიომიმღები. ავითარებდა 140 კმ/სთ სიჩქარეს. სპეცჯავშან „ЗИС-110“ ხალხთა ბელადს ემსახურებოდა, რამდენიმე ათეული ცალი კი მოსკოვის „ტაქსოპარკებს“ გადასცეს. „ЗИС-110“ ავტოქარხანა 1958 წლამდე უშვებდა და სულ 2000 ცალი დაამზადეს.**

## 21 ივლისი, 410 წელი



**წმიდა მოწამე მირდატ მეფის ხსენების დღე. იგი იყო ქართლის მეფე ვარაზ-ბაკურის ძე. მირდატი დედის მამამ გონიერმა, მორწმუნე და ბრძენმა თრდატ მეფემ აღზარდა. უფლისწულს ახოვნება, სიმამაცე და გამჭრიახობა ბავშვობიდან დაჰყვა. მან გადაწყვიტა ქართლის სამეფოს სრული გათავისუფლება და გაერთიანება. მტრად დაუდგა ბერძნებს, ხოლო სპარსელებს ხარკი შეუწყვიტა. სპარსელებმა უამრავი სპა გამოაგზავნეს ქართლის მეფის დასასჯელად. უთანასწორო და სისხლისმღვრელი ბრძოლა გარდაბანთან ქართველების დამარცხებით დასრულდა. მირტადი ტყვედ ბაღდადში წაიყვანეს ხალიფასთან. რჯულის გამოცვლა უბრძანეს, მაგრამ ვერ გატეხეს ქრისტიანობის ერთგული მეფე. ნატანჯი, ნაწამები საპყრობილეში ჩააგდეს, სადაც 410 წელს აღესრულა.**

## 22 ივლისი, 1995 წელი



**ამერიკელმა მოყვარულმა ასტრონომებმა ალენ ჰეილმა და თომას ბოპმა ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ძლიერი ოპტიკური ხელსაწყოებით დამით, ცაზე მკრთალად მანათობელი შუქი შენიშნეს, რომელიც ძალზე სწრაფად მოძრაობდა. ორივემ დაასკვნა, რომ ეს კომეტა უნდა ყოფილიყო. 1997 წელს კომეტა სახელწოდებით ჰეილი-ბოპი მოკაშკაშე სამკუდიან ვარსკვლავად იქცა. აქამომდის მხოლოდ ორკუდიანი კომეტები ფიქსირდებოდა. ამავე წელს პირველად აღმოაჩინეს კომეტის რენტგენული გამოსხივება. მეორედ კომეტა ჰეილი-ბოპი „ჩვენთან“ სამი ათასი წლის შემდეგ გამოჩნდება.**

## 23 ივლისი, 1890 წელი



**ანტონ ჩეხოვი, რომელიც მოსკოვიდან სამოგზაუროდ 1 მაისს გაემგზავრა აღმოსავლეთისკენ, ჩავიდა სახალინზე. მისი მოგზაურობის მარშრუტი შემდეგნაირი იყო: მოსკოვი – იაროსლავლი, გემით ვოლგაზე ყაზანამდე და ოკაზე პერმიმდე, მატარებლით ტიუმენამდე და შემდეგ 4 ათასი ვერსი ნავითა და ტივით. სახალინზე იგი 13 ოქტომბრამდე დარჩა, სადაც სწავლობდა კატორღელებისა და გადასახლებულთა აუტანელი ცხოვრების პირობებს, მკურნალობდა მათ. ჩეხოვმა პირველმა აღწერა კუნძულის მოსახლეობა. 20 დეკემბერს იგი ვლადივოსტოკიდან გემით გავიდა, შემოუარა ინდოჩინეთს, გადასერა ინდოეთის ოკეანე, სუეცის არხი, ხმელთაშუა ზღვა, შავი ზღვა და ოდესიდან მოსკოვს დაბრუნდა.**

## 24 ივლისი, 1790 წელი

**სამხრეთ-დასავლეთ საფრანგეთში ქალაქ ბარბოტანის მახლობლად მეტეორიტი ჩამოვარდა, რომლის შესახებაც უცებ ამცნეს პარიზის მეცნიერებათა აკადემიას. ცნობილ მეცნიერებს ეს სიცილადაც არ ეყოთ, მიუხედავად იმისა, რომ მეტეორიტის ვარდნის ფაქტის ამსახველ დოკუმენტს სამი ათასზე მეტმა ადამიანმა მოაწერა ხელი. „გასკონელები მუდამ ცრუპენტელები და ტრაბახა ხალხი იყავით, როდის იყო, ციდან ამხელა ქვები ცვიოდაო“, – განაცხადეს ურწმუნო თომებმა. მხოლოდ 1803 წელს აკადემიკოსებმა გამოკვლევების შემდეგ დაადგინეს, რომ ეს უბრალო ქვა კი არა მართლაც მეტეორიტი იყო.**



# მუმია, რომელიც ადამიანებს ხოცავს

(მეათე გვერდიდან)

ამბობენ, რომ „ყინულის კაცი" ყინულებში ყოფნის წყალობით, აღმოჩენისას საერთოდ ცოცხალივით იყო. ტრანსპორტირებისა და ხანმოკლე ხუთსაათიანი გალღობის პროცესში (დნმ-ს ასაღებად) გვამი საკმაოდ ძლიერად დაზიანდა. არ ეშინიათ მუზეუმის თანამშრომლებს მუმიაზე მუშაობა მას შემდეგ, რაც რამდენიმე ადამიანი, რომლებმაც ის ამოთხარეს, საიდუმლოებით მოცულ ვითარებაში მოკვდა?

— პირადად მე სულ არ მეშინია, — ამბობს მუზეუმის პრეს-მდივნის მოვალეობის შემსრულებელი მელიტა ფრანჩესკინი, — მე ე.წ. „ოტცის წყევლისა" არ მჯერა.

## „ადამიანს სიცოცხლეშივე ჰკრავდნენ განსაკუთრებული ბრძნეული სიტყვებით"

მიუხედავად ამისა, მუზეუმში მისულ ადამიანებს, მას შემდეგ რაც მუმიას დახედავენ, პერიოდულად მისდით გული, — ამას მნახველთა მეტისმეტად დიდი რაოდენობით და აგრეთვე ტურისტების ცუდი ჯანმრთელობით ხსნიან. ოფიციალური სტატისტიკა კი მეტყველებს: ყველაზე ხშირად, ტურისტები სწორედ იმ დარბაზებში კარგავენ გრძნობას, სადაც მუმიებია გამოფენილი, — ამას ადასტურებს ერმიტაჟიც, ბრიტანეთის მუზეუმიც, ლუვრიც და ახლა უკვე ბოლცანოც. ერთდროულად რამდენიმე სპეციალისტმა ერთი და იგივე ვერსია გამოთქვა — შესაძლებელია ოტცი ძლიერი ჯადოსანი იყო და ამიტომაც მოკლეს. გარდა ამისა, შესაძლებელია, იგი სიცოცხლეშივე იყო შეკრული განსაკუთრებული გრძნეული სიტყვებით. ასეთი რიტუალები ჰქონდათ ძველ დრუიდებს: ადამიანს „სიკვდილისწინა გრძნეულებით ჰკრავდნენ" — სპეციალურ მისტიკურ პროცედურას უტარებდნენ, რომელიც საშინელ სასჯელს აღუთქვამდა მას, ვინც მომავალში მის სხეულს შეაწუხებდა. ასე „იზღვევდნენ თავს" სამარხების მძარცველებისგან. ანალოგიური რიტუალები იყო მიღებული ძველ სკვითებშიც. ცნობილია შემთხვევა, როდესაც 1991 წ. კიევში გამოძიება იძულებული გახდა დაეხურა სკვითური სამარხ-ყორღანების პროფესიონალ მძარცველთა საქმე. წელიწადნახევრის განმავლობაში ყველა ბოროტმოქმედი, რომლებსაც გაუსველელობის ხელწერილი ჰქონდა დადებული, უბედური შემთხვევებისა და ავადმყოფობის შედეგად მოკვდა.

— რატომღაც ყველამ იცის, რომ გვამის შხამის გამო ახლახან გარდაცვლილი ადამიანის მიმართ სიფრთხილე მართებთ, მაგრამ მუმიებთან მიმართებაში ცოტა ვინმე თუ იჩენს სიფრთხილეს, — ამბობს სპეციალისტი, არქეოლოგი ალესანდრო მორანდი, — არადა, შეიძლებოდა, ადამიანები ისეთი დაავადებებით ყოფილიყვნენ ავად და ისეთი ვირუსების მატარებლები ყოფილიყვნენ, რომელთა შესახებ ჩვენ არცკი გვესმის. ცნობილია, რომ მაღალ ტემპერატურაზე ვირუსები იღუპებიან, სიცივეში კი შეუძლიათ გაურკვეველი დროის განმავლობაში გაძლონ. გამორიცხული არ არის, რომ „ყინულის ადამიანის" მუმიაშიც შემორჩა რაღაც მიკრობები, რომლებმაც რამდენიმე ადამიანის სიკვდილი გამოიწვია. მართალია, აქვე ჩნდება კითხვა — რატომ დაიღუპა ერთი ადამიანი მზიან ამინდში საიდანღაც მოვარდნილ ნამქერში, მეორე კი სნაიპერული სიზუსტით მოხვედრილმა ქვამ მოკლა? მაგრამ, სამწუხაროდ, ამ კითხვის პასუხი არა მაქვს. ალბათ გაურკვეველივე დარჩება — რატომ, ვინ და რისთვის მოკლა ხუთი ათასი წლის წინათ ალპებში ჩინური თხისტყავიანი ადამიანი ქრისტესდროინდელი ნაჯახით ხელში.

გაზეთებში პერიოდულად ჩნდება ცნობები იმის შესახებ, რომ „ოტცის ჯგუფის" ბევრი წევრი მძიმე დაავადებით არის ავად (ისევე, როგორც იგივე სპინდლერი, რომელიც ინვალიდის ეტლით გადაადგილდებოდა, ანდა საშინელი ტკივილებით გატანჯული ჟურნალისტი ჰელცლი), მაგრამ ამ ინფორმაციების კომენტირების მსურველი არავინ არის. როგორც არ უნდა იყოს, არქეოლოგ სპინდლერის სიკვდილის შემდეგ არავინ იმათგანი, „ყინულის კაცის" აღმოჩენიდან პირველ დღეებში ვისაც რაიმე შეხება ჰქონია მასთან, უკვე აღარ ხუმრობს ძალზე სახიფათო თემაზე — ვინ მოკვდება შემდეგი...

**ვიქტორ მარტოვი,**
**ბოლცანო — რომი — მოსკოვი.**

**ფოტოს პუბლიკაცია ნებადართულია სამხრეთ ტიროლის არქეოლოგიის მუზეუმის მიერ**




**ასე გამოიყურებოდა მუმია რეკონსტრუქციის შემდეგ. მეცნიერებს დღემდე ვერ აუხსნიათ, რატომაა სხვადასხვა ნივთი სხვადასხვა ასაკის.**

### რ ა ხ ა ნ   ს ი ტ ყ ვ ა ა მ   მ ო ი ტ ა ნ ა

1993 წ. მთიანი ალტაის სკვითურ ყორღანში 2500 წლის წინათ ყინულის კუბოში დამარხული ქალის მუმია გათხარეს, — ის მაშინვე „ალტაელ პრინცესად" მონათლეს. მუმიის ტრანსპორტირების დროს ახალთახალი ვერტმფრენის ხელსაწყოებმა აურია და მფრინავი იძულებული გახდა მიწაზე დაშვებულიყო. გამოკვლევათა სერიის შემდეგ მუმია ნოვოსიბირსკის მუზეუმში მოათავსეს, ათი წლის შემდეგ კი რესპუბლიკის ადმინისტრაციაში კოლექტიური წერილების შემოსვლა დაიწყო, რომლებსაც მთელი სოფლები აწერდნენ ხელს: ადამიანები „პრინცესას" ნოვოსიბირსკიდან დაბრუნებას და მის ძველ ადგილზე დამარხვას მოითხოვდნენ. როგორც ამ ხალხს მიაჩნია, სწორედ იმიტომ, რომ მუმიის სიმშვიდე დაარღვიეს, მისი საფლავის მიმდებარე რაიონში გამუდმებით ხდება ძლიერი მიწისძვრები, გახშირდა უმიზეზო თვითმკვლელობები.

### ციფრების ენით

გაეროს პროგნოზით, 2015 წლისთვის მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით, ინდოეთი მსოფლიოში პირველ ადგილს დაიკავებს, შეერთებული შტატები დატოვებს ლიდერთა სამეულს, რუსეთი კი, ალბათ — პირველ ათეულსაც.

| | |
|---|---|
| **რუსეთი** | — 145,1 (მლნ. კაცი) |
| **პაკისტანი** | — 146,7 |
| **ბრაზილია** | — 180 |
| **ინდონეზია** | — 238,5 |
| **აშშ** | — 295,1 |
| **ინდოეთი** | — 1000 |
| **ჩინეთი** | — 1200. |

* * *

მსოფლიო ტენდენცია — სიცოცხლის ხანგრძლივობის შემცირება — ჯერჯერობით არ ვრცელდება განვითარებულ ქვეყნებზე, რომლებშიც, პირიქით, მოსახლეობა უფრო დიდხანს ცოცხლობს. მაგრამ, გაეროს პროგნოზის თანახმად, განვითარებული ქვეყნების მოსახლეობის რიცხვი 1980 წლის 20-პროცენტიანი მაჩვენებლიდან 2020 წლისთვის 9-13 პროცენტამდე შემცირდება.

| სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა | |
|---|---|
| **იაპონია** | — 82 წელი |
| **ისლანდია** | — 81 |
| **შვეიცარია** | — 81 |
| **ზიმბაბვე** | — 36 |
| **ზამბია** | — 38 |
| **მალავი** | — 40. |



### როცა თქვენ აპირებთ ამა თუ იმ ფილმის ნახვას, უწინარეს ყოვლისა, რას აქცევთ ყურადღებას?

**39 პროცენტი — ჟანრს,**
**22 პროცენტი — სიუჟეტს, თემას,**
**13 პროცენტი — მსახიობებს,**
**4 პროცენტი — მწარმოებელ-ქვეყანას,**
**3 პროცენტი — რეცენზიებს,**
**3 პროცენტი — რეჟისორს,**
**16 პროცენტს გაუჭირდა პასუხის გაცემა.**

გამოკითხვა განახორციელა „საზოგადოებრივი აზრის" ფონდმა.

## ყველაფერი ყველაფერზე

### რეკორდული კოცნის მოტრფიალენი



**ლონდონში ერთი წყვილი... რა თქმა უნდა ქალი და კაცი (ისე არცაა გაუკუღმართებულ დღევანდელობაში გასაკვირი, რომ სქესი ვახსენოთ), მსოფლიო რეკორდს დაამყარებს კოცნაში. აქამომდის ამ რეკორდის მფლობელებმა, ამერიკელმა წყვილმა 30 საათი, 59 წუთი და 27 წამის განმავლობაში გააკვირვეს ჟიური ერთმანეთთან ტუჩებით ალერსში.**

კონკურსში მონაწილეებს მეტად სასტიკი წესების დაცვა მოუწევთ. ისინი ერთმანეთს არ უნდა იცნობდნენ და მხოლოდ ჟიურის თვალწინ უნდა მოხდეს მათი გაცნობა (წყვილებს არჩევენ გაზეთებში გამოქვეყნებული განცხადებების საფუძველზე), მათ ეკრძალებათ ჯდომა, ძილი, საკვები მხოლოდ სპეციალური საწრუპი ჩხირების საშუალებით უნდა მიიღონ და, რაც მთავარია, საპირფარეშოში წასვლისასაც არ უნდა შეწყვიტონ კოცნა.

სარეკორდო კოცნის ინიციატორები დაუკავშირდნენ ლონდონის ყველაზე პოპულარულ სავაჭრო ცენტრ Plaza-ს, სადაც ეს კონკურსი იმართება. რეკორდული კოცნის ორგანიზატორი ლუის ტომასი ჟურნალისტებთან საუბარში აცხადებს: „ძალზე ძნელია უცნობ ადამიანს კოცნო მთელი 31 საათის განმავლობაში, რათა პირვანდელი რეკორდი მოხსნა".

რაც შეეხება სავაჭრო ცენტრის მენეჯერს კიტ ბრაშნინს, იგი კონკურსში მონაწილეებს უზრუნველყოფს მუდმივი სამედიცინო დაკვირვებითა და სასიამოვნო შოუ-გასართობებით. „ჩვენ უფლება არ გვაქვს ამგვარ შეჯიბრს არასერიოზულად მოვეკიდოთ. ეს ხომ გამძლეობისა და ამტანობის რეალური გამოცდაა", — აცხადებს იგი.

### გერმანიამ ვლადიმერ პუტინის რეზიდენციისთვისაც იზრუნა



**რამდენიმე დღის წინათ გერმანიის წარმომადგენლებმა სტერლნაში კონსტანტინეს დარბაზს საჩუქრად გადასცა XVIII საუკუნის ევროპელი ოსტატების ოთხი ნამუშევარი. ეს გახლავთ მეორე მსოფლიო ომის დროს ბერლინში საბჭოთა საელჩოში დაკარგული (ასე ვთქვათ მოპარული) სურათების სანაცვლოდ გაღებული კეთილი „ჟესტი".**

ჰოლანდიელი ფერმწერის ისააკ დე მეშერონის ორი არქიტექტურული ფანტაზია და იტალიელი ხელოვანის ფრანჩესკო გუარდის ორი კაპრიჩიო, იგივე ქალაქურ თემაზე შექმნილი ფანტაზია, დაამშვენებს კონსტანტინეს სასახლეს. სასახლე 1721 წელს ააგო ცნობილმა არქიტექტორმა ბარტოლომეო რასტრელიმ, რუსეთის იმპერატორის პეტრე პირველის საზღვაო რეზიდენციად. მეორე მსოფლიო ომის დროს სასახლე პრაქტიკულად დაინგრა. ამჟამად მისი არქიტექტურული სახე აღადგინეს, ოღონდ მასში მოთავსებული ფერწერული ტილოებისა და ხელოვნების ნიმუშების გარეშე.

უკანასკნელ ხანს სასახლეს საჩუქრად გადასცეს ალექსანდრე ბენუასა და ნიკოლაი მილიოტის ფერწერული ნამუშევრები, ნიკოლოზ ვირუბოვის კერძო კოლექციიდან კი რომანოვების სამეფო ოჯახის წევრთა პორტრეტები და წმიდა პავლეს სახელობის მუზეუმის შედევრები.

2003 წლიდან კონსტანტინეს სასახლის დასავლეთ ფლიგელი რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტ პუტინის კერძო საკუთრებაში გადავიდა.

ისააკ დე მეშურონის ქმნილებები, რომლებიც კაპიტან ბალდინის კოლექციაში ინახებოდა, რუსეთს „საჩუქრად გადაეცა" მრავალწლიანი დავისა და სასამართლო პროცესების შემდეგ.

### ზაფხულში, შეგიძლიათ ავსტრალიისა და სამხრეთ აფრიკის სანაპიროებზე თამამად დაისვენოთ



**სამხრეთაფრიკელმა და ავსტრალიელმა სწავლულებმა დაიწყეს და ჯერჯერობით წარმატებით ახორციელებენ სანაპიროების „ელექტრულ დაცვას" ზვიგენებისგან.** სანაპიროდან 400 მეტრის მოშორებით დაამონტაჟეს რამდენიმე დანადგარი, რომელიც გამოიმუშავებს სუსტ ელექტრულ დენს, რომელიც ადგილობრივი ბატარეებით იქნება უზრუნველყოფილი. ზღვის „ურჩხულები", როდესაც მოხვდებიან ელექტრული ველის ზეგავლენის ქვეშ, თავდაპირველად დისკომფორტს განიცდიან, რომელიც გამოწვეულია ელექტრული რეცეპტორების მიერ და მოქმედებს მათ ყბებზე (სხვათა შორის, ზღვის თავდამსხმელებს ნერვული სისტემის ცენტრი სწორედ ამ ადგილზე აქვთ განთავსებული). თუ ელექტრული ველი ზვიგენებმა არ დატოვეს, მაშინ რამდენიმე წამში მათ ეწყებათ ე. წ. კრუნჩხვები და ისინი საშიშ ტერიტორიას ტოვებენ.

ამ პროექტის ავტორები ირწმუნებიან, რომ ელექტრული ველი არც ზღვის ცხოველებსა და ადამიანებზე არ მოქმედებს, მანამ სანამ ისინი არ შეეხებიან სპეციალურ ბადეებს, რომლებიც ზღვის სიღრმეში არის მოთავსებული.

პროექტის განმხორციელებელმა და იდეის ავტორმა იბრაგიმ დაიმ განაცხადა, რომ პირველი ექსპერიმენტი 2000 წლის ოლიმპიადის დროს განახორციელეს სიდნეიში. ანალოგიური, მაგრამ შედარებით დაბალძაბვიანი მოწყობილობა გამოცადეს 2004 წელს ავსტრალიაში სერფინგისტების შეჯიბრის დროს.

ცდები გაგრძელდება სამხრეთ აფრიკაში მთელი წლის განმავლობაში.

### საიდანაც არ ელოდნენ

**რამდენიმე ქვეყნის სწავლულებმა წარმოაყენეს ჰიპოთეზა, რომლის თანახმადაც თანამედროვე ტიპის ადამიანმა მიგრაცია დაიწყო თავისი აფრიკული წინასამშობლოდან სხვა კონტინენტებზე — წითელი ზღვის გადასერვითა და აღმოსავლეთისკენ, ინდოეთის ოკეანის სანაპიროს გასწვრივ შემდგომი მოძრაობით. დასკვნები ემყარება მალაიზიის აბორიგენთა გენეტიკური ინფორმაციის ანალიზის შედეგებს, აბორიგენებისა, რომელთა წინაპრები ოდესღაც პირველად დასახლდნენ ხმელეთის ამ ნაწილზე.**

თანამედროვე მეცნიერება უფრო და უფრო უახლოვდება ადამიანთა მოდგმის წარმოშობის ამოცნობას. ახლა ეგებ აღარც იყოს საეჭვო, რომ ბიოლოგიური სახეობა, წოდებული, როგორც Homo sapiens, აფრიკის აღმოსავლეთსა ან სამხრეთში წარმოიშვა და იქიდან თანდათან დასახლდა მთელ პლანეტაზე. ოღონდ სპეციალისტები ჯერჯერობით არ ადგანან ერთიან აზრს იმის თაობაზე, თუ სახელდობრ როგორ მიმდინარეობდა ეს მიგრაცია.

აფრიკის კონტინენტზე წარმოებული გათხრების შედეგებმა სარწმუნოდ გვიჩვენა, რომ Homo sapiens-ის ასაკი მნიშვნელოვნად აჭარბებს 100 ათასწლეულს. მაშინვე ისიც დამტკიცდა, რომ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში ხალხი ცხოვრობს არანაკლებ 45 ათასი წლისა, ავსტრალიაში კი — 50 ათასიდან 60 ათას წლამდე. სპეციალისტთა შორის თანდათანობით ჩამოყალიბდა შეხედულება, რომ გონიერი ადამიანი აფრიკაში გამოჩნდა სადღაც 200 ათასი წლის წინათ, 100 ათასი წლის შემდეგ გადაჭრა სინაი და აზიის სივრცეებზე გავიდა. ამგვარად, ადამიანის წარმოშობის ქრონოლოგიამ ძლიერი კორექტირება განიცადა, მაგრამ აფრიკიდან მისი გამოსვლის სავარაუდო გზა უცვლელი დარჩა.

ამჟამად კიდევ ერთი თეორია გამოჩნდა, რომლის ავტორთა აზრით, პრაქტიკულად ყველა არააფრიკელი, ვინც დღეს ჩვენ პლანეტაზე ცხოვრობს, წარმოდგება სულ რამდენიმე ასეული ადამიანისგან, რომელნიც, ასე 80 ათასი წლის წინათ, წითელი ზღვის სამხრეთ ნაპირზე გადმოვიდნენ...

# გენერალი დე გოლი კვლავ მოსკოვშია

**ხელოვნებისა და ლიტერატურის ორდენის ოფიცრობა საფრანგეთის ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული ჯილდო გახლავთ. მისი ღირსი გახდა რუსეთის სამხატვრო აკადემიის პრეზიდენტი ზურაბ წერეთელი. ასე აღინიშნა ამ ქვეყანაში დიდოსტატის მრავალრიცხოვანი ნამუშევარი, აგრეთვე რუსეთში ტრადიციული საფრანგეთ-რუსეთის თანამშრომლობის პატივსაცემად აღმართული მონუმენტები, კერძოდ, მოსკოვში გახსნილი შარლ დე გოლის ძეგლი.**

მეორე მსოფლიო ომში საფრანგეთის ტრაგიკული ბედის მიუხედავად, გენერალი, როგორც მას ყველა უწოდებდა, ალბათ უპოპულარესი ფიგურა გახლდათ ანტიჰიტლერული კოალიციის ლიდერთა შორის. დე გოლი მოსკოვში ჩამოდიოდა „მეომარი საფრანგეთის" მეთაურის სახით, მოგვიანებით, როგორც ქვეყნის პრეზიდენტიც. გენერლის პიროვნებაში განსაცვიფრებელი იყო ურყევი ნებისყოფის, პოლიტიკური გენიისა და უმაღლესი კულტურის შერწყმა. პოლიტიკოსებსა და ისტორიკოსებს ის მრავალგზის მოუხსენებიათ XX საუკუნის უდიდეს ფრანგად.



გენერალ დე გოლის ძეგლის შექმნა და გახსნა მოსკოვში, უეჭველად მნიშვნელოვანი სიმბოლური ჟესტია, საფრანგეთსა და რუსეთს შორის ახლო ურთიერთობათა დამადასტურებელი. მით უფრო, რომ მონუმენტის ინაუგურაციამ ორივე ქვეყნის პრეზიდენტების ჟაკ შირაკისა და ვლადიმერ პუტინის თანდასწრებით ჩაიარა.

ზურაბ წერეთლის მიერ შექმნილი ეს სკულპტურა სასტუმრო „კოსმოსის" წინ მდებარე შარლ დე გოლის სახელობის მომცრო მოედანზეა დადგმული — ნაგებობისა, რომელიც ფრანგულ-რუსული თანამშრომლობის პროდუქტია. უზარმაზარი შენობისკენ სიმწვანეს, ყვავილებსა და შადრევნებს შორის მიმავალი გზის შუაშია წამომართული თვით ძეგლი — პოლირებული გრანიტისგან გაკეთებულ კლასიკურ დიდებულ ათმეტრიან კვარცხლბეკზე. გენერლის ფიგურის სიმაღლე კი ათი მეტრია.

სკულპტორს გაუმართლა. დიდი ხნის წინათ, 1960-იან წლებში, საბჭოურ ხანაში, როცა ეს იოლი როდი იყო, პარიზში აღმოჩნდა ცოლის ნათესავების წყალობით (ისინი ანდრონიკაშვილების უწარჩინებულეს გვარს ეკუთვნიან). ერთ-ერთი მათგანი დე გოლის ახლო თანამშრომელი გახლდათ და ხელოვანს თავისი მომავალი „მოდელის" ნახვის ბედნიერება ხვდა. განმაცვიფრა ხანდაზმულ წლებამდე შემორჩენილმა გენერლის ბრწყინვალე სამხედრო შემართებამ, თავისუფალმა და იმავდროს ზეიმურმა — ყოველთვის ოდნავ საადლუმომო, ყვება ზურაბ წერეთელი.

დიდოსტატმა ბრინჯაოში აღბეჭდა ჯერ კიდევ იმ შორეულ წლებში მისი მომნუსხავი სახე. შარლ დე გოლის მოხდენილი, მაღალი ფიგურა სამხედრო ფორმაშია გამოწყობილი, რომელსაც სულ სხვადასხვა დროს, ყოველთვის ასეთი ღირსებით ატარებდა. აღბეჭდა გენერლის სახის ნებისყოფიანი, ოდნავ მკვეთრი და მსხვილი ნაკვეთები, იმ კაცისა, რომელსაც ჯერ კიდევ სამხედრო სასწავლებელში ახელებდნენ დიდი ცხვირის გამო.

საფრანგეთის პრეზიდენტის ამ სახეში ზურაბ წერეთელი გადმოგვცემს მის მტკიცე და მიზანსწრაფულ ხასიათს, საკუთარი თავის რწმენას, ჭეშმარიტად დიდებულ იერს, რასაც მუდამ აღნიშნავდნენ გენერლის თანამედროვენი. ეს ძეგლი წარმოაჩენს XX საუკუნის ერთ-ერთი დიდი მოღვაწის ნამდვილ სახეს, ერთ-ერთისა როგორც საფრანგეთის, ისე მსოფლიო ისტორიის მოღვაწეთაგან. ამავე დროს, მონუმენტი მრავალზე მრავალი წელი დარჩება საფრანგეთისა და რუსეთის ურთიერთგაგებისა და თანამშრომლობის სიმბოლოდ.

**დიმიტრი შვიდკოვსკი**
**КУЛЬТУРА**

# რას უშვრება სიყვარული ტვინს?

## მეცნიერებმა რომანტიკული გრძნობების წყაროს მიაგნეს



**ვისაც ყვარებია (და ვის არ ყვარებია!), იცის, რომ ეს გრძნობა ახლოს არის ჭკუის დაკარგვასთან, თანაც ფართო დიაპაზონის გართულებებით. შეყვარებულები მზად არიან ტელეფონების დასაწყვეტად, საათობით ფანჯრებქვეშ სასიარულოდ, კისრისტეხით სხვა ქალაქში გასავარდნად, სერენადების სამღერად და ციდან ვარსკვლავების საკრეფად. რა ხდება ამ დროს თავში, ასე ვთქვათ, ანატომიური აზრით? როგორც იქნა, სწავლულები მზად არიან ამ კითხვაზე საპასუხოდ.**

შეყვარებული ტვინის სურათები, რომლებიც საერთაშორისო ნეიროფიზიოლოგიის ჟურნალში გამოქვეყნდნენ, გვიდასტურებენ: რომანტიკული და ავხორცული გრძნობები ტვინის სხვადასხვა უბნებს ეხებიან. მკვლევართა მტკიცებით, სიყვარული თავისი „ნახატით" გაცილებით ახლოს არის შიმშილთან, წყურვილსა და ნარკოტიკების მოხმარებასთან, ვიდრე სექსუალურ აღგზნებასთან. აქედანაა ამდენი ემოციაც — თვით გააფთრებამდეც.

დროთა განმავლობაში სასიყვარულო შიმშილით წამება მხოლოდ მატულობს. ტომოგრაფიულად დამტკიცებულია, რომ განშორება მრავალგზის ამძაფრებს რომანტიკულ გრძნობებს.

სამაგიეროდ, როგორ ბედნიერებას განვიცდით მიღწეული თანაზიარობისგან — პირდაპირ ეიფორია გვეუფლება! მაგრამ საკმარისია ურთიერთობები განმტკიცეს, რომ ნეირონული აქტიურობა და შესაბამისი სურათები ტვინში შეიცვალონ, გაფერმკრთალდნენ.

ახალი აღმოჩენა სიყვარულის ინტელექტუალურ მდგენელს ერთ სიბრტყეში აქცევს საკვების, წყლის, სითბოს მოთხოვნილებებთან. ის გვიჩვენებს, რომ ფიზიოლოგიური დამოკიდებულება სიყვარულისგან ისევე ძლიერია, როგორც ნარკოტიკებისგან.

ერთმა ამერიკელმა სპეციალისტთა ჯგუფმა გააანალიზა ის 2500 სურათი, რომლებიც მიიღეს კოლეჯის 17 შეყვარებული სტუდენტის გამოკვლევისას. რისი დანახვა მოხერხდა? აჭიატებული „ცხელი წერტილებისა", განსაკუთრებით აქტიურ უბნებზე. ისინი წარმოიშვებოდნენ ტვინის სიღრმის იმ ზონაში, რომელსაც „კუდიანი ბირთვი ეწოდება". აი თურმე, სად იბადება სიყვარული.

რაც მეტია ადამიანისგან ვნებისა თუ სულიერი ტანჯვის განცდა, მით უფრო აქტიურია მისი „კუდიანი ბირთვი". მოხერხდა დადგენა, რომ ის მჭიდროდ არის შევსებული დოპამინის მწარმოებელი ან შემწოვი უჯრედებით. ეს დოპამინი გახლავთ ტვინის ქიმიური ნივთიერება, ნარკოტიკის მონათესავე და აქტიურად ვრცელდება, როცა რამე ძალიან გვინდება.

„სიყვარულის ზონა" გარემოცულია ტვინის იმ არეებით, რომლებიც პასუხს აგებენ ისეთ ძირითად ფუნქციებზე, როგორიც კვება, წყურვილის მოკვლა, ემოციები, თვალის კაკლების მოძრაობაა. ეს ყველაფერი სასიყვარულო პროცესშია ჩართული.

**КОМСОМОЛЬСКАЯ ПРАВДА**

## ალბომი

# ყველას რაიმე აქვს სახსოვარი



საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორები ექსკურსიაზე სიღნაღში. მარცხნიდან: ეთერ გორგიძე, ჯემალ ლომსაძე და სოლომონ ბაქანიძე. 1977 წლის ოქტომბერი.

მოგვაწოდა სოლომონ ბაქანიძემ.

## გიხაროდეთ!

# ჭკვიან ძმას მშვენიერი და მოელინა

ჩვენი ტელეფონები: 93-34-04; 99-73-24.



თეკლა შეეძინათ გაზეთ „თბილისის" რედაქტორს იოსებ ჭუმბურიძეს და მის მეუღლეს ნინო თავშავაძეს საქართველოს საპატრიარქოს წმინდა იოაკიმესა და ანას სახელობის სამშობიარო სახლში (მთავარი ექიმი გიორგი ჯავახიშვილი). ნინო ამშობიარა ახალგაზრდა ექიმმა მამუკა ნემსაძემ. ჭუმბურიძეების ოჯახი ძალიან ემადლიერება სამშობიარო სახლის სამედიცინო პერსონალს. პატარა თეკლას შინ საქართველოში „ყველაზე ჭკვიანი" ძამიკო – 12 წლის თორნიკე ელოდება.

მეგობრები და კოლეგები ვულოცავთ იოსებ ჭუმბურიძეს და მის ოჯახს მეორე შვილის შეძენას. გვინდა, რომ თეკლა ყველაზე ჭკვიანიც იყოს და ყველაზე მშვენიერიც.

**ნატო კორსანტია, ნაირა მახაშვილი, ნანა ჭანტურია, გიგლა გობეჯია, აკაკი სიხარულიძე, ნუგზარ სხირტლაძე, ნოდარ ტაბიძე.**

## ცოტაც გავიღიმოთ...



**– წარმოგიდგენია, ერთი ჩემი ნაცნობი დღეს დაზე ქორწინდება!**

**– ეს ხომ შეუძლებელია!**

**– რატომ არის შეუძლებელი? ის ექიმია, საცოლე კი – მეძდა.**

* * *

**– ბავშვებო, იცოდეთ, რომ ყვავილების ბუტკო და მტვრიანა მათი გამრავლების ორგანოებია, – ეუბნება მოსწავლეებს ბიოლოგიის მასწავლებელი.**

**– მე სულელი კიდევ მათ ვყნოსავდი, – ჩაიბურტყუნა უკანა მერხზე მჯდომმა მიხომ.**

* * *

**– უკვე მესამედ ვერ ჩავაბარე გამოცდა. ახლა რა გავაკეთო? – ეკითხება სტუდენტი დეკანს.**

**– ახლა სამედიცინო კომისია უნდა გაიაროთ...**

* * *

**საავტომობილო ტრასის სიახლოვეს მდებარე პატარა კაფეზე გაკრული პლაკატიდან: „მძღოლო, გაიხსენე, რამდენჯერ დაგირღვევია მოძრაობის წესები და არაფერი მოგსვლია. ამიტომაც დალიე და საჭმელიც მიატანე!"**

* * *

**ორი კლიენტი ბარში ლუდს უკვეთავს.**

**– ოღონდ სუფთა კათხაში ჩამოასხით, – დასძენს ერთ-ერთი.**

**ცოტა ხანში ოფიციანტს ორი კათხა ლუდი მოაქვს და კითხულობს: – რომელმა თქვენგანმა შემიკვეთა სუფთა კათხაში ჩამოსხმული ლუდი?**

* * *

**ქუჩაში მიმავალმა მთვრალმა შემხვედრი მამაკაცი დაიჭირა და საყელოთი დაითრია:**

**– შე ასეთო და ისეთო, ჩემ ცოლთან გძინავს, არა?**

**– არა, კაცო, რას ამბობ, არც მიფიქრია...**

**– აჰა, ესე იგი, ცოლს მიწუნებ, არა?**

* * *

**მიხო და მისი უმცროსი დაიკო ბებოს ეკითხებიან:**

**– საიდან ჩნდებიან ბავშვები?**

**– ბავშვები წეროებს მოჰყავთ.**

**– მარო, უთხარი ბებოს რაც მოგიყევი, თორემ ასეთივე გაუნათლებელი მოკვდება, – ეუბნება მიხო.**

## ვაზუსტებთ

ჩვენი გაზეთის ამა წლის 15 ივლისის ნომერში პროფ. ი. მერაბიშვილის წერილში „უმეცრებათა სამყაროში" ტექნიკური ხარვეზის გამო რამდენიმე რუსულენოვანი სტრიქონი არ იკითხება.

გვ. 6-ის მე-5 სვეტის ბოლოს ლერმონტოვის თარგმანი უნდა იკითხებოდეს შემდეგნაირად: **Äóøà ìîÿ ìðà÷íà /** Äóøà ìîÿ ìðà÷íà. Ñêîðåé, ïåâåö, ñêîðåé! /Âîò àðôà çîëîòàÿ; მე-5 სვეტის დასაწყისში მე-16-17 ხაზები უნდა იკითხებოდეს შემდეგნაირად: Ñêîðåé, ïåâèöà, ñêîðåé! მაგრამ, დაწერა Ñêîðåé, ïåâåö, ñêîðåé! იმავე სვეტის მე-5 აბზაცში: Ïîñïåøèü, ëþäåé íàñìåøèü.

აგრეთვე გაპარულია უზუსტობა ამავე ნომრის მე-3 გვერდზე: ბოლო აბზაცის ბოლოდან მე-6 ხაზში უნდა იკითხებოდეს „ჯერ ñïëîùü", ანუ ისე, როგორც კრიტიკის ობიექტმა გამოაქვეყნა.

## საეკლესიო კალენდარი

# ქართველი ბერი – გიორგი შეყენებული

**დღეს, 16 ივლისს ქართული სამოციქულო ეკლესია იხსენიებს წმიდა გიორგი შეყენებულს, გიორგი მთაწმიდელის მოძღვარს.**

წმიდა გიორგი შეყენებული ქართველ ბერთა იმ ნაწილს ეკუთვნოდა, რომელთაც უცხოობა აირჩიეს მოღვაწეობის ფორმად, განდეგილი (ბერი) საქართველოდან წავიდა და შავ, ანუ საკვირველ მთაზე დაემკვიდრა. ამ დროს იქ უამრავი ეკლესია-მონასტერი იყო. წმიდა მამამ მთის ნაპრალებში ჰპოვა თავშესაფარი და იქ დაემკვიდრა სამოღვაწეოდ; სწორედ ამიტომ უწოდებენ მას შეყენებულს. გიორგი შეყენებულის წმიდა ცხოვრების შესახებ ცოტა რამ ვიცით, მაგრამ აქედანაც ძალიან კარგად ჩანს, რომ ის ერთდროულად იყო უდიდესი ასკეტიც და ქვეყნიური მოღვაწეც, ყოველგვარ ეროვნულზე ამაღლებულიც და უდიდესი პატრიოტიც, მის პიროვნებაზე საუკეთესოდ მეტყველებს მისი წოდება – ღმერთშემოსილი.

როდესაც საქართველოდან წასულმა გიორგი მთაწმიდელმა შავი მთის მონასტრები მოილოცა და თაყვანი სცა წმიდა სვიმეონ მესვეტისა და მისი დედის ნეტარი მართას საფლავებს, დაიწყო სულიერი მამის მოძიება და აი, აქ საკვირველ მთაზე იპოვა კლდის ნაპრალში დაყუდებული ბერი, „ვითარცა გურიტი უბიწოი და ტრედი უმანკოი, კაცი ზეცისაი და ანგელოზი ქვეყნისაი".

წმიდა გიორგი შეყენებულმა დაიმოწაფა ღირსი გიორგი მთაწმიდელი. სამი წლის შემდეგ, მოძღვრის კურთხევით გიორგი მთაწმიდელმა იერუსალიმის სიწმიდეები მოილოცა და კვლავ შავ მთაზე დაბრუნდა. გიორგი შეყენებულმა აკურთხა წმიდა გიორგი მთაწმიდელი ათონზე წასულიყო და ბერძნულიდან ქართულად ეთარგმნა საღმრთო წიგნები. გიორგი მთაწმიდელმა, შვიდი წლის შემდეგ, მოძღვრის სურვილის თანახმად მღვდლობის ხარისხი მიიღო და შემდეგ მთარგმნელობით მოღვაწეობასაც მიჰყო ხელი.

მიუხედავად იმისა, რომ წმიდა გიორგი ღმერთშემოსილი განდეგილ ცხოვრებას ეწეოდა, მან უდიდესი



ღვაწლი დასდო **ქართული სასულიერო მწერლობის** განვითარებას. მას მტკიცე კავშირი ჰქონდა ათონზე მოღვაწე ქართველ მამებთან. გიორგი შეყენებულს გადაუწერია სვიმეონ საკვირველმოქმედის დედის, ნეტარი მართას ცხოვრება, რომელიც ადრე დავით მტბევარმა ბერძნულიდან ქართულად თარგმნა.

**მოამზადა გიული ლიპარტიამ.**

## მოდა

# საქმიანი საღამოს სამოსი

**მსოფლიოში ცნობილი ფირმის მაქს მარას მოდის წამყვანი დიზაინერები საქმიანი საღამოს სამოსს განსაკუთრებულ ყურადღებას ანიჭებენ. მათ მიაჩნიათ, რომ ასეთი შეხვედრებისას, საქმის წარმატებით დაგვირგვინებისთვის, ყოველი ნიუანსია გასათვალისწინებელი. სწორედ ამიტომ ისინი რამდენიმე საყურადღებო რჩევაზე მიგვითითებენ.**

უპირველესად, არ უნდა დავივიწყოთ, რომ გარეგნული იმიჯი პროფესიონალიზმზე უნდა მეტყველებდეს. ამიტომ ის სამუშაო განწყობა, რომელიც დღის ოფიციალურ შეხვედრებზე ტანსაცმლის შერჩევისას გაქვთ, საღამოსთვისაც უნდა შეინარჩუნოთ. სასურველია, რომ არ ჩაიცვათ ძალიან ვიწრო, სხეულზე მომდგარი, მოკლე და გრძელჭრილებიანი ქვედაკაბები, გამჭვირვალე ქსოვილებისგან შეკერილი მოდელები, ღია ფეხსაცმელი, არ გაიკეთოთ გრძელი, ექსტრავაგანტური საყურეები, არ გაიშალოთ თმა, ანუ ყველაფერი ის, რაც ზედმეტად უსვამს ხაზს თქვენს სექსუალობას გამორიცხეთ. თუმცა, მომხიბვლელობისთვის ქალურობის ზომიერად დაცვა ყოველთვის მისასალმებელია.

საქმიანი საღამოსთვის კლასიკურ ვარიანტად ითვლება სადღეისოდ ევროპაში გავრცელებული უსაყელო, მოკლე მკლავებიანი და პასტელის ფერებით დამშვენებული ე. წ. კოქტეილის კაბა, რაც ბუნებრივია, მოკრძალებულ სამკაულს მოითხოვს.

მოდის კანონმდებლები უარს ამბობენ ფერად ქვებზე და „საქმიან ქვად" ზღვის მარგალიტს მიიჩნევენ, ხოლო შავი კაბის შერჩევისას, ძველებურ სამკაულებს ანიჭებენ უპირატესობას. აქვეა გასათვალისწინებელი, რომ შავ ფონზე კანის პატარა ნაკლიც კი აშკარაა, ამიტომ მეტად მნიშვნელოვანია მაკიაჟი მსუყე ფერებით.

დაბოლოს, უმთავრესი და საყურადღებო რჩევა წარმატებული საქმიანი საღამოსთვის, უპირველესად, კეთილგანწყობა და თავდაჯერებულობაა...

**ლელა დონაძე**



**სურათებზე: მოდელები საქმიანი საღამოსთვის.**

## ყურადღება!

გაზეთის „საქართველოს რესპუბლიკა" ა.წ. 14 ივლისის ნომერში გამოქვეყნდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის განცხადება მაგისტრატურაში მიღების შესახებ. განცხადების ნაწილში, სადაც მითითებულია მაგისტრატურაში შემსვლელთათვის საჭირო საბუთების ნუსხა, ამოღებულია **პუნქტი 7,** რითაც გაუქმდა საორგანიზაციო გადასახადი – **20 ლარი** კონკურსში მონაწილეობისათვის.

## მწარე სურათები

# ჩემო ლამაზო სამშობლოვ, ვეღარ გენაცვალე!..

**უპოვარნი და გლახაკნი, სამოწყალოდ გაშვერილი ხელი და ქუდი...**

**ზოგი ღრმად მოხუცი, ზოგი მთლად ახალგაზრდა, ზოგი საღსალამათი, ზოგი ხეიბარი, უსინათლო...**

**ზოგი მდუმარე, ზოგიც განწირული ხმით მახვეწარი...**

**ჩამქრალი მზერა, გატეხილი სიამაყე, სასოწარკვეთა...**

**რა აავსებს ამ გაშვერილ ხელისგულებსა და ქუდებს, როგორ გინდა დააბრუნო ამდენი იმედი და თავმოყვარეობა?!**

კარგა ხანია ასეა მთელ საქართველოში: რესტორნებთან და სასტუმროებთან, მაღაზიებთან, ბაზრობებთან, ქუჩებში, ტაძრებთან...

კარგა ხანია უპოვართა ამ უზარმაზარ არმიას ქუჩის მუსიკოსებიც შეემატნენ. მათ უმეტესობას მიწისქვეშა გადასასვლელებში შეხვდებით, გიტარით ხელში, მაგრამ ამ ერთგვარი ყაიდის გლახაკობას ქართულ ნიადაგზე და ფოლკლორშიც უპოვია გამოძახილი.

მეტრო „სადგური-2", საბურთალოს ხაზის მოსაცდელი დარბაზი. ჯორკოზე სუფთად ჩაცმული შუა ხნის ქალი ჩამომჯდარა და ფანდურს აჩხაკუნებს, თან ამღერებს ტკბილად, სევდიანად, სულისშემძვრელად...

ნუთუ საამისოდ შეიქმნა ეს სიმღერა, ეს ხმა, ეს სიტყვა! მღერის და თითქოს გვირაბის სიღრმეში გაურბის მზერა. იქნებ, არც არსად გაურბის, იქნებ უსინათლოცაა! როგორ გაბედავ და თვალებში როგორ ჩახედავ. თავდახრილი და დარცხვენილი უნდა მიუახლოვდე და რამდენიც შეგიძლია და გემეტება, იმდენი უნდა „ჩაუყარო". მეტროთი უმეტესად ამ მომღერალივით გაჭირვებული, ჯიბეცარიელი მგზავრები დადიან. ბევრ მათგანს უკვე გული გაჰქვავებია ამ ნაცნობი სურათით და აღარც მოწყალების გაღების სახსარი შერჩენია და აღარც სურვილი. ბევრი უკანასკნელ ხურდას მოიჩხრეკს და უწილადებს. მოკლედ, დიდი გამოცდაა არა მარტო მეტროს, არამედ წუთისოფლის მგზავრებისთვის.

აი, ერთი მოხუცი მიუახლოვდა მეტროს მუსიკოსს, ჯიბე ამოისუფთავა და თუნუქის ქილაში კი არ ჩაუყარა, ფრთხილად ჩაუდო რამდენიმე „ვერცხლი", მერე მხარზე ხელი დაადო და უთხრა: „იმღერე, გენაცვალე, იმღერე!"

ქალმა დაკვრა განაგრძო, ოღონდ სხვა სიმღერა წამოიწყო:



– „ლალე, ლალე, დივლი დალალალე, ჩემო ლამაზო სამშობლოვ, ვეღარ გენაცვალე!"..

რამდენიმე მგზავრის თავი ერთბაშად შეტრიალდა მომღერლისკენ. ლექსის ბოლოს ექსპრომტად ნათქვამმა გაბზარული სიტყვებმა გულამდე ჩააღწია...

რა იყო ეს, თუ არა სამშობლოს უსაზღვროდ ტრფიალი, ერთი უბრალო, გაწამებული ქართველის ტკივილი, რომელი ქართველიც ამ დღეში მყოფიც საკუთარ თავზე კი არა უფრო იმაზე დარდობს, რომ ქვეყანას ვეღარ ენაცვალებოდა. ვინ იცის, იქნებ უსინათლოდ დარჩენილი ქართვლის დედის მოთქმა იყო ეს?!

მომღერლის ხმა გვირაბიდან შემოჭრილი მატარებლის ხმაურმა გადაფარა. სადგური დაცარიელდა. ქალი აღარ მღეროდა. იგი გვირაბის შავ შორეთს გასცქეროდა, რომელმაც აფორიაქებული მგზავრებით გაჭედილი მატარებელი შთანთქა...

**რუსუდან მუხიგულაშვილი**

**ლევან ლომაძის ფოტო**

## ისარგებლეთ ცხელი ხაზით!

**საპატრულო სამსახური – 022;**

**გენერალური პროკურატურა – 99-74-10;**

**შინაგან საქმეთა სამინისტრო – 99-53-50;**

**საგარეო საქმეთა სამინისტრო – 28-47-47;**

**ფინანსთა სამინისტრო – 22-17-80; 22-09-24;**

**იუსტიციის სამინისტრო – 75-82-21;**

**ჯანდაცვის სამინისტრო – 94-34-98;**

**ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო – 38-47-98;**

**სოფლის მეურნეობის სამინისტრო – 98-57-81;**

**ეკონომიკური განვითარების სამინისტრო – 98-23-58; 50-69-00;**

**შსს სანებართვო განყოფილება – 98-57-01;**

**კონტროლის პალატის გენერალური ინსპექცია – 95-30-81; 96-71-78;**

**თავდაცვის სამინისტროს გენერალური ინსპექცია – 23-56-73;**

**საქართველოს სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექცია – 39-52-47;**

**თბილისის სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექცია – 37-78-70;**

**შხამიანი ქვეწარმავლების გაუვნებელყოფის სამსახური – 22-61-48; 22-33-53;**

**ერთიანი საპენსიო ფონდი – 69-65-93; 69-65-94.**

**კატასტროფების ცენტრი, გადაუდებელი და სასწრაფო დახმარება, რეანიმობილის მომსახურება – 24 საათი; პაციენტის გადაყვანა რეგიონული სტაციონარებიდან თბილისის კლინიკებში – 51-77-37.**

## ლარის კურსი

### 16 ივლისიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსები

| | | |
|---|---|---|
| ინგლისური გირვ. სტერლ. | 1 | 3.2088 ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 1.8201 ლარი |
| ევრო | 1 | 2.2180 ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0.0636 ლარი. |
| აზერბაიჯანული მანათი | 1000 | 0.3872 ლარი. |
| სომხური დრამი | 100 | 0.4177 ლარი. |
| უკრაინული გრივნა | 10 | 3.6322 ლარი. |

## ამინდი დღეს

| 16 ივლისი | ☼ | ☾ |
|---|---|---|
| თბილისი | 37⁰ | 19⁰ |
| ბათუმი | 35⁰ | 20⁰ |
| სოხუმი | 29⁰ | 19⁰ |
| ქუთაისი | 32⁰ | 22⁰ |
| თელავი | 36⁰ | 21⁰ |

ჩვენი გაზეთის დღევანდელი ნომერი 12-გვერდიანია. შემდეგი ნომერი გამოვა სამშაბათს, 19 ივლისს.

## გამოიცა

# საკვებიც ჩვენი მტერია?

**მომხმარებელთა უფლებების დაცვის საერთაშორისო საზოგადოებრივ ასოციაციას ახალი, სურსათის უვნებლობასა და ეკოლოგიურ პრობლემატიკაზე ორიენტირებული გაზეთის გამოცემა გადაუწყვეტია. ჯერჯერობით მხოლოდ ორი ნომერი გამოვიდა, მაგრამ გაზეთის ღირსებებზე საუბარი უკვე შეიძლება – ჩვენს სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, თურმე, რამდენი საფრთხე ემუქრება, რამდენი მტერი გვყოლია უცხოური და ადგილობრივი საკვები პროდუქტების, ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელების, ტანსაცმლისა თუ ფეხსაცმლის, საწვავისა თუ სამშენებლო მასალების, გლობალური თუ ლოკალური ატმოსფერული კატასტროფების სახით.**

მეტად სასიამოვნოა, რომ გაზეთი თანამედროვე ჟურნალისტიკის მოთხოვნების დონეზეა შესრულებული, რაც მისი მცირერიცხოვანი რედაქციის უდავო დამსახურებად უნდა ჩაითვალოს. „სამყაროს თვალი" (ასე ჰქვია გაზეთს) უმკაცრესად შეზღუდული ფინანსური რესურსების პირობებში, ძირითადად, ენთუზიაზმის ხარჯზე, საქვეყნო საქმის კეთების თვალსაჩინო მაგალითია. თუმცა, გასაკვირი არაფერია, რადგან ჩვენი კოლეგა და კეთილი მეგობარი, ჟურნალისტი **თეიმურაზ ქორიძე** (გაზეთის რედაქტორი) თავის პროფესიას ყოველთვის ერთგულად ემსახურება.

ალბათ, დაგაინტერესებთ, რას ფიქრობს ახალი გაზეთის შესახებ თავად რედაქტორი:

– „კაცობრიობას სასურსათო კრიზისი უახლოვდება. მოსახლეობის რაოდენობა დედამიწაზე გაცილებით სწრაფად იზრდება, ვიდრე საკვების წარმოება. მცირდება სასოფლო-სამეურნეო სავარგულები – მის ადგილს ქალაქის ტიპის დასახლებები, ფაბრიკა-ქარხნები, სამხედრო პოლიგონები იკავებს. იჩეხება ტყეები, იფიტება ოდესღაც ნაყოფიერი ნიადაგები. ხანძრები, წყალდიდობები, მეწყერები, მომწამლავი ნივთიერებები ყოველდღიურად ათასობით ჰექტარ ნაყოფიერ მიწას ანადგურებს, სასმელ წყალს, მდინარეებს, ოკეანეებს წამლავს.

მიახლოებული მონაცემებით, დღევანდელ მსოფლიოში 400 მილიონამდე ადამიანი შიმშილობს, ხოლო მილიარდამდე ადამიანი სიღატაკეში ცხოვრობს. შიმშილისა და სიღატაკის პრობლემა თვით ეკონომიკურად ყველაზე განვითარებული ქვეყნების წინაშეც კი დგას. ხოლო ეგრეთ წოდებულ „მესამე სამყაროში" იგი დიდი ხანია ტრაგედიად იქცა.

შეიძლება სრული პასუხისმგებლობით ითქვას – ქართულ სამომხმარებლო ბაზარზე გამოტანილი თითქმის ყველა სახის საქონელი, ყავიდან დაწყებული, „დუბლიონკებით" დამთავრებული, არის უხარისხო, ფალსიფიცირებული და საშიშია თქვენი ჯანმრთელობისთვის.




ეს ეხება ხორცსა და ხორცის პროდუქტებს, თევზეულს, ბოსტნეულს, რძის პროდუქტებს, ფრინველის ხორცს, კონსერვებს, ალკოჰოლიან და უალკოჰოლო სასმელებს, ფეხსაცმელს, ტანსაცმელს, სამშენებლო მასალებს, საპარფიუმერიო და ფარმაცევტულ საქონელს... მოკლედ, ყველაფერს, რასაც ვჭამთ, ვსვამთ, ვიცვამთ თუ ვეხებით.

ყველაფერი ეს, საბოლოოდ, მჭევრმეტყველურად აისახება ჩვენს ჯანმრთელობაზე"...

**„სამყაროს თვალს" მართლად, უტყუარად ჭვრეტის უნარი დაჰბედებოდეს.**

**ნაზი იმნაიშვილი**

## ხსოვნა

# აბდულ ვლადიმერის ძე კანკია



ძვირფასო **აბდულ,** ჩვენო საყვარელო და ერთგულო მეგობარო, შენმა გარდაცვალებამ უდიდესი ტკივილი მოგვაყენა შენს მეგობრებს, ახლობლებს, ნათესავებს, ოჯახის წევრებს. სამწუხაროდ, ერთი წლის წინათ მეუღლის გარდაცვალებისგან გამოწვეული მწუხარება მოუშუშებელი იარა აღმოჩნდა შენთვის და შენი ჯანმრთელობაც საბოლოოდ ამ მწუხარებამ შეარყია. შენი ოჯახი და შენი მეუღლე, ქალბატონი რაისა შენთვის უძვირფასესი იყო ამ ქვეყნად. მაგრამ, სამწუხაროდ, ცხოვრებაში არსებობს ისეთი რამ, რასაც ვერავინ შველის. მათ შორის ვერც ჩვენ, შენმა მეგობრებმა შევძელით შველა. წახვედი ამ ქვეყნიდან ვალმოხდილი, სამშობლოზე უსაზღვროდ შეყვარებული და ახალი იმედებით აღსავსე. შენ ხომ მუდამ ერთგულად ემსახურებოდი შენს ქვეყანას. იმ სფეროში, სადაც შენ წლების მანძილზე მოღვაწეობდი – თბილისის უნივერმაღის ხელმძღვანელის პოსტზე მრავალი სასიკეთო საქმის გაკეთება შესძელი და მოასწარი. შენ მუდამ გამოირჩეოდი საქმისადმი ერთგულებით, კეთილსინდისიერებით, მაღალი პროფესიონალიზმით. შენი მაღალი ავტორიტეტი მუდამ საამაყო იყო იმ კოლექტივისთვის, სადაც ცხოვრების დიდი ნაწილი გაატარე. დარწმუნებული ვარ, შენი თანამშრომლები მუდამ გაგიხსენებენ როგორც საქმის ღრმა მცოდნე, პრინციპულ, უანგარო და თანამშრომლებზე მზრუნველ ადამიანს. ახალგაზრდობაში სპორტით იყავი გატაცებული. განსაკუთრებით ფეხბურთი გიზიდავდა. გულით გიხაროდა და გეამაყებოდა ჩვენი სპორტსმენების წარმატება საერთაშორისო სარბიელზე. პატიოსანი, ოჯახის ერთგული და ბრწყინვალე შვილების გამზრდელი მამა, სამწუხაროდ, ვერ მოესწარი იმ ბედნიერებას, რაც შენი ასაკის ადამიანისთვის ყველაზე ძვირფასია. ვერ მოესწარი შვილიშვილების სიყვარულს და მათზე ზრუნვას. წახვედი და ამაზე დარდი თან გაიყოლე.

ჩვენ, შენი მეგობრები ყოველთვის გაგიხსენებთ და სანამ სული გვიდგას შენც ჩვენთან ერთად იქნები ჩვენს გულებში. ჩვენო საყვარელო აბდულ, მსუბუქი ყოფილიყოს შენთვის საქართველოს მიწა.

**მეგობრები.**

ვალერი და ლამარა კანკიები, თამაზ და ქეთინო ტაბატაძეები თანაგრძნობას უცხადებენ ლევან და ნინო კანკიებს მამის

აბდულ კანკიას

გარდაცვალების გამო.

ს/ს „უნივერმაღ თბილისის" დირექცია და კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყებიან გენერალური დირექტორის მოადგილის

აბდული (გიორგი) კანკიას

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის" სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

დამფუძნებლები – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" თანამშრომლები
გამომცემელი – შპს „თანადგომა-1"
დირექტორი თენგიზ კალანდაძე.

მთავარი რედაქტორი რუსლან რუსია.
მორიგე რედაქტორი ბონდო გულიაშვილი.

ინდექსი 66434,
მისამართი: 0108, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14.
ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება - ტელ: 93-28-13.

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. წერილებში მოყვანილი ფაქტების უტყუარობაზე პასუხს აგებენ ავტორები, რომელთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.